საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№39 (321)
28 ოქტომბერი - 3 ნოემბერი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

2 სააკაშვილმა კეზერაშვილს საგარეჯოში წინასაარჩევნოდ მუფთების მოსყიდვა დაავალა



## ქართული პოლიტიკის ჟანა დ'არკი და რესპუბლიკელების მორიგი ბუდარიხა 8







«200 პოლიტპატიმარი გვყავს 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით, მაგრამ არც ერთი მოსამართლე და პროკურორი, რომლებმაც ამ პირებს პოლიტიკური ნიშნით შეუფარდეს სასჯელი, არ დასჯილა!» 11

# საქართველო ივანიშვილის შეცდომებს იმკის



„მარგველაშვილი პოლიტიკაშიც გამოცდილია, კარგი ანალიტიკოსია, კარგი ექსპერტი. ყველაზე მეტად, სადაც რა გამიჭირდება, გიორგის ვეძახი და ვეკითხები აუცილებლად, 2-3 კაცი მყავს ასეთი, რომლებთანაც ნებისმიერ საკითხზე შემიძლია საუბარი. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ადამიანს ვიცნობ“.

ბიძინა ივანიშვილი, 2013 წ. მაისი

„საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურების შენახვის ფუფუნება. პრეზიდენტის ფუნქციები (მხედველობაში მაქვს არა ფორმალური, კონსტიტუციური, არამედ რეალური) ქვეყნის იმ სასიცოცხლო პრობლემებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რომელთა გადასაჭრელად პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევა საკმარისი არ არის.“

ალექსანდრე ჭაჭია, 2013 წ. თებერვალი

„მარგველაშვილის წარსული თავიდანვე რომ შეგვესწავლა, ის ახლა პრეზიდენტი არ იქნებოდა. მას ნაზად მიანიშნეს, რომ სასახლიდან გამოსულიყო, მაგრამ ყურად არ იღო... არაფრით დატვირთული არ არის“.

ბიძინა ივანიშვილი, 2015 წ. ოქტომბერი



6

«ვინ დაელაპარაკება ქვეყნის პირველ პირს, რომელსაც ივანიშვილი ამაიმუნებს?!»

«სამწუხაროა, რომ ხელისუფლებაში ისეთ ადამიანს არ უსმენენ, როგორიც არის ალექსანდრე ჭაჭია»

## 1659 წელს ქართველთა აჯანყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ყიზილბაშებმა ქართველი სასულიერო პირი გააუპატიურეს... 4

ჯაკ მამათა

«იმ ადგილს, სადაც ქართველებმა მღვდლის გამაუპატიურებელი ყიზილბაშები გაწყვიტეს, დღემდე «გაწყვეტილას» უწოდებენ»

როგორ აზღვევინეს ქართველებმა 500 წლის წინათ ყიზილბაშებს მღვდლის გაუპატიურება და როგორ ვერ აზღვევინა «ქართულმა ოცნებამ» სააკაშვილს ასეულობით ქართველზე სექსუალური ძალადობა

## სააკაშვილმა და ადეიშვილმა საუნაში თინა ხიდაშელზე ისაუბრეს



მიხეილ სააკაშვილი: — მაგ სირქალას ყველაფერი გავუკეთე და გავქაჩე. პინგვინას არ უნდოდა და ამერიკის ყველა სტრუქტურაში ჩემი კონტაქტები წავაშველე. ხო ნახე, ნორლანდმა დაანიშნინა. მაგრამ ხომ იცი, ვინც არიან ეგენი — არასანდო და გადამგდებები თავის ქმართან ერთად.

ზურაბ ადეიშვილი: — საშინელი ტიპები არიან ეგენი, ტყუილად ეხმარები მაგათ, ესე მგონია. ეგენი კრუჩოკზე უნდა გვყავდეს ყოველთვის.

მიხეილ სააკაშვილი: — მერე შენ არ მეუბნებოდი, წაჭერილი მყავსო? ძველი ამბები და ახალიც! კიდევ აგულაშვილთან ღლაბუციო, სად არის ეგა? 9





5 მამა თეოდორე:

## ფაშისტების სისასტიკეს ზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ არ მსმენია, რომ ისინი საკონცენტრაციო ბანაკებში მამაკაცებს აუპატიურებდნენ

## გმირთა გვარამი 14





ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ამერიკელებმა კიდევ ერთი ჰოსპიტალი დაბომბეს



**რამდენიმე დღის წინათ ავღანეთის ქალაქ ყუნდუზში ჰოსპიტლის დაბომბვის შემდეგ ამერიკელებმა საერთაშორისო ორგანიზაციის „ექიმები საზღვრებს გარეშე“ კიდევ ერთი ჰოსპიტალი დაბომბეს, ამჯერად იემენის ქალაქ საადაში.** „26 ოქტომბრის ღამეს რამდენიმე ავიადარტყმა განხორციელდა ჩვენს დაწესებულებაზე იემენის ქალაქ საადაში. დაწესებულებაში იმყოფებოდნენ პაციენტები და თანამშრომლები“, — წერია განცხადებაში, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლებმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნეს. ორგანიზაციის წარმომადგენლები წერენ, რომ შენობა დაინგრა, სამედიცინო აღჭურვილობა და მედიკამენტები კი განადგურებულია. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ამერიკელები საავადმყოფოს ბომბავენ. 3 ოქტომბერს ამერიკის ავიაციამ იერიში მიიტანა ქალაქ ყუნდუზის ჰოსპიტალზე. დაიღუპა 22 ადამიანი, მათ შორის 3 ექიმი.



### ვლადიმერ პუტინი:

## თქვენ რა, დემოკრატიაში ჩვენს საზღვრებთან ნატოს მოახლოებას გულისხმობთ?

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა „ვალდაის“ სადისკუსიო კლუბის სხდომაზე განაცხადა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოება და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განლაგების კუთხით აშშ-ის ქმედებები რუსეთის შეშფოთებას იწვევს.**

„თქვენ რა, დემოკრატიაში ჩვენს საზღვრებთან ნატოს მოახლოებას გულისხმობთ? ეს არის დემოკრატია? ნატო სამხედრო ბლოკია, ამიტომ ჩვენ არა დემოკრატიის, არამედ ნატოს სამხედრო ინფრანსტრუქტურის მოახლოება გვაშფოთებს“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

„ვალდაის კლუბში“ სიტყვით გამოსვლისას პუტინმა გაიმეორა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა ტრაგედია იყო. „კვლავ ვაცხადებ, რომ ეს, პირველ რიგში, ჰუმანიტარული ხასიათის ტრაგედიაა.საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, 25 მილიონი ეთნიკური რუსი საკუთარი ნების წინააღმდეგ აღმოჩნდა საზღვრებს გარეთ“, — განაცხადა პუტინმა.



## სააკაშვილმა კეზერაშვილს საგარეჯოში წინასაარჩევნოდ მუფთების მოსყიდვა დაავალა

**უკრაინულმა ,,ვიკილიქსმა” გამოაქვეყნა ჩანაწერი, რომელშიც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ საკაშვილი დავით კეზერაშვილთან ერთად გეგმავს საგარეჯოელი მუფთების მოსყიდვას ირმა ინაშვილის წინააღმდეგ ეთნიკური აზერბაიჯანელი ამომრჩევლების დარაზმვის მიზნით და ამ საქმეში დახმარებას „აზიკად“ წოდებული დეპუტატისა და „ბაქოს ელიტისგან“ ითხოვს:**

**სააკაშვილი:** — მოიცა მოიცა, გამახსენდა კიდე კაი. ბიჭო! თინამ მთხოვა, საგარეჯოში რომ არჩევნებია, დახმარება, მაგის ნათესავია ვიღაცა, ის უნდა, რომ გავიდეს. ჩვენები ყველაფერს აკეთებენ, მერე მაგას ჯარის ნაწილიც დაეხმარება, მაგრამ გადამწყვეტი აზერების მუღანლო რომ არის, ის იქნება. ჩვენი დეპუტატი რომ არის აზიკა, შენ კონტაქტებს მისცემენ და, ბაქოში რომ იქნები, ჩამოვა, თანხა მიეცი, მუგანლოელი მუფთები უნდა დააპუროს. თან ბაქოს ელიტასაც სთხოვე დახმარება ჩემგან. ის წ**ლა რომ არის, ინაშვილი, ეგ არ უნდა გავიდეს, კალიფორნიელი სენატორები კი უჭერენ მხარს, მაგრამ მაგათი დუდკებისთვის მე არ მცალია. ხო მიხვდი, როგორც უნდა გააკეთო? სანამ კიევში წახვალ, ადეიშვილი ნახე და ყველაფერს აგიხსნის დეტალურად.

**კეზერაშვილი:** —ზურამ ამიხსნას, თორემ ბევრი დავალებაა და, რომ არ ამერიოს, მაგ დამეხმაროს.

# მიხეილ სააკაშვილი: ქალი რომ დაიბრიდოს, აჯობებს, თან შვილიანი თუ იქნება, დედა უკეთესი იქნება. მაგარი ბომბი გამოვა!

**უკრაინულმა „ვიკილიქსმა“ სააკაშვილისა და ბოკერიას შეხვედრის დეტალებზე ინფორმაცია გაავრცელა. მიხეილ სააკაშვილი გიგა ბოკერიას სტამბოლის ათა-თურქის სახელობის აეროპორტში 22 ოქტომბერს, 06:18 საათზე, შეხვდა და კონკრეტული დავალებები მისცა. გთავაზობთ უკრაინული მედიასაშუალების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.**




**მ.ს.:** — პასადკაზე დამაგვიანდება, ცოტა დრო დამრჩა! მოიცა რა, მე გადავიხდი!

**გ.ბ.:** — კაი, მიშა, ბარათი მივეცი უკვე! კიდევ გეუბნები, ის ბიჭები მზად მყავს, თორმეტივე, მაგრად გადაუვლიან, მიანგრევენ ყველაფერს. ერთი კი არის, ეს უნდა იცოდე, მსხვერპლი შეიძლება იყოს!

**მ.ს.:** — მერე იყოს, ეგ არ გვინდა! ნიკა არ დააინვალიდონ, დაასისხლიანონ მხოლოდ, ასე ეფექტური იქნება. ქალი რომ დაიბრიდოს, აჯობებს, თან შვილიანი თუ იქნება, დედა, უკეთესი იქნება. უნდა შეარჩიო ეგეთი კოლექტივიდან! მაგარი ბომბი გამოვა. პინგვინას ქოცების თავდასხმა თავისუფალ მედიაზე მთელ მსოფლიოს შეძრავს. ესე გაუშვებთ. ყველაფერი უნდა დაფიქსირდეს კამერაზე აუცილებლად. გვარამია გმირად უნდა ვაქციოთ, დაღუპული დედით კი მთელ საქართველოს დავაყენებთ ფეხზე. ბიჭო, შენი ნილბიანები დროზე უნდა გაძვრენ მერე იქიდან, შეუმჩნევლად. ეს კარგად გათვალე!

**გ.ბ.:** — მიშა, ეგ რაც ვილაპარაკეთ, არავინ იცის, ნიკასაც არ ვეტყვი. რო გაბაზრდეს, ჩაგვეშლება. მე პირდაპირი კონტაქტი ბიჭებთან არ მაქვს, გაგუშა არის მაგათთან, ამიტომ არსად გამოვჩნდებით. სცენარი უკვე გავლილი გვაქვს, ოპერატორი „რუსთავი 2“-დან იქნება, იმას ეცოდინება, რომ ყველაფერი უნდა დააფიქსიროს. მაგას არ ახლებენ ხელს. მერე ყველა თურქეთში გადავა. სულ ამაზე 160 გვინდა და.

**მ.ს.:** — მოიცა, ხომ გითხარი, ბეჟო გადაწყვიტავს-მეთქი, ეხლა ეგ თბილისში არ არის. ზურა გააფრთხილებს და მაგ თანხას მოგიტანენ. მთავარია, ყველაფერი სწორად ააგო. „რუსთავის“ დარბევას და მსხვერპლს გადავაყოლებთ მაგ ნაბიჭვრებს. ვინ არის მოძალადე, დაინახავს ყველა, მონაგონი იქნება ის კადრები, რაც გამივრცელეს. ხო, გიორგი ნახე რა, გიგა! ჩემგან მადლობა უთხარი და სთხოვე, რეაგირება გააკეთოს. განცხადებით გამოვიდეს, ელჩები მოიწვიოს, კაროჩე, ატეხოს რა ამბავი, თავისუფალი მედიის დაცვა, კონსტიტუცია... უკმაყოფილოს არ დავტოვებთ, იცის მაგან!

**გ.ბ.:** — მარგველას ვნახავ დილიდან, ჩაფრენისთანავე. ამოძრავდება და გამოვა, აბა, რას იზამს. რეალურად ეს ჩვენი გეგმა გადაარჩენს „რუსთავსაც“ და „მოძრაობასაც“. თანხა როგორც მოვა, დავიწყებთ.

**მ.ს.:** — შენ შეეცადე, სასამართლომდე გააკეთო ყველაფერი, მერე სასამართლო აღარც ჩატარდება.

**გ.ბ.:** — მე მგონი, მოვასწრებთ! ის ურთმელიძე, მოსამართლე რომ არის, ნაწყენი ყოფილა ადეიშვილზე და იმიტომ დათანხმდა. სასამართლოში ყველა ჩვენია თითქმის და გამოაძვრინეს ეგ ტიპი. მაგას დავაშინებთ კარგად, ვიცი, როგორც! ზაზა მეიშვილი და შავლიაშვილი უზენაესიდან აქტიურად არიან ჩართული, ზურას მიყავს ეგ თემა. მთავარია, რაც დაიგეგმა, გაკეთდეს და, როგორც შენ თქვი, სასამართლოს აზრი აღარ ექნება.

**მ.ს.:** — До побачаня, Гига! თამრიკოს ბოდიში გადაეცი, ვერ გამოვემშვიდობე!

**გ.ბ.:** — აუცილებლად! აბა, მშვიდობით მგზავრობა!

### ბაშარ ასადი:

# კრიზისებს სირიასა და უკრაინაში ერთი «არქიტექტორი» ჰყავს

## ტონი ბლერმა აღიარა, რომ «ისლამური სახელმწიფოს» ჩამოყალიბება ერაყში აშშ-ისა და ბრიტანეთის შეჭრასთან არის დაკავშირებული

**სირიის დედაქალაქ დამასკოში ამ ქვეყნის პრეზიდენტის რეზიდენციაში (როუდის სასახლე) გაიმართა შეხვედრა სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადსა და რუსეთის ფედერაციის საპარლამენტო დელეგაციას შორის.**

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ერთ-ერთი დეპუტატის კითხვაზე — როგორ შეაფასებთ რუსეთის ავიაციის მოქმედებას ტერორისტების წინააღმდეგ? — სირიის პრეზიდენტმა უპასუხა:

„ამ კითხვაზე ჩემზე უკეთ ტერორისტები გიპასუხებენ. რუსული თვითმფრინავები მიზანში ზუსტად და ძლიერად ურტყამენ. რუსეთის სამხედრო-კოსმოსური ძალების დარტყმა ტერორისტებმა სათანადოდ შეაფასეს და ათასობით გარბიან თურქეთში. ამაზე მიუთითებს სირიის არმიის მონაცემები და დაჭერილი რადიოსიგნალები“.

როგორც ასადმა რუს დეპუტატებს განუცხადა, **„შეიძლება არსებობდეს განსხვავება სირიისა და უკრაინის კრიზისებს შორის, მაგრამ ორივე შემთხვევაში „არქიტექტორი“ ერთია. ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები და უკრაინელი ნაციონალისტები ერთი ცენტრიდან იმართებიან“.**

ასადმა მზადყოფნა გამოთქვა, რომ, აუცილებლობის შემთხვევაში, მონაწილეობას მიიღებს საპრეზიდენტო არჩევნებში: „მზად ვარ, განვიხილოთ საკითხი კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ, მზად ვარ, ჩავატაროთ საპარლამენტო არჩევნები და, თუკი სირიელი ხალხი საჭიროდ ჩათვლის, მზად ვარ საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლადაც“.

რუსეთის ავიაციის დარტყმებმა „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებზე, როგორც ჩანს, დისონანსი შეიტანა აშშ-ის მოკავშირეების ურთიერთობაში. დიდი ბრიტანეთის ყოფილმა **პრემიერმინისტრმა ტონი ბლერმა, რომელიც ბრიტანეთის მთავრობას ხელმძღვანელობდა 1997-2007 წლებში, ტელეარხ სი-ენ-ენისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ 2003 წელს აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მეთაურობით კოალიციის ჯარების შეჭრა ერაყში ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ჩამოყალიბების მთავარი მიზეზია.**


ბაშარ ასადი


ტონი ბლერი

აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელების კოალიციის ჯარები 2003 წლის გაზაფხულზე შეიჭრნენ ერაყში სადამ ჰუსეინის დამხობის მიზნით. ვაშინგტონმა ერაყის იმჟამინდელი პრეზიდენტი **სადამ ჰუსეინი** საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირსა და მასობრივი განადგურების ქიმიური იარაღის შექმნაში დაადანაშაულა, მაგრამ მოგვიანებით თვითონვე აღიარა, რომ ერაყში ასეთი იარაღი არ იყო.

„რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ მათ, ვინც სადამ ჰუსეინის რეჟიმი დაამხო 2003 წელს, არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა 2015 წელს შექმნილი ვითარების გამო. ბოდიშს ვიხდი, რომ ჩვენი სადაზვერვო მონაცემები არასწორი იყო, აგრეთვე, ბოდიშს ვიხდი ჩვენ მიერ დაგეგმვისას დაშვებული შეცდომებისა და იმ სიტუაციის გაუთვალისწინებლობის გამო, რომელიც შეიქმნა ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ.

ერაყის პრეზიდენტი 1979-2003 წლებში — სადამ ჰუსეინი 2003 წლის აპრილში დაამხეს. ერაყის უზენაესმა სასამართლომ მას ბრალი წაუყენა 1982 წელს სოფელ ადდუჯეილის 148 მცხოვრების დახოცვაში და სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა. განაჩენი კი 2006 წელს აღასრულეს.

# «გლდანის ციხე უნდა გაუქმდეს და იქ მიხეილ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის ამსახველი მუზეუმი მოეწყოს»

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვისი მითითებით მოსპეს სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულების დამადასტურებელი სამხილები?

## ვინ აგებს პასუხს ნივთმტკიცების განადგურების გამო?

**ორიოდე წლის წინათ სამეგრელოში იპოვეს მიწაში დამარხული რვა კასრი, რომლებშიც საბრძოლო მასალა, იარაღი, ასაფეთქებელი მოწყობილებები და ყოფილი ხელისუფლების პერიოდში ჩადენილი ადამიანების სასტიკი წამებისა და გაუპატიურების ამსახველი შემზარავი კადრები ინახებოდა. საიდუმლო სამალავებში აღმოჩენილი კადრები ჟურნალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც გააცნეს, შემდეგ კი ფირების ნაწილი, მიუხედავად საზოგადოების წინააღმდეგობისა, საჯაროდ გაანადგურეს. დღეს, როდესაც ეს კადრები უკრაინულმა ვებგვერდმა გაავრცელა, ჩნდება კითხვა: მართებული იყო დანაშაულის მტკიცებულების განადგურება და ასეთ შემთხვევაში ვინ უნდა აგოს პასუხი? კომენტარი ექსპერტებსა და იურისტებს ვთხოვეთ.**



### «ამ ფირების, როგორც ნივთმტკიცების, განადგურების საკითხი მოქმედი კანონმდებლობით მხოლოდ სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა»

**გია მეფარიშვილი, ყოფილი გენერალური პროკურორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი:**

„მე მაშინვე ვთქვი და ახლაც ამ თვალსაზრისზე ვარ, რომ ამ კადრების განადგურება არ შეიძლებოდა. ყველა აღნიშნულ საქმეზე კვალიფიციური გამოძიება უნდა ჩატარებულიყო, რათა გამოძიებას შეეფასებინა, რასთან გვქონდა საქმე. რაც შეეხება ამ ფირების, როგორც ნივთმტკიცების, განადგურების საკითხს, მოქმედი კანონმდებლობით, ეს მხოლოდ სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა. სამწუხაროდ, იმ პერიოდში სხვა მოტივებმა გადაწონა და მიიღეს არა სამართლებრივი, არამედ პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება.

ყოველთვის ვამბობდი, რომ, როდესაც გამოძიების საკითხით დაინტერესდებოდა, სახელმწიფო პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდა, რადგან ჩნდება კითხვა: პასუხისგებაში მიცემისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შემთხვევაში რა იქნება მისი საფუძველი? **ჩანაწერების ორიგინალები, როგორც ჩანს, უკვე განადგურებულია და ამის გამო მაშინ კმაყოფილება არ დაუმალავთ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებმაც ამ ფირების განადგურების გადაწყვეტილება შინაგან საქმეთა ახალგაზრდა მინისტრს მიაღებინეს. მე ვამბობდი, რომ დადგებოდა დრო, როდესაც ღარიბაშვილს ჰკითხავდნენ, რატომ მოიქცა ასე და, როგორც ვხედავ, საქმე აქეთ მიდის.**

**— ანუ ირაკლი ღარიბაშვილი აგებს პასუხს ამ ფირების განადგურების გამო?**

— არა, პასუხისმგებლობა ეკისრება მას, ვინც მაშინ ამ ჩანაწერების განადგურების გადაწყვეტილება მიიღო, ანუ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სპეციალურ კომისიას, რომელსაც ასეთი უფლებამოსილება არ ჰქონდა. ნივთიერი მტკიცებულება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა განადგურდეს, არც ერთ სხვა ორგანოს გადაწყვეტილების მიღების უფლება არ აქვს. ეს ელემენტარული სამართლებრივი კულტურაა, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენ არ აღმოგვაჩნდა.

**გავრცელებული კადრები ეს არის ძალიან პატარა მონაკვეთი. უფრო საშინელი და შემზარავი კადრებიც არსებობს, მაგრამ საკითხავია, რა იქნება დამნაშავე პირების პასუხისგებაში მიცემის საფუძველი, სად არის ვიდეოჩანაწერები.**

ამას გარდა, იმ ხალხს, ვინც ამ ჩანაწერებით გაავსო კასრები, ამ ფირების ასლებიც აუცილებლად ექნება. ასე რომ, მათი განადგურება გულუბრყვილობა იყო.

**— დღეს ხელისუფლებისა თუ „ნაციონალური მოძრაობის“ ზოგიერთი წარმომადგენელიც აცხადებს, რომ ეს კადრები უნდა გაენადგურებინათ. გავრცელებული ვიდეოფირები შეიძლება ჩაითვალის პირადი ცხოვრების ამსახველად?**

— დავაზუსტოთ: თუ პირადი ცხოვრების ამსახველია ეს ფირები, მაშინ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა კანონმდებლობით დაცულია, მაგრამ აქ დანაშაულის ჩადენაზე და კონკრეტული სახელმწიფო უწყებების, პოლიციისა და უშიშრების სამსახურების — კუდის, სოდის მაღალჩინოსნების დანაშაულზეა საუბარი, რომლებიც კანონის დარღვევით იჭრებოდნენ ადამიანის პირად ცხოვრებაში. დანაშაული უნდა გამოიძიონ და მას სამართლებრივი შეფასება მისცენ.



### «კანონმდებლობით ნივთმტკიცების განადგურება დანაშაულია»

**ლალი აფციაური, უფლებადამცველი:**

— კანონმდებლობით ნივთმტკიცების განადგურება დანაშაულია, მით უფრო, რომ ზოგიერთი ნაცემი და ნაწამები პირი დაიღუპა. თითოეულ დანაშაულზე სისხლის სამართლის საქმე უნდა აღძრულიყო და ყველა დამნაშავე დასჯილიყო.

**— ნაციონალები უკვე აღარ იყვნენ ხელისუფლებაში, რატომ არ მოხდა ასე?**

— ამ საქმეების ნაწილზე, როგორც ვიცი, გამოძიება დაწყებულია და ზოგიერთი დამნაშავე სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული, ზოგიერთი კი იძებნება, მაგალითად, **კოხტა თოდუა, მეგის ქარდავა.** მათ მოასწრეს მტკიცებულებების ნაწილის გატანა და მიმალვა, ხოლო პირის ექსტრადირება საკმაოდ რთულ პროცედურებს უკავშირდება და მართალია, ჩვენ გვეჩქარება, მაგრამ ასე სწრაფად ამ ყველაფრის გაკეთება შეუძლებელია.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ ამ ფირების განადგურება დანაშაული იყო. ვინ უნდა აგოს პასუხი?**

— როგორც ვიცი, ნივთიერი მტკიცებულებები არ გაუნადგურებიათ და, თუ ასეთ რამ მართლაც მოხდა, ვინც ამ ფირების განადგურების გადაწყვეტილების ბრძანება გასცა, რა თქმა უნდა, დამნაშავეა.

**— ითვლება თუ არა ადამიანის წამების კადრი პირადი ცხოვრების ამსახველად?**

— წამების კადრები არის წამების კადრები და სისხლის სამართლის დანაშაული. ის არ არის პირადი ცხოვრების ამსახველი.



### «დანაშაულის დამამტკიცებელი დოკუმენტები კი არ უნდა გაანადგურო, პირიქით, გამოძიებამ უნდა შეისწავლოს ისინი»

**გელა ნიკოლაიშვილი, უფლებადამცველი:**

— კანონმდებლობით ნივთმტკიცების განადგურება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ეს დანაშაულია, თუმცა, როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, არც ერთი ნივთიერი მტკიცებულება არ განადგურებულა, ხოლო ის, რაც გაანადგურეს, როგორც ითქვა, არ იყო მხოლოდ კერძო საუბრების ჩანაწერები, მაგრამ, თუ დანაშაულის შემცველი ფირებიც გაანადგურეს, რა თქმა უნდა, დანაშაულია.

**— ადამიანის წამების კადრი შეიძლება იყოს პირადი ცხოვრების ამსახველი?**

— არა, რა თქმა უნდა. **პირადი ცხოვრების ამსახველია ფირი, რომელზეც აღბეჭდილია ის, რასაც ადამიანი საკუთარი ნებით აკეთებს, ხოლო, როდესაც ადამიანს აწამებ და მასზე სექსუალურ ძალადობას ახორციელებ, ეს პირადი ცხოვრება არ არის და ამ შემთხვევაში დანაშაულის დამამტკიცებელი დოკუმენტები კი არ უნდა გაანადგურო, პირიქით, გამოძიებამ უნდა შეისწავლოს ისინი და ყველა — შემკვეთიც და შემსრულებელიც უნდა დაისაჯოს.**



### «ეს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია»

**ვახტანგ მაისაია, ექსპერტი:**

— ვფიქრობ, ამ ვიდეოფირების ორიგინალები თან წაიღეს და ახლა რა კადრებსაც ავრცელებენ, მხოლოდ კასრებში არსებული ფირების ასლებია.

**— მოგეხსენებათ, კასრებში აღმოჩენილი ვიდეოფირების ნაწილი გაანადგურეს. მიზანშეწონილი იყო ხელისუფლების მხრიდან დანაშაულის შემცველი მტკიცებულების განადგურება?**

— ამ ფირების განადგურება არ შეიძლებოდა, თუმცა, ვფიქრობ, მათ მხოლოდ ასლები გაანადგურეს. ეს ფირები მაინც გავრცელდა და ვიღაცები ამ ყველაფერს უკვე საკუთარი ინტერესებისთვის იყენებენ.

ვიდეოფირების ასლების განადგურების გამო კი პასუხისმგებლობაში მიცემას რა აზრი აქვს? ასლი გინდა გაანადგურე და გინდა — არა, მნიშვნელობა არ აქვს.

**— როგორც დღეს ხელისუფლებისა თუ „ნაცმოძრაობის“ ზოგიერთი წარმომადგენელი ამბობს, ამ ფირების საჯაროდ ჩვენება დაუშვებელია.**

— ეს იგივეა, ყოფილ ნაცისტებს, რომლებიც მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ მსჯავრს გადაურჩნენ, მოეთხოვათ, დანაშაულის მტკიცებულებები გაანადგურეთო.

ასევე იყო ჩილეშიც, როდესაც ჩილელმა პატრიოტებმა შეძლეს უცხოეთის ქვეყნებში პინოჩეტის დანაშაულების ამსახველი ფაქტების დემონსტრირება. არანაკლებ საშინელი კადრები იყო, **მსოფლიომ ნახა, როგორ აგდებდნენ ადამიანს ვულკანის ლავაში ან როგორ აჭმევდნენ ცოცხალ ადამიანს ნიანგს, მაგრამ მაშინ რატომღაც აზრად არავის მოსვლია, ეთქვა, რომ თურმე რა საშინელი კადრებია და მათი ჩვენება არაჰუმანურია, პირიქით, პინოჩეტის სისხლიანი რეჟიმის დანაშაული ყველამ დაინახა. სხვათა შორის, ნაციონალები და მათი მხარდამჭერები პინოჩეტისაც აღმერთებენ, ცოცხების წამებაც ჩილედან გადმოიღეს.**

ყველამ ვიცით, რომ ეს ფირები განკუთვნილი იყო ერთი მანიაკისთვის — მიხეილ სააკაშვილისთვის. **როგორც ადოლფ ჰიტლერს სიამოვნებდა ადამიანის წამების ყურება, ასევე იყო სააკაშვილიც. სწორედ სააკაშვილისთვის სიამოვნების მისანიჭებლად იღებდნენ ამ ვიდეოფირებს. ჰიტლერიცა და სააკაშვილიც დედის ტირანიის ქვეშ გაიზარდნენ და ერთნაირი „გადახრები“ ჰქონდათ, რასაც, ეთიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ახლა ვერ ვიტყვი.** სადისტებისა და მანიაკების ხელში ვიყავით და ის ეკონომიკური წარმატებები, რომლებითაც დღეს ნაციონალები ტრაბახობენ, ზურაბ ჟვანიას დამსახურება იყო და არა სააკაშვილის.

**მე ვნახე, როგორ მოაბეს ძაღლის საყელური გონებაშეზღუდულ, სულიერად დაავადებულ პატიმარს, მეტსახელად „მუსოლინას“ და ძაღლივით აყეფებდნენ, თან ამ ყველაფერს იღებდნენ და ერთობოდნენ. ჯერ, საერთოდ, სულიერად დაავადებული პატიმარი ციხეში არც შეიძლება იყოს, ეს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია.**

ვფიქრობ, გლდანის ციხე უნდა გაუქმდეს და იქ მიხეილ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის ამსახველი მუზეუმი მოეწყოს. მსოფლიოში არსებობს ასეთი მუზეუმები, რომლებშიც ფილმებსაც აჩვენებენ, გამოფენილია ფოტოები და სხვათა შორის, იქ ბავშვებიც შეჰყავთ. მაგალითად, 14 წლის ვიყავი, როდესაც რიგაში, საკონცენტრაციო ბანაკის მუზეუმში შევედი. არავის უთქვამს, 14 წლის ბავშვია და არ შეიძლება, ეს კადრები ნახოსო. დღეს ჰუმანურობაზე თავს რომ დებს ზოგიერთი, სინამდვილეში ამ საშინელი ქართული ნაციზმის ადეპტები არიან.

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

ჰკა მაგათა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვერასოდეს გავკიცხავთ ვერავის, რადგან ყოველთვის შეგვახსენებენ — იმ ქვეყნიდან არ ხართ, სადაც ქვეყნის ხელისუფალნი მამაკაცებს აუპატიურებდნენ და ეს მიღებული ფორმა იყოო? შეგვახსენებენ, რომ საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტი მამაკაცის გაუპატიურების კადრებით ტკბობას განიცდიდა და ხალხი ხმას არ იღებდა, პასუხს არ აგებინებდა.“**



## დავით გოგიშვილი:

# 1659 წელს ქართველთა აჯანყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ყიზილბაშებმა ქართველი სასულიერო პირი გააუპატიურეს...

**საქართველოს წინა ხელისუფლება, ანუ „ნაციონალური მოძრაობა“ მამაკაცებს რომ აუპატიურებდა, ერმაც იცოდა და ბერმაც, მაგრამ დღემდე ვერავინ ხვდება, რატომ ვითვალისწინებთ ხალხიც და ხელისუფლებაც, ყველა ერთად, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამეტის რჩევას, რომ „ნაცებს“ ხელი არ ვახლოთ?! რამდენიმე კვირაა, უფროსებიცა და ბავშვებიც სოციალურ ქსელში, ქუჩაში, სკვერში თუ ბულვარში ვუყურებთ ორგიებისა და ძალადობრივი სექსუალური ურთიერთობების ამსახველ კადრებს. რა დაგვემართა ქართველებს — გავირყვენით? მამათმავლობა ჩვეულებად ვაქციეთ? ჩვენ ხომ ის ერი ვართ, ერთი მღვდლის გაუპატიურების გამო ათიათასობით ყიზილბაში ცხენიანად რომ ავკუწეთ? საქართველოს ისტორიის ერთი პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი მონაკვეთის გასახსენებლად და დღევანდელობასთან შესადარებლად ისტორიკოს დავით გოგიშვილს ვესაუბრეთ.**

**— რამდენიმე კვირაა, ისედაც გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი საქართველოს მოსახლეობა „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილ ჯალათობას უყურებს. უკვე მერამდენედ გავრცელდა ფარული ჩანაწერები, რომლებიც საზარელი და შეურაცხმყოფელია თითოეული მოქალაქისთვის. ხალხი აღშფოთებულია, ხელისუფლებაში კი აზრი ორად გაიყო: ზოგი ამბობს, დანაშაულის ჩამდენი დაისაჯოსო, ზოგი — კადრების გამავრცელებელიო. როდემდე აიტანს ამას ხალხი?**

— თავიდანვე, როდესაც ფარული ჩანაწერები გავრცელდა, არ იყო შესაბამისი ზომები გატარებული. იმ საზარელი საქციელის ჩამდენები სათანადოდ არ დაისაჯნენ.

ის, რასაც ჩვენ ვუყურებთ, შეიძლება, სხვა ქვეყანაშიც მომხდარა, მაგრამ საქართველოში ამას მასობრივი ხასიათი ჰქონდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დანაშაული სისტემური იყო და საქართველოს ხელისუფლების მაღალი ეშელონების პოლიტიკის განუყოფელი ქვაკუთხედი.

მსოფლიოს საზოგადოებრიობა ქართველ ერს იცნობს, როგორც ერთ-ერთ კულტურულ ერს. დიდი ხანია, იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ფონდში ჩვენი ადგილი ღირსეულად დავიმკვიდრეთ, თანაც — საპატიო, ამიტომ **ქართველი საზოგადოება უნდა გაემიჯნოს ამ სისასტიკეს და ეს უნდა გავაკეთოთ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო პროპაგანდის დონეზე. ყველას უნდა მივაწვდინოთ ხმა და ვუთხრათ, რომ ქართველები იმას, რაც იმ ფარულ ჩანაწერებში ხდება, სასტიკად ვგმობთ.** თუ ასე არ გავაკეთებთ, საქართველოს არაკეთილმოსურნე სახელმწიფოები ამ მასალებს დაარქივებენ, შეინახავენ, გავა წლები და ოდესმე, როდესაც ქვეყანა ფეხზე წამოდგება და შევძლებთ, სხვას მივუთითოთ შეცდომებზე, ჩვენს გამოცდილებასა და მიღწევებზე ვესაუბროთ, სწორედ მაშინ ამოგვადენენ ცხვირში ძმრად. **ამ სიბინძურის სათანადოდ შეუფასებლობა ქართველ ხალხს უდიდეს პრობლემას შეუქმნის მომავალში. როგორი ქვეყანაც უნდა გახდეს საქართველო, ვერასოდეს გავკიცხავთ ვერავის, რადგან ყოველთვის შეგვახსენებენ — იმ ქვეყნიდან არ ხართ, სადაც ქვეყნის ხელისუფალნი მამაკაცებს აუპატიურებდნენ და ეს მიღებული ფორმა იყოო? შეგვახსენებენ, რომ საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტი საზარელი კადრებით ტკბობას განიცდიდა და ხალხი ხმას არ იღებდა, პასუხს არ აგებინებდა.**

არაფრით შეიძლება ამ საზიზღრობაზე თვალის დახუჭვა. არავის შეურაცხვყოფ, მაგრამ „ვარსკვლავებს“, რომლებსაც ჰგონიათ, რომ საქართველოში კულტურა მათით იწყება, ვეტყვი, თავიანთი აზრი თავისთვის შეინახონ და ლოიალურობისკენ ნუ მოგვიწოდებენ. საქართველოს ჯერ კიდევ ჰყავს ადამიანები, რომლებსაც ქვეყნის განვითარებაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი, მათი აზრის გათვალისწინება გვირჩევნია.

**საჭიროა, მსოფლიოს მედიასაშუალებების მოწვევა, განგაშის ატეხვა და ყოფილი ხელისუფლების წევრების გადაცემა ჰააგის სასამართლოსთვის. სჯობს, ჩვენ, ხალხმა, გადავცეთ სასამართლოს ეს ადამიანები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას სხვა გააკეთებს და შევრცხვებით.** საქართველო საპაკაშვილით არ დაწყებულა და არც დასრულდება. ჩვენი ახლანდელი ინდიფერენტულობა შთამომავლობას წაამტვრევინებს ფეხს. ხომ გსმენიათ, — ბაბუის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოჭრა კბილიო. ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე ამბობდა: „ჩვენი შვილები ნაკლებად უნდა ვატიროთ, რომ ჩვენს საფლავებზე ბევრი ცრემლი ღვარონო“.

ხალხს ჯერ კიდევ არ აქვს გაცნობიერებული, რა საშინელებასთან გვქონდა საქმე. კადრებს, რომლებიც ყოველდღე ვრცელდება, რომლებზეც გაუგონარი სისასტიკე და სიბინძურეა აღბეჭდილი, ჩვენი შვილებიც ნახავენ, და, თუ სათანადოდ არ შევაფასეთ, არ დავსაჯეთ ამის ჩამდენები, ხვალ შვილებს ვერ ვეტყვით, რომ ეს ცუდი საქციელია, რომ კაცი კაცთან არ უნდა წვებოდეს. გაუკუღმართებული სქესობრივი ცხოვრება, **მამათმავლობა ჩვენი შვილებისთვის მისაღები გახდება; გვეტყვიან, მამათმავლობით მთავრობა იყო დაკავებული, ხალხი და „ინტელიგენცია“ კი გაგებით ეკიდებოდაო.**

ძალადობის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, ამიტომ მოვითხოვ და ხალხსაც და ეკლესიასაც მოვუწოდებ, რომ წინა ხელისუფლების წევრები, ადამიანები, რომლებიც მამაკაცებს აუპატიურებდნენ, ყველა კანონის დაცვით, საერთაშორისო სამართალს გადავცეთ და მსოფლიოს დავანახვოთ, რომ ვემიჯნებით მამათმავლობას.

**— „ქართული ოცნებაში“ „ნაცმოძრაობიდან“ ე.წ. პორტირებული პერსონები საზოგადოებას ხშირად ამუნათებენ ფარისევლურად — უმადურები ნუ ხართ, ბიძინა ივანიშვილმა 320 ათას ქართველს უკანალიდან ცოცხი გამოუღოო. 320 ათასი შეურაცხყოფილი ქართველი ცოტა არ არის. საქართველოს მუდამ აურაცხელი მტერი ჰყავდა, ბევრი ჭირ-ვარამი გამოიარა, ისტორიას ბევრი რამ შემორჩა, მაგრამ მამაკაცის გაუპატიურება თითქმის არ გვახსოვს, არც მომხდური მტრისგან. ასეთი ერთადერთი შემთხვევა იყო... როგორც ისტორიკოსი ხომ არ გაიხსენებთ საქართველოს ისტორიის ამ პატარა მონაკვეთს?**

— კი, იყო საქართველოს ისტორიაში ასეთი რამ და მინდა, მკითხველს ეს შევახსენოთ. შევახსენოთ, როგორი მიუღებელი იყო ქართველი კაცისთვის მამათმავლობა, მამაკაცის გაუპატიურება.

**საქართველო ხშირად იყო დაპყრობილი სასტიკი და დაუნდობელი მტრისგან. წელში წყვეტდნენ ქართველ გლეხებს გადასახადებისგან. შრომისგან ქანცგაცლილებს ბრძოლაც ბევრი ჰქონდათ, მაგრამ დაუნდობლები და სასტიკები ხდებოდნენ მაშინ, როცა მომხდური ისეთ სისასტიკეს ჩაიდენდა, როგორიც „ნაცმოძრაობამ“ საკუთარ ხალხს, ქართველ მამაკაცებს გაუკეთა.**

გავიხსენოთ ბახტრიონის ბრძოლა, რომელიც 1659 წელს მოხდა — სპარსი დამპყრობლების წინააღმდეგ კახეთის აჯანყების გმირული ეპიზოდი. **ამ აჯანყებას სათავეში ზაალ არაგვის ერისთავი, მისი ვაჟი ზურაბი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები და ბიძინა ჩოლოყაშვილი ედგნენ.**

კახელების გარდა, ამ აჯანყებაში მონაწილეობდნენ თუშები, ფშაველები და ხევსურები. ისტორიაში მცირე ცნობებია შემონახული ამ ბრძოლის შესახებ, ზეპირსიტყვიერებაში კი მდიდარი მასალაა დაცული. **აჯანყებულთა თავდასხმა ბახტრიონის ციხეზე, სადაც ყიზილბაშთა მთავარი ჯარი იდგა, როგორც ჩანს, ღამით, მტრისთვის მოულოდნელად მომხდარა. აჯანყებულები, ამასთანავე, თავს დაესხნენ ალავერდის მონასტრის გალავანში გამაგრებულ ყიზილბაშებს და სასტიკად დაამარცხეს ისინი.**

ბახტრიონის სასტიკი ბრძოლისა და ქართველთა აჯანყების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, გარდა იმ მიზეზებისა, რომლებიც ყიზილბაშთა მრავალწლიან მმართველობას ახლდა, იყო ის, რომ გზად მიმავალი ქართველი სასულიერო პირი გააუპატიურეს ყიზილბაშებმა. ყველაფერი მოითმინეს ქართველებმა, მაგრამ ეს შეურაცხყოფა ბოლო წვეთი აღმოჩნდა. **შეურაცხყოფათა იერარქიაში ყველაზე დიდი შეურაცხყოფა და სულში ჩაფურთხება იყო მღვდლის გაუპატიურება და ბახტრიონის აჯანყებაც დაიწყო. ქართველებმა ყიზილბაშები ცხენიანკაციანად გაწყვიტეს. იმ ადგილს, სადაც ქართველებმა მღვდლის გამაუპატიურებელი ყიზილბაშების ჯავრი იყარეს, დღემდე „განწყვეტილას“ უწოდებენ.**

## «იმ ადგილს, სადაც ქართველებმა მღვდლის გამაუპატიურებელი ყიზილბაშების ჯავრი იყარეს, დღემდე «განწყვეტილას» უწოდებენ»

ქართველებმა იცოდნენ, რომ შაჰის რისხვას ვერ გადაურჩებოდნენ და ამასაც ვაჟკაცურად შეხვდნენ, ქვეყანა რომ გადაერჩინათ, ბახტრიონის ბრძოლის გმირები თვითონ ეახლნენ შაჰს და თავი გაწირეს.

აი, ამ ერის შვილები ვართ, ამიტომ არ შეიძლება, გულგრილად ვუყუროთ მამაკაცების გაუპატიურებას.

**320 ათასი ქართველის წინაშე კი ხელისუფლებაა დამნაშავე, სწორედ ის არ აღმოჩნდა სათანადო დონეზე, არ გაამწვავა, არ დაინახა დანაშაულის სისასტიკე ისე, როგორც საჭირო იყო და ეს ფარული ჩანაწერები სავაჭრო, საჯილდაო ქვად აქცია. საქართველოს ხელისუფლებამ სათანადო შეფასება ვერ მისცა საუკუნის დანაშაულს, რადგან ამერიკის ელჩს ვერ გაუწია წინააღმდეგობა. კაცობრიობის წინაშე ჩადენილი სასტიკი დანაშაულისთვის „ნაცმოძრაობის“დასჯა ამ პოლიტიკური პარტიის მიწის პირისგან აღგვას გამოიწვევდა, ეს კი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს ხელს არ აძლევდა, თუმცა ძნელია, ქართველ ხალხს აუხსნა, რა გარემოებების გამო არ დაისაჯნენ დამნაშავეები.**

ყველა უნდა დაისაჯოს, მამაკაცის გაუპატიურება ინდაურის მოპარვა არ არის. ეს მიუტევებელი დანაშაულია!

**— მართალია, უცხო ქვეყნის გავლენის ქვეშ ვიმყოფებით და ბევრ რაღაცას ანგარიშს ვუწევთ, მაგრამ ის, რაც ჩვენ თვალწინ ხდებოდა, საშინელება იყო, ჩვენ კი აქამდე სათანადოდ არ შევაფასეთ ეს ყველაფერი. რა დაგვემართა — გავფუჭდით, გავირყვენით?**

— 25 წელია, ქართველი კაცი იმედგაცრუებულია. სოციალური ფონი მძიმეა, უკიდურეს სიღატაკეში ვცხოვრობთ, სულში ჩაფურთხებულები ვართ, ამიტომ ინდიფერენტული გავხდით. ის, რაც ჩვენ გვჭირს, განეკუთვნება მორალურ პრობლემათა ისეთ კატეგორიას, რომელიც ადამიანის აზროვნების ისეთ კონცენტრაციას საჭიროებს, რომლის მობილიზაციასაც მშიერი ადამიანი ვერ შეძლებს.

მართალია, ქართველი საზოგადოება დაღლილია 25 წლის განმავლობაში არსებული ვითარებით, მაგრამ, თუ იმ სისაძაგლეზე, რაც მოხდა, თვალს დავხუჭავთ, უფრო დიდ და საზიზღარ შედეგს მივიღებთ. რიგითი ქართველის თვალში საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის იდეა მნიშვნელობას დაკარგავს, გაუფასურდება. აი, მაშინ დავიღუპებით. მსოფლიოს თვალში ჩვენ უკვე საზიზღარ და ნეგატიურ მოვლენებთან ვასოცირდებით, რაც ქართული სახელმწიფოებრიობის ლეგიტიმაციის ხარისხს საფუძველშივე სპობს. ამ ყველაფერს ჩვენ, ხალხმა, უნდა მივხედოთ.

ქართველებს უამრავი წმინდანი გვყავს და უამრავი წმინდანის ნაწილებს რუდუნებით ვინახავთ. უფლისა და სრულიად საქრისტიანოს წინაშე ქართველებზე დიდი პასუხისმგებლობა არავის აკისრია. საქართველო წმინდა მიწაა და მას მსოფლიოს წინაშე სხვანაირი წარდგენა სჭირდება და არა — მამაკაცებზე ძალადობით „სახელის მოხვეჭა“. საქართველოს **2003- 2012 წლებში დამნაშავე ხელისუფლება ჰყავდა და ეს დანაშაული მენტალური იყო, რაც აუცილებლად ყველას უნდა გავაგებინოთ. ერი, ბერი, მთავრობა უნდა დავირაზმოთ და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ საერთაშორისო სასამართლოს გადავცეთ, ჩვენვე მოვითხოვოთ მათი გასამართლება კაცობრიობის წინაშე ჩადენილი სასტიკი დანაშაულისთვის.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„ადამიანის ასეთ შეურაცხყოფას მისთვის სიცოცხლის მოსწრაფება სჯობია. ადამიანი რომ მოკლა, მის ღირსებას ვერ გათელავ. ადამიანის პირადი ღირსება უფრო ძვირფასია, ვიდრე მისი სიცოცხლე. ილია ჭავჭავაძე სასტიკად მოკლეს, მაგრამ მისი ღირსება ვერ გათელეს. ესენი კი პირდაპირ ღირსებას შეეხნენ!“**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მამა თეოდორე:

# ფაშისტების სისასტიკეს ზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ არ მსმენია, რომ ისინი საკონცენტრაციო ბანაკებში მამაკაცებს აუპატიურებდნენ

**ზუგდიდთან ახლომდებარე ტყეში 2013 წელს ნაპოვნმა და ახლახან უკრაინულ ვებგვერდზე გამოქვეყნებულმა ვიდეომასალამ ბევრი ადამიანი დააფიქრა იმაზე, თუ ვინ ვართ ჩვენ და სად მიექანება საქართველო. გვესაუბრება თბილისის ჯვართამაღლების ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი თეოდორე გიგნაძე.**

**— მამაო, ბევრი პოლიტიკოსის, საზოგადო მოღვაწის, აგრეთვე, უბრალო მოქალაქის აზრი მომისმენია იმ საშინელი კადრების ჩვენებაზე, რომლებმაც შეგვძრა. საინტერესოა, რას იტყვით თქვენ, ღვთისმსახური?**

— ჩემთვის ძალიან რთულია ამ ვიდეომასალებზე მსჯელობა, რადგან ეს ეხება არა მხოლოდ ზნეობას, არამედ პოლიტიკას. რომ დავიწყო ამ საქმეში ჩაძიება, მტყუან-მართლის გარჩევა, გამოჩნდება ჩემი პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათია, რომელიც მე, როგორც მოქალაქეს, მაქვს. ამასთანავე, გარკვეულწილად ვიცავ უდანაშაულობის პრეზუმფციას. ამ საქმეზე უნდა ჩატარდეს გამოძიება, მერე გაიმართოს სასამართლო და გამოიტანოს განაჩენი! ასი პროცენტით რომ ვიყო დარწმუნებული, ეს დანაშაულები ჩაიდინა „ნაციონალური მოძრაობის“ არა რამდენიმე წევრმა, არამედ მისმა მმართველმა ჯგუფმა, რომ მან მოიფიქრა, დაგეგმა და ამ დანაშაულს მისცა სისტემური ხასიათი, რადგან ასე ემართა სახელმწიფო, მაშინ ვიტყოდი, რომ საქმე გვაქვს დანაშაულებრივ ჯგუფთან, რომელსაც არ აქვს უფლება არც პოლიტიკაში და არც თავისუფლებაზე ყოფნისა. ვიტყოდი, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არიან კრიმინალები, თანაც — განსაკუთრებული კრიმინალები, რომლებმაც სისასტიკით გერმანელი ფაშისტებიც დაჩრდილეს!

ფაშისტების სისასტიკეს ზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ არ მსმენია, რომ ისინი საკონცენტრაციო ბანაკებში მამაკაცებს აუპატიურებდნენ. დამეთანხმებით, რომ ჰიტლერი და მისი მთავრობის წევრები არ იყვნენ სიკეთის მომტანნი, მათი აზრები არ იკვებებოდა ღვთის მადლით; მათი აზრები და ქმედებები იყო დემონური.

**— ანუ, მამაო, ფაშისტები დემონების დაკრულზე ცეკვავდნენ? გამოდის, ეშმაკმაც კი არ შთააგონა ჰიტლერსა და მის ხროვას, მამაკაცები გაეუპატიურებინათ...**

— ვფიქრობ, მაგ დროს ჰიტლერის მსგავსი ადამიანები არ იყვნენ ისე დაცემულნი, როგორც დღევანდელები. ბოროტებას, ცოდვას, დანაშაულს აქვს თავისი ზღვარი, მაგრამ ეს, რაც ვნახე, გაუგონარია.

ბახტრიონის აჯანყება მოხდა მაშინ, როდესაც მუსლიმანებმა მღვდელი შეურაცხყვეს და ერმა ეს ვერ დაიტია.

**— რატომ ვერ დაიტია?**

— **იმიტომ, რომ ძალიან სამარცხვინოა, რაც ჩაიდინა უცხო თესლმა, შემოსულმა მტერმა. პასუხიც საკადრისი იყო. ერთ დღე-ღამეში ქართველებმა 80 ათასი ყიზილბაში დახოცეს. არავინ დაინდეს — არც ბავშვი და არც ქალი. ახლა კი ამას ჩვენვე ვაკეთებთ. ქართველებს არაერთხელ ჩაუდენიათ სამარცხვინო საქციელი — ღალატი, ეკლესიების ნგრევა, მაგრამ ასეთი — პირველად. დღეს მე მრცხვენია.**

მგონი, კანონიც არ არსებობს, რომ ასეთი დანაშაულისთვის პირი გაასამართლო. დიდი-დიდი, მიუსჯიან რამდენიმე წელს და მორჩა, მაგრამ მანიაკს ხომ არ უშვებენ გარეთ, ის სამუდამო პატიმარია და ესენი მანიაკები არ არიან?! ადამიანი ხომ არ არის ხორცის გროვა, მას უკვდავი სული აქვს, ხატია ღვთისა, აქვს ღირსება, ამიტომ ადამიანის ასეთ შეურაცხყოფას, მისთვის სიცოცხლის მოსწრაფება სჯობია. ადამიანი რომ მოკლა, მის ღირსებას ვერ გათელავ. ადამიანის პირადი ღირსება უფრო ძვირფასია, ვიდრე მისი სიცოცხლე. ილია ჭავჭავაძე სასტიკად მოკლეს, მაგრამ მისი ღირსება ვერ გათელეს! ესენი კი პირდაპირ ღირსებას შეეხნენ! არ მყოფნის სიტყვები...

**— ზოგიერთი პოლიტიკოსი მოითხოვს იმ ადამიანების დასჯას, რომლებმაც ეს ვიდეომასალები გამოამზეურა.**

— ნებისმიერი ქმედება მოტივაციით განისაზღვრება. **თუ ამ საშინელი კადრების გამომქვეყნებელს ამოძრავებდა პირადი ინტერესები, ეს უზნეო საქციელია, მაგრამ, თუ ამ ქმედებით ვინმეს უნდოდა მიძინებული ხალხის გამოღვიძება სამშობლოს საკეთილდღეოდ, მაშინ ეს გამართლებულია.**

**— ხომ შეიძლებოდა, ეს მასალები ამჟამინდელ ხელისუფლებას გამოექვეყნებინა? არჩევნებია კარს მომდგარი.**

— უკვე გითხარით: თუ არ ჩატარდება გამოძიება და არ იქნება სასამართლოს განაჩენი, ვერავის დავადანაშაულებ — ვერც წინა ხელისუფლებას, ვერც ამჟამინდელს. ამ საქმეში მთავარია ფაქტი და არა ლოგიკა. მარტო ლოგიკური დასკვნით ადამიანს ვერ დავადანაშაულებ.

**— მამაო, ჩემი დაკვირვებით, ადამიანები დანაშაულს, ძირითადად, თანამდებობის ხელში ჩაგდების მიზნით სჩადიან...**

— ქართული სიტყვა **თანამდები** ნიშნავს **ვალს. თანამდებობა** ნიშნავს **ვალში ყოფნას** და, რაც უფრო მაღალ თანამდებობაზეა ადამიანი იერარქიულად, უფრო დიდ ვალში იმყოფება ღვთისა და ერის წინაშე. უფალი ამბობს: მე მოვედი არა იმიტომ, რომ მემსახუროთ, არამედ იმიტომ, რომ გემსახუროთო. ეს სიტყვები ეკუთვნის, ასევე, ქრისტიანებს, ღვთისმსახურთ და, რა თქმა უნდა, თანამდებობის პირებს, ხელისუფლება ხომ ღმერთის მიერ დადგენილი იერარქიაა და მისი ვალია, ხალხს ემსახუროს. როგორც წინა, ასევე დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა ნახევარს მაინც რომ ჰქონოდა პასუხისმგებლობა, ანუ მათ რომ ეგრძნოთ თითოეული ადამიანის ტკივილი, ჩვენ არ აღმოვჩნდებოდით ასეთ სავალალო მდგომარეობაში. არავინ ფიქრობს, როგორ გამოიყვანოს მოსახლეობა სიდუხჭირიდან, ამ გაუგებარი მდგომარეობიდან, რომელშიც ჩვენ ვართ.

**— დავუშვათ, მამაო, რომ ამ ვიდეომასალების საქმეზე ჩატარდა გამოძიება და დასახელდნენ დამნაშავეები. რა სასჯელის ღირსნი იქნებიან ისინი?**

— დამნაშავეები სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ, ისე, რომ მომავალში არავის აზრადაც არ მოუვიდეს ასეთი საზიზღრობის ჩადენა.

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**



სხვა საქართველო სად არის

გოგი თოფაძე:

# პრეზიდენტობის 100 კანდიდატი რომ გვყოლოდა, ივანიშვილის მხარდაჭერის გარეშე მარგველაშვილი 90-ე ადგილზეც ვერ გავიდოდა

**მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერით საქართველომ 24 წლის წინათ ნანატრი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ წლების შემდეგ მაინც აქტუალურია კითხვა — არის კი დღეს ქვეყანა ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და თავისუფალი გარე ძალების ჩარევისგან? რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდა საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ და როგორ განვლო თავისუფლების 24 წელი 1990-იანი წლებიდან დღემდე? — ამ საკითხებსა და პრობლემების გადაჭრის გზებზე საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ჩვენს რუბრიკაში ისაუბრებენ. რუბრიკის სტუმარია პარლამენტის წევრი გოგი თოფაძე.**

**— ბატონო გოგი, უკვე ოც წელზე მეტია, საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაგრამ არის კი დღეს ჩვენი ქვეყანა ისეთი სუვერენული სახელმწიფო, როგორზეც ვოცნებობდით?**

— თუ ბოლო ოც წელიწადს გადავხედავთ, უნდა ითქვას, რომ დიდი წარმატებები ნამდვილად არ გვქონდა. 1990-იანი წლებიდან დაწყებული, ვერ ვიტყვი, რომ ქვეყანაში სერიოზული წინსვლა იგრძნობოდა. პირიქით, იმ დროს, როცა მსოფლიოში თანამედროვე ტექნოლოგიები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა, ჩვენ ქვეყანას ვანგრევდით. ასე იყო 2012 წლამდე...

**— ახლახან გავრცელდა „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ჩადენილი წამებისა და გაუპატიურების კადრები. რატომ მოხდა ასე, რომ სწორედ დამოუკიდებლობის წლებში დემოკრატიული მთავრობის ნაცვლად მივიღეთ ხელისუფლება, რომელიც ადამიანებს ასე სასტიკად ექცეოდა?**

— ჩვენ კი არ მივიღეთ ასეთი მთავრობა, არამედ დაგვინიშნეს. **თუ მანამდე ჩრდილოელი მეზობელი გვინიშნავდა მთავრობას, 1990-იან წლებში ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთნენ ოკეანისგაღმელები და ცხადია, ეს არ ყოფილა საქართველოს არჩევანი.**

უნდა ითქვას, რომ დღეს უკვე ქვეყნის გადარჩენისა და აღორძინების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ ორ-სამ წელიწადში რთულია იმ უამრავი პრობლემის მოგვარება, რომლებიც ამ წლებს განმავლობაში დაგროვდა ეკონომიკაში, განათლებასა თუ სხვა სფეროში.

**— ბატონო გოგი, მოგეხსენებათ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა შეთქმულების მუხლით გამოძიება დაიწყო. დამოუკიდებლობიდან 24 წლის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ საქართველო კვლავ სახელმწიფო გადატრიალების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა?**

— საქართველოში მსგავსი არაფერი მოხდება. ჩვენი სპეცსამსახურები საკმაოდ კარგად აკონტროლებენ სიტუაციას და ამას არ დაუშვებენ. ეს აჟიოტაჟი სპეციალურად ატეხეს ნაციონალებმა, რადგან თავიანთი ლიდერისგან იღებენ მითითებებს. ზოგიერთსაც ეშინია, არ გამოიკვლიონ მათ მიერ ჩადენილი საქმეები. დავმშვიდდეთ, არაფერი მოხდება.

**— უკვე აშკარაა პრემიერისა და პრეზიდენტის დაპირისპირება. ისინი საჯაროდ აკეთებენ ერთმანეთის საწინააღმდეგო განცხადებებს. პრეზიდენტმა პირდაპირ დაადანაშაულა პრემიერი, რომ ის სიტუაციას ძაბავს...**

— დაპირისპირება პრეზიდენტის არაადეკვატურმა საქციელმა გამოიწვია. შეიძლება უხეში შედარება მომყავს, მაგრამ პრეზიდენტობის 100 კანდიდატი რომ გვყოლოდა, ივანიშვილის მხარდაჭერის გარეშე მარგველაშვილი 90-ე ადგილზეც ვერ გავიდოდა. პრეზიდენტმა უნდა იცოდეს, როგორ და ვისი სახელით მოვიდა ხელისუფლებაში. სულ სხვა რაღაცებს ამბობდა, სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, და ახლა სულ სხვას ლაპარაკობს. ეჭვი მაქვს, მასზეც ახდენენ ვიღაცები ზეგავლენას და მთლად თავისუფალი არ არის მოქმედებაში... თავდაპირველად ამბობდა, არ გადავალ პრეზიდენტის რეზიდენციაში, სადაც სააკაშვილი იყოო, შემდეგ გადავიდა. რაც შეეხება პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, დღეს ყველა პრობლემა მის კისერზეა და, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა, შეიძლება გამოცდილება აკლდა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ქვეყანას შესანიშნავად მართავს.

პრეზიდენტს შეუძლია, პირდაპირ დაურეკოს პრემიერს ან შეხვდეს და უთხრას, რაც სათქმელი აქვს. ასე ტელევიზიებითა და გაზეთებით კი არ უნდა ესაუბროს. ეს დაძაბულობა იმით აიხსნება, რომ, როგორც ბიძინა ივანიშვილმა თქვა, გაპრეზიდენტების შემდეგ მარგველაშვილი, როგორც პიროვნება, შეიცვალა.

**— ბიძინა ივანიშვილმა სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, გიორგი მარგველაშვილის ბიოგრაფია რომ შემესწავლა, მის კანდიდატურას არ დავაყენებდიო. მართებული იყო ხალხისთვის ისეთი კანდიდატის მხარდაჭერისკენ მოწოდება, რომელსაც არ იცნობდა?**

— გიორგი მარგველაშვილი ესწრებოდა პარტიის სხდომებს და იმხანად მსგავსი საქციელი არ შეგვიმჩნევია, პირიქით, ძალიან პოზიტიური იყო და ყველა საკითხში „ქართული ოცნების“ პოზიციასა და იდეებს იზიარებდა, მაგრამ, როგორც კი პრეზიდენტის სავარძელში ჩაჯდა, უცებ შეიცვალა, თუმცა ესეც ბუნებრივია, ზოგ ადამიანს თანამდებობა ცვლის.

**«1990-იან წლებში ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთნენ ოკეანისგაღმელები და ცხადია, ეს არ ყოფილა საქართველოს არჩევანი»**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ივანიშვილმა შეცდომა დაუშვა მარგველაშვილის გაპრეზიდენტებით, მაგრამ პრეზიდენტიც მატყუარა გამოდგა. ყველაფერი, რასაც მანამდე ამბობდა, უკუღმა გააკეთა. მარგველაშვილმა ხალხი მოატყუა“.

# საქართველო ივანიშვილის შეცდომებს იმკის



„მარგველაშვილი პოლიტიკაშიც გამოცდილია, კარგი ანალიტიკოსია, კარგი ექსპერტი. ყველაზე მეტად, სადაც რა გამიჭირდება, გიორგის ვეძახი და ვეკითხები აუცილებლად, 2-3 კაცი მყავს ასეთი, რომლებთანაც ნებისმიერ საკითხზე შემიძლია საუბარი. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ადამიანს ვიცნობ“.

ბიძინა ივანიშვილი, 2013 წ. მაისი

„საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურების შენახვის ფუფუნება. პრეზიდენტის ფუნქციები (მხედველობაში მაქვს არა ფორმალური, კონსტიტუციური, არამედ რეალური) ქვეყნის იმ სასიცოცხლო პრობლემებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რომელთა გადასაჭრელად პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევა საკმარისი არ არის.“

ალექსანდრე ჭაჭია, 2013 წ. თებერვალი

„მარგველაშვილის წარსული თავიდანვე რომ შეგვესწავლა, ის ახლა პრეზიდენტი არ იქნებოდა. მას ნაზად მიანიშნეს, რომ სასახლიდან გამოსულიყო, მაგრამ ყურად არ იღო... არაფრით დატვირთული არ არის“.

ბიძინა ივანიშვილი, 2015 წ. ოქტომბერი

**24 ოქტომბერს საქართველოს ყოფილმა პრემიერმინისტრმა, აწ უკვე მოქალაქე ბიძინა ივანიშვილმა თავისი მორიგი სატელევიზიო ინტერვიუთი კიდევ ერთხელ მოახერხა ქართველი საზოგადოების აღშფოთება. ივანიშვილმა ქართველ ხალხს კიდევ ერთხელ წაუკითხა ლექცია „წარმატების ფორმულაზე“ და ისიც გვამცნო, რომ ხალხის ბედი აწუხებს, თორემ თვითონ „ნაძვნარში“ ცხოვრობს და თავს შესანიშნავად გრძნობს.**

მთავარი „მოქალაქის“ კრიტიკის სამიზნეში პრეზიდენტი მარგველაშვილი აღმოჩნდა. ივანიშვილმა „ვაჟკაცურად“ აღიარა თავისი დანაშაული და განმარტა, რომ შეეშალა და არ იცნობდა მომავალ პრეზიდენტს...

აქ გაგახსენებთ ბიძინა ივანიშვილის სიტყვებს, რომლებიც მან **2013 წლის 11 მაისს** საპრეზიდენტო კანდიდატის წარდგენისას წარმოთქვა: **„ჩემი აზრით, ეს არის საუკეთესო ვარიანტი, იდეალური ვარიანტი, ასეც ვიტყოდი. თუ რამე ღირსება შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, თანაც ამ პოსტზე, ყველა ღირსება მას აქვს ჭარბად. განათლება, მეცნიერება, კრეატიულობა, კრიზისულ სიტუაციაში უნიკალურია გიორგი, მენეჯმენტი, კარგი პრაქტიკა აქვს გავლილი, ამაშიც გამოცდილია, პოლიტიკაშიც გამოცდილია, კარგი ანალიტიკოსია, კარგი ექსპერტი. ყველაზე მეტად, სადაც რა გამიჭირდება, გიორგის ვეძახი და ვეკითხები აუცილებლად, 2-3 კაცი მყავს ასეთი, რომლებთანაც ნებისმიერ საკითხზე შემიძლია საუბარი. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ადამიანს ვიცნობ“.**

მანამდე კი, ვიდრე ივანიშვილი ამ ფრაზას წარმოთქვამდა, **პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ** გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში (№6. 20-26 თებერვალი, 2013 წ.) თქვა: **„საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურების შენახვის ფუფუნება. პრეზიდენტის ფუნქციები (მხედველობაში მაქვს არა ფორმალური, კონსტიტუციური, არამედ რეალური) ქვეყნის იმ სასიცოცხლო პრობლემებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რომელთა გადასაჭრელად პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევა საკმარისი არ არის. მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის აქტიური მოღვაწეობის სფერო უნდა იყოს აფხაზურ და ოსურ მხარესთან, რუსეთის ფედერაციასთან, მათ შორის, ჩრდილოეთკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა.**

**ახალი პრეზიდენტი არაფრით უნდა იყოს დაკავშირებული წინა რეჟიმებთან, რომლებიც ჩვენი პარტნიორების აღქმაში ომთან და სისხლთან ასოცირდებიან. სასურველია, რომ იგი მათთვის პოზიტიურად ცნობილი იყოს, თუმცა, შესაძლოა, ის იყოს აბსოლუტურად ახალი სახე. მთავარია, იგი აცნობიერებდეს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას — 1-2 წელიწადში ვითარების კარდინალურად შეცვლას...**

**სხვათა შორის, ვთავაზობდი, დაევალდებულებინათ პრეზიდენტი, უკვე 1-2 წლის შემდეგ ამ მიმართულებით თავისი საქმიანობის კონკრეტული შედეგები წარედგინა საზოგადოებისთვის. გარწმუნებთ, რომ ამ შემთხვევაში პრეზიდენტობაზე პრეტენდენტთა რაოდენობა არ იქნებოდა ორ-სამზე მეტი და მათთვისაც თხოვნა იქნებოდა საჭირო, კენჭი ეყარათ, მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მოსახლეობის კისერზე დასვას მაღალი რანგის უსაქმური, რომელიც დახვდება უცხოელ სტუმრებს, ხელს მოაწერს მთავრობის მიერ მომზადებულ ქაღალდებს და პერიოდულად ტელევიზორის ეკრანიდან მოგვიყვება, თუ როგორ ძლიერ, დემოკრატიულ ქვეყანას აშენებს ეს ხელისუფლება.**

**საერთოდ, ივანიშვილის ქცევიდან, მისი საკადრო პოლიტიკიდან, რიტორიკიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ჩვენი კონფლიქტების მოგვარება არც პირადად მისთვის და არც ამ ხელისუფლებისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს. თუ შენიშნეთ, აფხაზეთის თემა საქართველოს საჯარო პოლიტიკიდან შეუმჩნევლად ამოვარდა. არც ხელისუფლება, არც ოპოზიცია, არსებითად, ამ საკითხს არ ეხება. რაკი აცნობიერებენ, რომ მათგან ვერც ერთი ახერხებს, თუნდაც შეუდგეს ამ პრობლემების მოგვარებას, ცდილობენ, გვერდი აუარონ, ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლონ, არ გაამახვილონ საზოგადოების ყურადღება ამ, მათი აზრით, უიმედო თემებზე.**

**თუთიყუშივით იმეორებენ ივანიშვილის გაუგებარ სენტენციას: „ჩვენს ძმებ აფხაზებთან და ოსებთან ერთად ავაშენებთ აყვავებულ საქართველოს“. რომელმა აფხაზმა გიწოდა ძმა? რომელი ოსი დაგთანხმდა ერთად ქვეყნის აშენებაზე?“**

2015 წლის 24 ოქტომბერს კი ყოფილმა პრემიერმა ივანიშვილმა პრეზიდენტ მარგველაშვილზე ვრცლად ისაუბრა: **„თავიდანვე რომ შეესწავლათ მარგველაშვილის ბიოგრაფია, ის ახლა პრეზიდენტი არ იქნებოდა. პრეზიდენტმა კონკრეტულ შეკითხვებს პასუხი უნდა გასცეს. ერთადერთი პირობა დამიყენა მარგველაშვილმა, როცა საუბარი იყო პრეზიდენტობის კანდიდატურაზე, მე დაცვით არ ვივლი, ხალხთან ახლოს უნდა ვიყოო და დანახარჯებიც ნაკლები იყოსო. თუ გავიხსენებთ ამ კაცის მოთხოვნებს პრეზიდენტობამდე, რომ მას უნდოდა დაცვის გარეშე სიარული, ეს კაცი იმ მარგველაშვილს უპირისპირდება, რომელიც პრეზიდენტი არ იყო. საკუთარ ხასიათს უპირისპირდება. მისი წარსული თავიდანვე რომ შეგვესწავლა, ის ახლა პრეზიდენტი არ იქნებოდა. მას ნაზად მიანიშნეს, რომ სასახლიდან გამოსულიყო, მაგრამ ყურად არ იღო... არაფრით დატვირთული არ არის, დიდი სტაფი მაგას არა ჰყავს. თავად რომ აცხადებს, რომ კონსტიტუციის დამცველი და დარაჯია, თვითონ უნდა დაიცვას კანონები. ასეთი საოკაშვილიც იყო“.**

ფაქტია, ივანიშვილიც მარგველაშვილივით საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, როდესაც ამბობს, რომ მარგველაშვილს არ იცნობდა, რადგან თვითონვე გამოგვიცხადა, რჩევას სწორედ მას ვეკითხებოდიო...

**პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას თვალით დანახულ საქართველოს პრეზიდენტსა და ივანიშვილის შერჩეულ კანდიდატს შორის სხვაობაზე დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე და პოლიტოლოგი ჯუმბერ კირვალიძე გვესაუბრებიან.**

## «ვინ დაელაპარაკება ქვეყნის პირველ პირს, რომელსაც ივანიშვილი ამაიმუნებს?!»

**ვასილ ჭიჭინაძე:**

**— ბატონო ვასილ, რამდენიმე დღის წინათ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, გიორგი მარგველაშვილს არ ვიცნობდი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის კანდიდატურას პრეზიდენტის პოსტზე არ შემოგთავაზებდითო...**

— **მართალს ამბობდა პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია თქვენს გაზეთთან ინტერვიუში: „საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურების შენახვის ფუფუნება!“.** პრეზიდენტს ჩვენი ფულით ვარჩენთ, მაგრამ ასეთი პრეზიდენტი გინდ ყოფილა, გინდ არა... რატომ გვაიძულებენ, ვარჩინოთ? ეს საპარლამენტო ქვეყანააო, — გვარწმუნებენ, მაგრამ ასე არ არის. ეს ქვეყანა არც საპარლამენტოა და, საერთოდ, რა არის, არავინ იცის.

მთავრობისთვის, ალბათ, სასურველი იყო, მარგველაშვილი მორჩილი პრეზიდენტი ყოფილიყო, მაგრამ, წესით, მას მორჩილება არ ეკუთვნის. თანამდებობას ადამიანი ქმნის და არა — თანამდებობა ადამიანს. **მარგველაშვილი პლასტელინი არ გამოდგა, როგორც ივანიშვილს ეგონა. არადა, ბევრმა იცოდა, რომ მარგველაშვილი პლასტელინი არ იყო. ვინც ამის შესახებ იცოდა, ალბათ, იმ ადამიანებმა ივანიშვილს ვერ გაუბედეს ამის თქმა.**

ივანიშვილს გააზრებული არ ჰქონდა, პრეზიდენტად ვის ნიშნავდა, მას მორჩილი კაცი უნდოდა, მაგრამ ასეთი პრეზიდენტი ქვეყანას რისთვის სჭირდებოდა, ეს უკვე აღარ ვიცი.

ამ შემთხვევაშიც მართალია ალექსანდრე ჭაჭია, ის ამბობდა: **„პრეზიდენტის აქტიური მოღვაწეობის სფერო უნდა იყოს აფხაზურ და ოსურ მხარესთან, რუსეთის ფედერაციასთან, მათ შორის, ჩრდილოეთკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა“.** საქართველოს არ სჭირდება უფუნქციო პრეზიდენტი. ჩვენს ქვეყანას ტერიტორიები აქვს დაკარგული, ამიტომ გვჭირდება პრეზიდენტი, რომელსაც ხალხი ენდობა და რომელიც შეძლებს, საერთო ენა გამონახოს აფხაზებთან, ოსებთან და მეზობელ ქვეყნებთანაც. კონსტიტუციით მას სწორედ საგარეო საქმეების აწყობა ევალება. გვჭირდება პრეზიდენტი, რომელსაც ყველა დაელაპარაკება. ახლა მას არ ელაპარაკებიან, იმიტომ კი არა, რომ ცუდი ბიჭია, არამედ იმიტომ, რომ მთავრობა ამბობს, ის არაფერს წარმოდგენს, არავინ არისო. **რომელი ქვეყნის პრეზიდენტი დაელაპარაკება ▶**

# „ბიძინა ივანიშვილის მიერ დანიშნულ პრეზიდენტ მარგველაშვილთან ისეთივე დამოკიდებულება უნდა იყოს, როგორიც მოძალადე პრეზიდენტ სააკაშვილთან, როცა ის წლის განმავლობაში, 2013 წლის ოქტომბრამდე, „კოჰაბიტირებულად“ იკავებდა პრეზიდენტის თანამდებობას“.

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ პრეზიდენტს, რომელსაც თავის ქვეყანაში არავინ არაფერს ეკითხება? უფრო მეტიც, აგინებენ, აკრიტიკებენ. ვინ დაელაპარაკება ქვეყნის პირველ პირს, რომელსაც ივანიშვილი ამაიმუნებს?!**

ძლიერი ადამიანი ამ თანამდებობაზე სხვანაირად მოიქცეოდა, მაგრამ ვაღიაროთ ისიც, რომ ამ ქვეყანაში ვერავინ ვერაფერს გააკეთებს — საქართველო არშემდგარი ქვეყანაა.

საქართველოს მართავს ადამიანი, რომელსაც თანამდებობა არ აქვს, არაფერს აწერს ხელს, თუმცა ვაღიაროთ, რომ ივანიშვილი ხალხმა მოიყვანა, მას ცეცხლითა და მახვილით არ დაუპყრივართ, ჩვენ მივეცით ლეგიტიმაცია და ვაქციეთ „ბიძინად“... **მიუხედავად იმისა, რომ შეცდომების აღიარების მეტს მისგან არაფერს ვისმენთ, ივანიშვილს მაინც სჯერა, რომ ხალხის „ჭარბი ნდობით“ სარგებლობს. ამ ყველაფერის შემდეგ ამ ქვეყანას ქვეყანა ჰქვია?**

ამდენი შეცდომის შემდეგ, რომლებიც ივანიშვილმა დაუშვა და რასაც საჯაროდ აღიარებს, მის ადგილას სხვა ადამიანი დაბრუნდებოდა და თავის გაფუჭებულ საქმეს მიხედავდა. ივანიშვილს სახლში ჯდომის უფლება არ აქვს!

**პრეზიდენტი — უვარგისი, პარლამენტი — უმაქნისი, დედაქალაქის მერი — უუნარო... ყველა ისინი ივანიშვილის ხათრით არიან არჩეულნი, ის კი წავიდა და სახლში დაჯდა. ალექსანდრე ჭაჭიამ თავის ინტერვიუში თქვა: „ახალი პრეზიდენტი არაფრით უნდა იყოს დაკავშირებული წინა რეჟიმებთან“. არადა, მარგველაშვილს არასოდეს დაუმალავს, რომ „ნაცების“ მეგობარი იყო, ის ყველგან ამბობს, რომ ლევან რამიშვილის უახლოესი მეგობარია. ასეთი კაცის ნდობა კი არ შეიძლებოდა.** მარგველაშვილმა ივანიშვილის მიერ „გაკრეფილი შუა“ შემოიკრიბა, ახალი პოლიტიკური გუნდის შექმნას ცდილობს, არავინ უსმენს, მაგრამ მაინც ცდილობს, გავლენა მოახდინოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ასე რომ, ქვეყანა ივანიშვილის შეცდომებს იმკის. დღეს მარგველაშვილის იმპიჩმენტიც პრობლემაა...

მარგველაშვილს, როგორც პოლიტიკოსს, არავინ იცნობდა, ის ახლა ცდილობს პოლიტიკოსის იმიჯის შექმნას, მაგრამ ვითარებაში, რომელშიც დღეს არის, სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტას ვერ შეძლებს. უბრალოდ, მას არც ერთი ქვეყნის ლიდერი არ აღიქვამს სერიოზულად. მარგველაშვილს საქართველოში წონა და გავლენა არ აქვს.

**ივანიშვილმა შეცდომა დაუშვა მარგველაშვილის გაპრეზიდენტებით, მაგრამ პრეზიდენტიც მატყუარა გამოდგა. ყველაფერი, რასაც მანამდე ამბობდა, უკუღმა გააკეთა. მარგველაშვილმა ხალხი მოატყუა.**

საქართველო დღეს გაუგებარ მდგომარეობაშია. ერი ვართ, მაგრამ სახელმწიფო არ ვართ. ტერიტორიები დაკარგულია, მეზობლებთან არ გვაქვს კარგი ურთიერთობა, მოსახლეობის ერთი მესამედი სიღატაკის ზღვარს მიღმაა და დახმარების პროგრამაშია ჩასმული, ამდენივე ცდილობს, როგორმე მოხვდეს ამ პროგრამაში. ასეთ ქვეყანას რა ჰქვია? ქართველები არასასურველი ვართ ევროპისთვის, ნატოსთვის, არ გაქვს ურთიერთობა რუსეთთან და, საერთოდ, ქვეყანას, რომელსაც საზღვრები არ აქვს, რამე ჰქვია?

**სამწუხაროა, რომ ქვეყანაში ისეთ ადამიანს არ უსმენენ, როგორიც ალექსანდრე ჭაჭიაა...** ჩვენ მართლაც გვჭირდებოდა პრეზიდენტი, რომელიც საგარეო ურთიერთობებსააწყობდა, დაალაგებდა. ტერიტორიული მთლიანობის პრობლემით დაინტერესდებოდა, მეზობლებს შემოირიგებდა, დაელაპარაკებოდა. ევროპასთანაც ცალმხრივ ურთიერთობასა და ხვეწნას კი არ დასჯერდებოდა, არამედ სრულყოფილ ურთიერთობებს ააწყობდა.

გვჭირდება მთავრობა, რომელიც მხოლოდ ფურცელზე კი არ დაწერს, რომ ტერიტორიები დასაბრუნებელია, არამედ იმოქმედებს და შედეგსაც მიაღწევს.

**— ივანიშვილი პრეზიდენტის არჩევნებში რომ არ ჩარეულიყო, უკეთესი იქნებოდა?**

— შეიძლება უკეთესი ყოფილიყო, ხალხმა კარგად იცოდა ყველა კანდიდატის წარსული. საერთოდ, კარგი არ არის არჩევნებზე ზემოქმედება, მაგრამ, თუ ამას მაინც აკეთებ, პასუხისმგებლობა თავიდან არ უნდა აიცილო.

**— კვლავ სარგებლობს ივანიშვილი ნდობით? შეძლებს, თავისი კანდიდატები კიდევ ერთხელ მოგვახვიოს თავს?**

— ჭარბი ნდობით სარგებლობს თბილისში, „მწვანე ინტელიგენციაში“. მას ბევრი ემადლიერება, რადგან პენსიას დღემდე უხდის, თუმცა მეეჭვება, მისი დაკვეთით ხალხმა კიდევ ერთხელ აირჩიოს ვინმე, მიუხედავად იმისა, რომ განაცხადა, „ქართულ ოცნებას“ სათავეში ჩავუდგებიო.

**«მიუხედავად იმისა, რომ მისგან შეცდომების აღიარების მეტს არაფერს ვისმენთ, ივანიშვილს მაინც სჯერა, რომ ხალხის «ჭარბი ნდობით» სარგებლობს. ამ ყველაფერის შემდეგ ამ ქვეყანას ქვეყანა ჰქვია? ამდენი შეცდომის შემდეგ, რომლებიც ივანიშვილმა დაუშვა და რასაც საჯაროდ აღიარებს, მის ადგილას სხვა ადამიანი დაბრუნდებოდა და თავის გაფუჭებულ საქმეს მიხედავდა. ივანიშვილს სახლში ჯდომის უფლება არ აქვს! პრეზიდენტი — უვარგისი, პარლამენტი — უმაქნისი, დედაქალაქის მერი — უუნარო... ყველა ისინი ივანიშვილის ხათრით არიან არჩეულნი, ის კი წავიდა და სახლში დაჯდა**

## «უმძიმესია საკადრო შეცდომა, რომელიც დაუშვა ბიძინამ მარგველაშვილის გაპრეზიდენტებით»

**ჯუმბერ კირვალიძე:**

— სრულიად ვეთანხმები ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებას პრეზიდენტის ინტიტუტის შესახებ, რომელზეც 2012 წლიდან საუბრობდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს სიტყვები ერთგვარ წინასწარმეტყველებად იქცა.

აი რას ამბობდა ის წლების წინათ: **„საქმე ისაა, რომ ეკონომიკაში სწრაფი წარმატებები ვერ მოხდება, მიღწევათა შედარება ჯერჯერობით ამ ხელისუფლების სასარგებლოდ ვერ იქნება, სულიერ-ზნეობრივ სფეროშიც, როგორც უკვე ვისაუბრეთ, სერიოზული ძვრების იმედი არ უნდა გვქონდეს, ხმაურიანი სასამართლო პროცესების მეშვეობით შესაძლებელია ხელისუფლების რეიტინგის შენარჩუნება, მაგრამ დიდი ხნით — არა“.** დიახ, დღეს ზუსტად ის შედეგია, რომელზეც ალექსანდრე ჭაჭია საუბრობდა 3 წლის წინათ. აბსოლუტურად ვიზიარებ ბატონი ჭაჭიას ამ მოსაზრებასაც: **„ახალმა ხელისუფლებამ ნდობის შესანარჩუნებლად პოზიტიურ შედეგებს უნდა მიაღწიოს იმ მიმართულებით, რომელშიც წინა ხელისუფლებამ სრული კრახი განიცადა. ეს მიმართულებაა რუსეთთან, აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობების აღდგენა“.** სხვათა შორის, ამ საკითხზე ჩემი მოსაზრება ჯერ კიდევ 2013 წლის მარტსა და მაისში გამოვთქვი ჩემს ორ სტატიაში.

დღეს **აფხაზებისთვის, ისევე, როგორც ოსებისთვის, სულერთია, ვინ არის საქართველოს პრეზიდენტი, არც ელაპარაკებიან მას, მით უმეტეს, მარგველაშვილის მსგავს დემაგოგს, რომელსაც იმ გუნდშიც კი არ აქვს ავტორიტეტი, რომელმაც იგი პრეზიდენტად „დასვა“.** ამ კონტექსტში გავიხსენოთ მარგველაშვილის „გაპრეზიდენტების“ პერიპეტიები. საქმე ის არის, რომ პრეზიდენტობის პირველი კვირებიდანვე მარგველაშვილი ცდილობს საპრეზიდენტო ინსტიტუტის როლის გაზრდას სახელმწიფო მმართველობის ვერტიკალში. არადა, **ბიძინა ივანიშვილის მიერ საპრეზიდენტო კანდიდატად მარგველაშვილის დასახელება ემსახურებოდა სულ სხვა მიზანს, რომ მარგველაშვილს, როგორც პრეზიდენტს, ხელი შეეწყო საპრეზიდენტოდან საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლისთვის, ანუ მარგველაშვილი უნდა გამხდარიყო პრეზიდენტი-არბიტრი და არა — მთავარი პოლიტიკური ფიგურა სახელმწიფოში, რის ამბიციებსაც მარგველაშვილი სულ უფრო მზარდად ავლენს.** საკონსტიტუციო ცვლილებებიდან გამომდინარე, რომლის ინიცირებაც სააკაშვილის პერიოდში დაიწყო და რომელიც ითვალისწინებდა პრემიერმინისტრის როლის ამაღლებასა და პრეზიდენტის ფუნქციების მაქსიმალურად შეზღუდვას, ახალ პრეზიდენტს მოღვაწეობა მოუწევდა, როგორც საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტს, რაც მარგველაშვილმა კარგად იცოდა. ეს ნიუანსები შეთანხმებული იყო იმჟამინდელ პრემიერთან. აქედან გამომდინარე წამოაყენა ივანიშვილმა მარგველაშვილის კანდიდატურა საპრეზიდენტო არჩევნებში და სწორედ მისი მხარდაჭერის შედეგად აირჩიეს პრეზიდენტად მარგველაშვილი.

**პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მარგველაშვილს ამბიციები გაუჩნდა, პლასტელინობას შეეშვა და ივანიშვილთან კონფლიქტმაც არ დაახანა. ივანიშვილ-მარგველაშვილის ეს შემთხვევა „პოლიტიკური გადაგდების“ კლასიკური მაგალითია, სადაც ივანიშვილი „ცამდე მართალია“ საპრეზიდენტო ინსტიტუტზე „მზრუნველ“ მარგველაშვილთან.** ამას ერთვის ქვეყნის პირველ პირებს შორის ანტაგონიზმი, რომელიც განპირობებულია მარგველაშვილის ფაქტორით. პრეზიდენტი უპირისპირდება გუნდურ გადაწყვეტილებებს და ცდილობს, „დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურის შექმნას“, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის საგარეო იმიჯზე, ხოლო ქვეყნის შიგნით ზრდის მოსახლეობის უნდობლობას ხელისუფლებისადმი. ამიტომ მიმაჩნია, რომ შექმნილ ვითარებაში, მითუმეტეს, როცა ორიოდე დღის წინათ მარგველაშვილმა პირდაპირ დაადანაშაულა პრემიერი ღარიბაშვილი ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის დაძაბულობის ინსპირირებაში, პრეზიდენტთან თანამშრომლობა უნდა იქნას მაქსიმალურად შეზღუდული და მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, თუ ამას ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები მოითხოვს, უნდა მოხდეს ურთიერთობა პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან მეორე და მესამე დონის თანამშრომლების მეშვეობით. **ბიძინა ივანიშვილის მიერ დანიშნულ პრეზიდენტ მარგველაშვილთან ისეთივე დამოკიდებულება უნდა იყოს, როგორიც მოძალადე პრეზიდენტ სააკაშვილთან, როცა ის წლის განმავლობაში, 2013 წლის ოქტომბრამდე, „კოჰაბიტირებულად“ იკავებდა პრეზიდენტის თანამდებობას.** ჩემი აზრით, ამ დღეებში მარგველაშვილის ინიციატივით ავლაბრის სასახლეში მიმდინარე პოლიტიკური კონსულტაციების მთავარი მიზანი ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნაა, რათა მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნებში მარგველაშვილმა მხარდამჭერი საარჩევნო პოლიტიკური ბლოკი შეაკოწიწოს. დააკვირდით, **მარგველაშვილი ყველა პოლიტიკურ ძალას წითელ კოჭს უგორებს დევიზით: „ყველა, მინუს „ქართული ოცნება!“, რომელთანაც საშვილიშვილოდ გაიფუჭა ურთიერთობა და ეს მან ბრწყინვალედ იცის.** შესაბამისად, საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილი დროის განმავლობაში **„ქართული ოცნების“ დამოკიდებულება მარგველაშვილისადმი ისეთივე უნდა იყოს, როგორიც სააკაშვილისადმი.** თუ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები საშუალებას მისცემს „ქართულ ოცნებას“, რომ განხორციელდეს მარგველაშვილის იმპიჩმენტის პროცედურა, რომელიც დღეს შეუძლებელია, მაშინ ეს პროცედურა ახალი პარლამენტის პირველივე სხდომებზე უნდა დაიწყოს.

საქართველოს მომავალი პრეზიდენტის შერჩევისას აუცილებელია ყველა იმ მოსაზრების გათვალისწინება, რომლებზეც ალექსანდრე ჭაჭია ამახვილებდა ყურადღებას თავის სამი წლისწინანდელ ინტერვიუში, რადგან ჩვენი ქვეყნის ურთულესი პრობლემების გადასაჭრელად პრეზიდენტის პოსტზე მხოლოდ მაღალი პასუხისმგებლობის, განათლებისა და პროფესიონალიზმის მქონე პიროვნებაა საჭირო, რომელსაც შესაბამისი ავტორიტეტი და ურთიერთობები აქვს კონფლიქტის ყველა მხარესთან, რაც ხელს შეუწყობს საქართველოსთვის სასიცოცხლო პრობლემის მოგვარებას — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

**საზოგადოდ კი, უმძიმესია საკადრო შეცდომა, რომელიც დაუშვა ბიძინა ივანიშვილმა მარგველაშვილის გაპრეზიდენტებით.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**«საქართველოს მომავალი პრეზიდენტის შერჩევისას აუცილებელია ყველა იმ მოსაზრების გათვალისწინება, რომლებზეც ალექსანდრე ჭაჭია ამახვილებდა ყურადღებას თავის სამი წლისწინანდელ ინტერვიუში, რადგან ჩვენი ქვეყნის ურთულესი პრობლემების გადასაჭრელად პრეზიდენტის პოსტზე მხოლოდ მაღალი პასუხისმგებლობის, განათლებისა და პროფესიონალიზმის მქონე პიროვნებაა საჭირო, რომელსაც შესაბამისი ავტორიტეტი და ურთიერთობები აქვს კონფლიქტის ყველა მხარესთან, რაც ხელს შეუწყობს საქართველოსთვის სასიცოცხლო პრობლემის მოგვარებას — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას»**

ახალი მემარჯვენე / ავი მესაიფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რომ არა პირადად ირმა ინაშვილის მიერ საკუთარი სიცოცხლის, ოჯახის რისკის ფასად მოპოვებული კადრები და დავით თარხან-მოურავთან ერთად ამ კადრების ბრიუსელსა და ვაშინგტონში და, რაც მთავარია, საქართველოში გავრცელება, დღეს ივანიშვილის კოალიცია 20-22%-იანი ოპოზიციით იქნებოდა პარლამენტში წარმოდგენილი, ხოლო „ნაცები“ — საკონსტიტუციო უმრავლესობით, მათი კრეტინი პრეზიდენტი კი პრეზიდენტის სასახლეში იქნებოდა წამოპლაკული პრემიერის რანგში.**



ირმა ინაშვილი

# ქართული პოლიტიკის ჟანა დ’არკი და რესპუბლიკელების მორიგი ბუდარიხა

**საგარეჯოს ე.წ. შუალედურ არჩევნებზე მოგახსენებთ და ადვილად მიხვდებით, რომ ამ დუელის მონაწილე ქართველ ჟანა დ’არკში დეპუტატობის კანდიდატი ირმა ინაშვილი იგულისხმება, ხოლო მის მოწინააღმდეგე მორიგ ბუდარიხაში — კოალიცია „ქართული ოცნების“ რესპუბლიკელი კანდიდატი თამარ ხიდაშელი. რესპუბლიკელებს სურთ, გათავდაცვისმინისტრებული თინა ხიდაშელი პარლამენტში მისი ნათესავით — თამარ ხიდაშელით, ჩაანაცვლონ და ქართული კლანურ-ოჯახური მმართველობა ოფიციალურად გაამყარონ.**



თამარ კორძაია



თამარ ხიდაშელი

ყველას კარგად გვახსოვს 2013 წლის შუალედური არჩევნები, რომელიც ტყუპისცალივით ჰგავს დღევანდელს. მაშინაც, საგარეჯოს მსგავსად, ნაძალადევის რაიონში ორი რეალური კანდიდატი იბრძოდა დეპუტატობისთვის — კოალიცია „ქართული ოცნების“ რესპუბლიკელი კანდიდატი **თამარ კორძაია** და პატრიოტთა ალიანსის მაშინდელი გენმდივანი **სოსო მანჯავიძე.**

ნაძალადეველებს არა მხოლოდ პიროვნებებს, არამედ ორ საწინააღმდეგო იდეოლოგიას შორის ჰქონდათ არჩევანი გასაკეთებელი — რესპუბლიკელთა ნეოლიბერალურსა (წაიკითხე, ანტიეროვნულ) და ქართულს შორის.

აქედან გამომდინარე, ნაძალადევის არჩევნებში სოსო მანჯავიძეს უეჭველად უნდა გაემარჯვა, თუნდაც იმიტომ, რომ ნაძალადევის რაიონში უმეტესად სწორედ ეროვნული ცნობიერების ხალხი ცხოვრობს, მაგრამ **ბიძინა ივანიშვილის ჯერ კიდევ შეუვალმა ავტორიტეტმა ნაძალადევის რაიონს ნაძალადევად „შეტენა“ რესპუბლიკელი თამარ კორძაია, რაც დღემდე ვერ მოუნელებიათ „ნახალოვკელებს“, რადგან მათმა „რჩეულმა“ გადეპუტატებისთანავე გამოამჟღავნა ბუდარიხობა ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისას, რომელსაც უწმინდესმა საქართველოს დამღუპველი კანონი უწოდა.**

კორძაიამ თავისი განცხადებებით ჯერ პატრიარქი შეურაცხყო, — რატომ ეჩრება ხელისუფლების საქმეებში, ბარემ ერთი საპარლამენტო მანდატი მასაც მივცეთო; ახლახან კი ლგბტ-პედერასტების დროშა ამაყადააფრიალა — ერთნაირსქესიანთა ქორწინებების დაკანონების ეპიდემიას მსოფლიოში კაცობრიობის წინგადადგმული ნაბიჯი უწოდა და საქართველოსაც მსგავსი „პროგრესი“ უსურვა.

ეს მცირე ექსკურსიც ცხადყოფს, რომ ირმა ინაშვილი და თამარ ხიდაშელი, რბილად რომ ვთქვათ, აშკარად სხვადასხვა წონით კატეგორიაში არიან, რადგან აქაც იდეოლოგიებს შორის ომია და, ვინ გაიმარჯვებს, თითქოს ამთავითვე ცხადია.

მაგრამ ეს „თითქოს“, როგორც ნაძალადევის მაგალითიდან გამოჩნდა, არც მაშინ ყოფილა საიმედო და, ბიძინა ივანიშვილის შაბათის „ქრონიკაში“ გასული ინტერვიუდან გამომდინარე, არც დღესაა.

როგორც „ნაცებმა“ იცოდნენ თქმა, **„გონივრული ეჭვი“ მაქვს, რომ „სამების აღმშენებელი“ საგარეჯოშიც ნაძალადევის სცენარის გამეორებას აპირებს.**

ამ ინტერვიუს სხვა აქცენტებზე და იმაზედაც, თუ რატომ ჩავსვი **სამების აღმშენებელი** ბრჭყალებში, ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი გეტყვით, რომ წინამდებარე წერილი რესპუბლიკელი ხლისტების მამამთავრის — **ლევან ბერძენიშვილის** მორიგმა ავყიობამ განაპირობა და, რომ არა ივანიშვილის ინტერვიუ, ჭორვილელი მილიარდერი იქნებ საერთოდაც არ მეხსენებინა...

ლევან ბერძენიშვილის ციტატა:

**„საგარეჯოში ინაშვილი ვერ გაიმარჯვებს და ამის გარანტიას გაძლევთ, რადგან პოლიტიკაში ვარსკვლავი შემოგვყავს. ხიდაშელი და კორძაია საქართველოს მომავალი მგონია. ვიღაცა კი ფიქრობს, რომ ქვეყნის მომავალი ინაშვილია“...**

როგორი „მანათობელი ვარსკვლავიც“ არის თამარ კორძაია და საქართველოს როგორი მომავალი ეოცნებება, ზემოთ ვთქვით; ხოლო მეორე „ვარსკვლავი“ — თამარ ხიდაშელი, რომელიც საქართველოს დედაეკლესიის დისკრედიტაციას, ჩვენი პატრიარქის შეურაცხყოფასა და საქართველოს „პროგრესის“ გზაზე დაყენებას, ანუ ლგბტ-ზაციას სეხნია „ვარსკვლავივით“ და იქნებ მასზე უკეთესადაც რომ განაგრძობს, მისი მოკლე ბიოგრაფიიდანაც ჩანს, რომელიც მედიაკავშირი „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში გადაცემის წამყვანმა სხაპასხუპით წაიკითხა და რომელიც ე.წ. სტოპკადრებით ძლივს გავშიფრე:

„2011 წელს იყო ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის, ასევე, გაეროს განვითარების პროგრამის მოკლევადიანი ექსპერტი; 2011-13 წლებში მუშაობდა გაეროს განვითარების პროგრამის — „მართლმსაჯულება და ადამიანის უფლებების დაცვის“ კოორდინატორად, 2012-14 წლებში იყო ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს ადამიანის უფლებათა კომისიის“ ექსპერტი და ა.შ.“.

ამდენ ლაქლაქს ჯობდა, მოკლედ ეთქვა: როგორც ყველა რესპუბლიკელი, თამარ ხიდაშელიც სოროსის ძუძუს წოვდა, პრაქტიკულად, არაფრის კეთებაში (რადგან ზემოჩამოთვლილი ფონდები თუ ორგანიზაციები მხოლოდ საქართველოს საზიანოდ მოქმედებენ) კაი ხელფასი, „პაეზდკები“ არ აკლდაო და, მეც მოკლედ ვიტყოდი, როგორც თვითონ განაცხადა ხიდაშელმა, საქართველოს „გადასარჩენად“ პარლამენტში მიმავალ „ვარსკვლავს“ მართლაც უზრუნველი კომფორტი მიუტოვებია-მეთქი...

ისე, ბუდარიხა ხიდაშელის „ობიექტივში“ გამოსვლა ცალკე თემაა...

რესპუბლიკელების „ვარსკვლავი“ იმ პირობით მოვიდა „ობიექტივის“ ეთერში, რომ თავის წამყვანს მოიყვანდა და მაყურებელთა ზარებს 15 წუთში ერთხელ შემოუშვებდა...

ერთმა ქალბატონმა დარეკა და იკითხა, — დარწმუნებულები ხართ, რომ ხიდაშელი გაიმარჯვებსო? ინტონაციაზე ეტყობოდა, 2%-იანი რეიტინგის მქონე ყველასთვის „საყვარელი“ რესპუბლიკელების „მიწაში ჩადებას“ რომ აპირებდა. ეს რომ იგრძნო წამყვანმა, უმალ გათიშა რესპონდენტი, — რა კარგი კითხვა დასვა ქალბატონმაო და პასუხებისთვის ბუდარიხა ხიდაშელის თანმხლებ პირებს მიმართა, რომელთა შორის ჯერ ზვიადისტი, შემდეგ მიშისტი და ახლა „ოცნების“ ჩოხოსანი ვიცესპიკერი ზვიად ძიძიგურიც ბრძანდებოდა, რომლის პასუხსაც ვციტირებ:

**„რა მინდა, ვთქვა თამუნას შესახებ: პრაგმატული მოსაზრებით უნდა მისცენ ხმა ყველამ, ხო? არ არის ახლა რომანტიკით ხმის მიცემა. ეს იყო პირველად, ზვიად გამსახურდიამ რომ ჩაატარა არჩევნები, მაშინ იყო ყველანი კომუნისტების წინააღმდეგი და მრგვალმა მაგიდამ მიიღო დიდი მხარდაჭერა და მაშინ იყო ჰეროიკული რაღაცა თემები, თუ რატომ გაიმარჯვა ოპოზიციამ და მრგვალმა მაგიდამ... ახლა პრაგმატულად უნდა დათვალო, ვინ რას მისცემს...“ (სტილი დაცულია).**

რა უნდა თქვა ამ კაცუნას შესახებ, რომელიც, ჩოხას რომ ჩაიცვამს, თავი მართლა კაცი ჰგონია!

მამაკაცისთვის პრაგმატულად ხმის მიცემა ერთი ძვირფასი ადგილის „მიცემის“ ტოლფასია და ასე “პრაგმატულად” რომ უცხოვრია ამ არარაობას, მისი მოკლე ბიოგრაფიიდანაც ჩანს. ხუმრობა საქმეა?! **სამტრედიის ლაწირაკმა პრეფექტმა ჯერ ხომ რუსეთი „დააჩოქა“ სამტრედიის რკინიგზის იდიოტური ბლოკადით და შემდეგ იმდენი იპრაგმატულა, რომ იმ რესპუბლიკელთა ხელისბიჭობა გაიკრა, რომლებიც უპირველესი მტრები იყვნენ ოდესღაც მისთვის პრაგმატულად სათაყვანებელი ზვიად გამსახურდიასი და რომლებსაც “მხედრიონზე” არანაკლები წვლილი მიუძღვით საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობაში!**

საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ალბათ, საფლავში ტრიალებს, მისი იდეური მკვლელების პარტიის ბუდარიხა კანდიდატს ერთ დროს მისი პრაგმატულად ერთგული და დღეს რესპების შიბაქი ვიცესპიკერი რომ ლობირებს.

ახლა **ირმა ინაშვილის მოკლე ბიოგრაფიის მიმოხილვის დროც მოვიდა:**

18-19 წლის გოგონა აფხაზეთის ომში იცავდა საქართველოს ერთიანობას; გამოიარა ჭუბერის ჯოჯოხეთიც, სადაც (ბევრმა არც იცის) ბილიკზე იპოვა ყინვისგან გათოშილი, გათიშული თოთო ბავშვი, გულში ჩაიკრა, მრავალი კილომეტრი ასე ატარა და მოხდა სასწაული — ბავშვი გაცოცხლდა!

არ ვიცი, ირმას სხეულის სითბომ გაალღო გაყინული ბავშვის სხეული თუ ღვთის განგებით მოხდა ეს სასწაული. ის კი ვიცი, რომ ის ▶

**სამტრედიის ლაწირაკმა პრეფექტმა ჯერ ხომ რუსეთი «დააჩოქა» სამტრედიის რკინიგზის იდიოტური ბლოკადით და შემდეგ იმდენი იპრაგმატულა, რომ იმ რესპუბლიკელთა ხელისბიჭობა გაიკრა, რომლებიც უპირველესი მტრები იყვნენ ოდესღაც მისთვის პრაგმატულად სათაყვანებელი ზვიად გამსახურდიასი და რომლებსაც «მხედრიონზე» არანაკლები წვლილი მიუძღვით საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობაში!**

**რა მადლი აქვს, ერთი ხელით სამებას რომ ააშენებ და მეორეთი ხელისუფლებას ჩააბარებ ქართველთმოძულე, ეკლესიისა და პატრიარქის მტრებს, 2%-იან რესპუბლიკელებს, რესპუბლიკელებს, რომლებიც, არათუ მოსწონს, სძაგს და ეზიზღება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას?!**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ბავშვი ირმამ მონათლა და დღეს საღსალამათი ზრდასრული კაცია.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ზაზა შენგელიას ტელევიზიაში გაიმართა საიდუმლო სერობა, რომელსაც ნაცების ერთ-ერთი იდეოლოგი **ლევან რამიშვილი** ხელმძღვანელობდა. ამ სერობამ ჟურნალისტებს ღია ტექსტით დაავალა (რა თქმა უნდა, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ) საქართველოს დედაეკლესიასა და პირადად პატრიარქზე ცილისმწამებლური კომპრომატების შექმნა და გადაცემების მომზადება. ამ თავყრილობას იმხანად რომელიღაც მონასტრიდან ახალდაბრუნებული ირმა ინაშვილიც ესწრებოდა, რომელმაც მონასტრიდან წამოღებული აიაზმა (ნაკურთხი წყალი) მიასხა ხლისტების კრებულს, — თქვე სატანისტებოო, — კაცურადაც მოიკითხა მათი დედ-მამა, ის კრებაც დატოვა და ტელევიზიაც.

მას შემდეგ ჩაება უკვე შვილების დედა სააკაშვილის რეჟიმთან უთანასწორო ბრძოლაში, ნელ-ნელა მომხრეებიც შეემატნენ, დააარსა ჯერ ინტერნეტრადიო და შემდეგ ინტერნეტტელევიზია „ობიექტივი“ და, რაც მთავარია, შექმნა „წინააღმდეგობის მოძრაობა“, რომელიც საბოლოოდ სააკაშვილის რეჟიმის მესაფლავე აღმოჩნდა. **რომ არა პირადად ირმა ინაშვილის მიერ საკუთარი სიცოცხლის, ოჯახის რისკის ფასად მოპოვებული კადრები და დავით თარხან-მოურავთან ერთად ამ კადრების ბრიუსელსა და ვაშინგტონში და, რაც მთავარია, საქართველოში გავრცელება, დღეს ივანიშვილის კოალიცია 20-22%-იანი ოპოზიციით იქნებოდა პარლამენტში წარმოდგენილი, ხოლო „ნაცები“ — საკონსტიტუციო უმრავლესობით, მათი კრეტინი პრეზიდენტი კი პრეზიდენტის სასახლეში იქნებოდა წამოპლაკული პრემიერის რანგში.**

თუნდაც ამიტომაა ირმა ინაშვილი ქართველი ჟანა დ'არკი, გნებავთ, მაია წყნეთელი, თინა წავკისელი ან თამარ ვაშლოვნელი... ანუ ირმა ინაშვილი ნამდვილი ქართველი გმირი ქალია.

**ჰოდა, ამ ქალზე ამბობს ივანიშვილი, — მგონი, ოდესღაც ინტერვიუ მივეცი, „პატრიოტთა ალიანსს“ საერთოდ არ ვიცნობ და გამორიცხულია, მათ კანდიდატს მხარი დავუჭიროო.**

დღეს, საბედნიეროდ, აღარ არის ის დრო, როცა ბიძინა ივანიშვილს, სარებიც რომ დაერჭო მიწაში და ეთქვა, — აი, ესენი იქნებიან თქვენი მერები თუ პრეზიდენტებიო (მარგველაშვილ-ნარმანიებს იქნებ სარებიც ჯობდა), საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დაუფიქრებლად მისცემდა ხმას!

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ირმა ინაშვილი აშკარა უპირატერობით ლიდერობს საგარეჯოში, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, რადგან ხელისუფლება აშკარად იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს:

**ე.წ. მუხროვანის სამხედრო ბაზაზე, სადაც მხოლოდ 25 სამხედრო მსახურობდა, თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, 550 სამხედრო შეიყვანეს და ე.წ. სპეცუბანი შექმნეს. თამუნია ხიდაშელს დასტა-დასტა დაჰყვებიან მინისტრები, აგრეთვე, პარლამენტის სპიკერი ზემოხსენებულ შიბაქა ვიცესპიკერთან ერთად.**

აგერ, გასულ კვირას კოალიციის მთელი „სასტავი“ ჩავიდა საგარეჯოში პრემიერ ღარიბაშვილის მეთაურობით; „ოცნების“ აქტივისტები, სხვათა შორის, ნაცების აქტივთან ერთად, საგარეჯოს მუსლიმანურ სოფლებში ავრცელებენ დეზინფორმაციას, ვითომ აჭარაში ღორის თავი ირმა ინაშვილმა მიაჭედებინა და ის საქართველოში მეჩეთების მშენებლობის წინააღმდეგია!

ახლა იმის შესახებ, თუ ზემოთ რატომ ჩავსვი ბრჭყალებში **სამების აღმშენებელი:**

ჯერ ერთი იმიტომ, რომ, **ივანიშვილის გარდა, სამების აშენებაში ცხონებულმა ბადრი პატარკაციშვილმაც შეიტანა წვლილი და ცხონებულმა ბიზნესმენმა მამუკა ჯინჭარაძემაც; და კიდევ — ქართველმა ხალხმა, რომლის მიერ გაღებული ერთი ლარი გაცილებით მეტია ღმერთისთვის, ვიდრე ივანიშვილის მილიონები, რადგან იმ ქართველმა ახალ აღთქმაში ხსენებული დედაბერივით უკანასკნელი შესწირა სამების მშენებლობას, ივანიშვილმა კი — უთვალავი ქონების მხოლოდ ნაწილი.**

აქვე დიდი **კონსტანტინე გამსახურდიას** სიტყვებს მოვიყვან, მეფე გიორგის პირით თქმულს: „ლოცვა ტაძრის გარეშეც შეიძლება, მაგრამ საქართველოს ერთიანობას მძლავრი მარჯვენა, უტეხი ხმალი და ციხეთა სიმრავლე იცავს“...

ჰოდა, **რა მადლი აქვს, ერთი ხელით სამებას რომ ააშენებ და მეორეთი ხელისუფლებას ჩააბარებ ქართველთმოძულე, ეკლესიისა და პატრიარქის მტრებს, 2%-იან რესპუბლიკელებს, რესპუბლიკელებს, რომლებიც, არათუ მოსწონს, სძაგს და ეზიზღება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას?!**

ინტერვიუში ივანიშვილმა ბევრი ისაუბრა „რუსთავი 2“-სა და დემოკრატიაზე.

ზიზღსა და სიყვარულსაც რომ თავი დავანებოთ, სადაური დემოკრატიაა ის, რომ 2%-იანი რეიტინგის პარტიას ჩააბარებ პრაქტიკულად მთელ ხელისუფლებას? — სადაური და ამერიკული. ამ გზით **ჩვენმა „სტრატეგიულმა მოკავშირემ“ — აშშ-მა თავის სატელიტ ქვეყნებში ერთგული მონები დასვა ხელისუფლებებში, რომელთა საშუალებითაც ამერიკის იმპერიის ნეოლიბერალური ხელისუფლება მსოფლიოს ნეოკოლონიურ მართვას მეტნაკლები წარმატებით ცდილობს, მაგრამ საქართველოში არავითარი მეტნაკლებობა არ არსებობს, ქვეყანა ამერიკის საელჩოდან იმართება — ადრე ნაცების, ახლა კი რესპუბლიკელი მონების ხელით!**

ხატოვნად თუ ვიტყვით, 2012 წლის არჩევნებმა ალხანა შეცვალა ჩალხანათი, რომელიც ჯერჯერობით ქუჩებში არ გვხვრეტს და ციხეებში არ გვაუპატიურებს, სხვა მხრივ კი საქართველო ისევ იქ არის და იდეოლოგიურად უფრო უკანაც, ვიდრე იყო სააკაშვილის დროს, რომელმაც ვერ გაბედა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, ივანიშვილმა კი მიაღებინა.

მიუხედავად ამისა, ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის ნაწილი იმთავითვე გაიძახოდა, — ივანიშვილს რესპუბლიკელები ამერიკელებმა ძალად „შეტენეს“, რომლებსაც, დღეს თუ არა, ხვალ ან ზეგ მოიშორებსო. ამ მედღეხვალიობაში კი 3 წელიწადი გავიდა და მათ უფრო ღრმად გაიდგეს ფესვები. ივანიშვილის ინტერვიუ, ყველაფერთან ერთად, რესპუბლიკელების აპოლოგეტიაც იყო — კოალიციას (წაიკითხე — რესპუბლიკელებს) 2016 და 2020-შიც მხარს დავუჭერო, თანაც იმაზე მეტად, ვიდრე აქამდე ვუჭერდიო(?!).

ამის შემდეგ რა არგუმენტი დარჩა ინტელიგენციის ამ ნაწილს, რომ ივანიშვილის ეროვნულობა გვიმტკიცოს?!

მეტი რა ქნას კაცმა! თავი გადადო და სააკაშვილს ხელისუფლება ხელიდან გამოგლიჯაო; ახლა რომ რესპუბლიკელებს ხელი ახლოს, მილიარდებს გაუყინავენო(?!).

უკაცრავად და, ამ ჩემს ფეხებს, თუ გაუყინავენ! **ივანიშვილის მილიარდებს გადავაყოლოთ ქვეყანა, რომელიც თავზე დაგვექცა?!**

რაც შეეხება თავის გადადებას, ვინც თავიც გადადო და საკუთარი მილიარდებიც, არკადიაში განისვენებს (ბადრი პატარკაციშვილი ივანიშვილზე არანაკლები ქველმოქმედი და უფრო დიდი მამულიშვილიც იყო). **როდესაც პატარკაციშვილი დაუპირისპირდა სააკაშვილს, ივანიშვილი გვერდით არ დაუდგა, რადგან „დემოკრატიის შუქურის“ ნათებით იყო დაბრმავებული და სააკაშვილის რეჟიმს ემსახურებოდა — გულუხვად აფინანსებდა.**

**ჭაბუა ამირეჯიბის ორმოცზე პატრიარქის მიმართ ივანიშვილის ავყიაობამ ხელ-ფეხი გაუხსნა არასამთავრობო თუ სამთავრობო ხლისტებს და დღეს საქართველოს ეკლესიის განქიქება და პატრიარქის ლანძღვა ჩვეულებრივი ამბავია.**

დასასრულ — ისევ საგარეჯოს არჩევნების შესახებ:

მისი შედეგი ერთგვარი ტესტია იმისა, თუ როგორი სამართლიანი არჩევნები ჩატარდება მომავალში. ხელისუფლებას ვაფრთხილებ, ხელი არ წაგიცდეთ ცუდად, თორემ, ხიდან ფოთოლი ჩამოვარდება კი არა, ფოთოლცვენა დაგატყდებათ თავს!

გახსოვთ, ალბათ ბებერი ხლისტი ლევან ბერძენიშვილი ძალიან რომ გაუშინაურდა სიტყვებს — „ვიღაცას ჰგონია“: ლადო ასათიანის გენიალურ ლექსს მკვდრადშობილი უწოდა, **ვიღაცას** ეს ლექსი გენიალური **ჰგონიაო;** აგერ, ახლა კი — **„ვიღაცას ირმა ინაშვილი ჰგონია ქვეყნის მომავალიო“...**

ჰოდა, ბატონ ლევანსაც და სხვებსაც შევახსენებ, რომ ეს **„ვიღაცა“** ამომრჩეველია!

**დავით მხეიძე**

# სააკაშვილმა და ადეიშვილმა საუნაში თინა ხიდაშელზე ისაუბრეს

## უკრაინული მედია მორიგ ჩანაწერს ავრცელებს



**უკრაინული საინფორმაციო სააგენტოები მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის საუნაში ჩაწერილი საუბრის მეორე ნაწილს ავრცელებენ. საინფორმაციო სააგენტო „მარშალპრესი“ ამ ჩანაწერს უცვლელად აქვეყნებს. საუნის კაბინაში საუბრის გაშიფრვა ვერ მოხერხდა.**

**მ.ს.:** — კარი მიკეტე, პარი გამოვა! წამო, წამო, ბასეინში ჩავხტეთ. ძაან მაგარია! ჩამო, შე სირბანა. არ გაცივდები, ნუ გეშინია!

**ზ.ა.:** — მაცალე რა, ჩამოვდივარ. არ მათქმევინე რა თინაზე ანეგდოტი.

**მ.ს.:** — საუნის მერე პივა მაგრა მიდის. აგერ, შენი კრევეტკებიც მოუტანიათ.

**ზ.ა.:** — აბა, კრევეტკებიც მაგარია. ხოდა, თინამ გენერლები ერთ მწკრივში დააყენა და ჩამოვლა დაიწყო ბაჯბაჯით. ერთი ოფიცერი მეორეს ეუბნება: — რა ჭირს, როგორ დაიარება ეს ჩვენი სარდალიო? მეორე პასუხობს: — მაგას ყვ*რები ჩამოეზარდა და სიარულში ხლს უშლისო! თუ არ გჯერა, შემთხვევით იქ, ფეხებშორის, ხელი მიარტყი და ნახე, როგორ შეხტესო!

**მ.ს.:** — მაიცა, ბიჭო, კინაღამ გადავვარდი სკამიდან, გავიხიე სიცილით! მაგის გაგრძელებას გეტყვი, არ გინდა? ხიდაშელს ყვ*რები გაეზარდა, მერე ულვაშები ამოუვიდა, კახეთს თინა მეზვრიშვილი მოევლინა. აუ, ველარ ვჩერდები რა, მუცელი მეტკინა.

**ზ.ა.:** — ხიდაშელზე მაგრა ღადაობენ შტაბში. მე უნდა შევიდე ნატოშიო,— ყველას ეუბნება.

**მ.ს.:** — მაგ სირქალას ყველაფერი გავუკეთე და გავქაჩე. პინგვინას არ უნდოდა და ამერიკის ყველა სტრუქტურაში ჩემი კონტაქტები წავაშველე. ხო ნახე, ნორლანდმა დაანიშნინა. მაგრამ ხომ იცი, ვინც არიან ეგენი — არასანდო და გადამგდებები თავის ქმართან ერთად.

**ზ.ა.:** — საშინელი ტიპები არიან ეგენი, ტყუილად ეხმარები მაგათ, ესე მგონია. ეგენი კრუჩოკზე უნდა გვყავდეს ყოველთვის.

**მ.ს.:** — მერე შენ არ მეუბნებოდი, წაჭერილი მყავსო? ძველი ამბები და ახალიც! კიდევ აგულაშვილთან ღლაბუციო, სად არის ეგა? არადა, ეხლა შეხე რა. სულ დაფინანსებაზე მყავდა თავიდანვე, სოროსი და ფონდები ახალგაზრდა იურისტებს მივაბი, მედიას არ ცილდებოდნენ. მერე მაგ სირქალამ, ან მე ან უსუფა უზენაესის თავჯდომარედ გაგვიშვიო,— მევაჭრებოდნენ. ჯერ მოიცადეთ-მეთქი და გაიქცნენ ვაშინგტონში, ირბინეს და ოპოზიცია ვართო,— დაირქვეს. ხო ვაფინანსეთ მერეც. ეხლა იმან ჭორვილიდან დაფინანსება შეუმცირა და მე მომთხოვეს თანხა. ეგეც გავუკეთე და გავქაჩე კიდეც. ხოდა, რაც თქვი, ის უნდა დადო.

**ზ.ა.:** — ძველი მასალები ვანოს ქონდა, მოძებნა შეიძლება. ის ტიპი, მე ვიცი, გიგასთან იყო ბოლოს. ახლები გვაქვს შემონახული, მარა გამოყენებას არ გირჩევ მიშა ეხლა. მერე შევაგდებთ საჭირო მომენტში. ვანოს მასალები მიმოფანტულია და ყველაფრის თავმოყრა არის საჭირო.

**მ.ს.:** — იცოდე, ყველაფერი შენთან უნდა იყოს აუცილებლად. ეგ საქმე არავის ანდო. ვანოს მე შევუთვალე და იცის, წყნარად უნდა იყოს და ცოტა მოიცადოს. როგორ დაარქვი იმას? ბაჯბაჯას, ხო, ისე უნდა ჩაუნამიოკოთ, რომ არ ითამაშოს. როცა მომენტი მოვა, ჯარმა თავისი პოზიცია უნდა დაიკავოს, იქ სანდო ოფიცრები გვაყავს, მაგრამ თინაც შემპირდა და დათოც თავისას გააკეთებს.

**ზ.ა.:** — მაგათ შეპირებაზე დაყრდნობა არ შეიძლება. ამბიციებით არიან გასიებული. თინას პრემიერობა უნდა, ქმარუკას — პრეზიდენტობა. შემოვკრათ ტაში ეგაა რა.

**მ.ს.: — მოიცა რა, სად წავლენ, ეგენი ამარიკელების გარეშე ვერ გაქანდებიან, იქ ჩვენ ზეგავლენა გვაქვს, თანხაზე უკვე შევჯერდით. თან შენი კომპრები თავის ფუნქციას შეასრულებენ, როცა საჭირო იქნება. დავალებას მისცემენ იქედან და ვსიო.**

**ზ.ა.:** — გასაგებია, ხო! მოდი რა, კიდევ შევიდეთ. ერთხელ პარი არაფერია. სამჯერ არის სჭირო.

**მ.ს.:** — დავაი, დავაი, შევედით!

**უკრაინული სააგენტოების განცხადებით, საუბრის ჩანაწერის შემდგომ ნაწილს ტექსტის საბოლოო გაშიფრვისა და თარგმნის შესაბამისად შესთავაზებენ მკითხველს.**

# ერაყში «ისლამური სახელმწიფოს» ტყვეები გაათავისუფლეს



**ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ ტყვეობიდან რამდენიმე ათეული ადამიანი გაათავისუფლეს.** ოპერაცია აშშ-ისა და ერაყის შეიარაღებულმა ძალებმა ერთობლივად ჩაატარეს. პენტაგონის ინფორმაციით, გათავისუფლებულია 70-მდე ადამიანი, მათ შორის ერაყის უშიშროების სამსახურის 20 თანამშრომელი, სუნიტი არაბები და „ისლამური სახელმწიფოს“ ის მებრძოლები, რომლებსაც, ჯაშუშობის ბრალდებით, სიკვდილით დასჯა ემუქრებოდათ. ოპერაციის ჩატარების დროს ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა. ეს არის აშშ-ის პირველი დანაკარგი „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ კამპანიის დაწყების შემდეგ. ოპერაცია ერაყის ჩრდილოეთში, ქალაქ ჰავიჯას სიახლოვეს ჩატარდა. პენტაგონის ინფორმაციით, „ისლამური სახელმწიფოს“ 5 მებრძოლი დააკავეს, რამდენიმე კი მოკლეს.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საგარეჯოში, რესპუბლიკური პარტიიდან ურეკავენ ოჯახებს, რომლებსაც ჯარში ჰყავთ ოჯახის წევრი ან ახლობელი და ეუბნებიან, — ხომ იცით, თავდაცვის მინისტრი რომ ჩვენია, და ძალიან დიდი პრობლემები შეგექმნებათ, თუ არჩევნებში ირმა ინაშვილს დაუჭერთ მხარსო. გამოდის, რომ რასაც ყოფილი ხელისუფლების მმართველობის დროს რესპუბლიკელები გმობდნენ, ახლა თვითონ აკეთებენ“.



მამა ელიზბარი (დიაკონიძე):

# «რუსთავი 2» კი არ უნდა დახურო, ის შემკვეთები უნდა გაასამართლო და დასაჯო, რომლებსაც ეს ტელევიზია ემსახურება

**ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის სლავური მიტროპოლიის გენერალური მდივანი ირლანდიასა და დუბლინში მამა ელიზბარ დიაკონიძე ესაუბრება.**

**— მამა ელიზბარ, ყოფილი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ჩადენილი სასტიკი წამებისა და გაუპატიურების კადრები უკრაინული ვებგვერდის შემდეგ ქართულმა საინფორმაციო საშუალებებმაც გაავრცელეს. მათი საჯარო ჩვენება ქუჩებშიც მოეწყო. როგორია თქვენი, როგორც სასულიერო პირის, პოზიცია: უნდა ენახა თუ არა მოსახლეობას ეს კადრები?**

— ეს კადრები საერთოდ არ უნდა არსებობდეს, მაგრამ, რადგან არსებობს, დიახ, უნდა აჩვენონ, რათა ყველამ გაიგოს, რა ხდებოდა სინამდვილეში და ვისთან გვქონდა საქმე. **ვიღაცებმა რომ დაიწყეს, ვაიმე, ისეთი ამაზრზენი კადრებია, გული წამივიდაო, იმას არ წაუვიდა გული, ვისაც ეს გაუკეთეს, ვისაც ასე სასტიკად მოექცნენ?! დღეს რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წინ დგანან და ამ ხელისუფლებას უზნეობაში ადანაშაულებენ, უზნეობის ჩამდენები ხომ თავად არიან?! ვანო ჯავახიშვილს მინდა ვკითხო: რატომ რყვნის ეს ტელევიზია თავის შოუებიანად ერს და ქვეყანას და რატომ აშარჟებს ყოველივე ქართულს? ერთხელ მაინც მიუდვია სხეულზე ელექტროშოკი და უგრძნია, ეს რა არის?**

როდესაც ტელეკომპანია „იმედი“ დაარბიეს, **ნიკა გვარამია** პროკურორი გახლდათ და ძალიანაც ამართლებდა მთავრობის ნაბიჯებს. ახლა კი, როცა თვითონ არის მედიაკომპანიის დირექტორი, თურმე მთავრობაა მასთან დამნაშავე. ეს ტელეკომპანია სააკაშვილისა და ჩვენი ქვეყნის მტრების წისქვილზეასხამს წყალს. **დიახ, ისინი პროფესიონალები არიან, ოღონდ პროფესიონალები სიკეთის ნაგვად წარმოჩენაში.** თუმცა, უნდა ვთქვა, რომ მაინც არ მიმაჩნია მართებულად „რუსთავი 2“-ზე მიტანილი ეს იერიში. ქართველებს ერთი კარგი გამოთქმა გვაქვს: კაცი ცხენს ვერ მოერია და უნაგირი დაამტვრიაო. „რუსთავი2“ კი არ უნდა დახურო, ის შემკვეთები უნდა გაასამართლო და დასაჯო, რომლებსაც ეს ტელევიზია ემსახურება.

**— ხელისუფლება ამბობს, რომ ტელეკომპანია არ დაიხურება. მიმდინარეობს სასამართლო დავა ტელეკომპანიასა და კერძო პირს შორის...**

— გასაგებია, მაგრამ ამ საქციელს „ნაციონალური მოძრაობა“ ისე აპიარებს, ხელისუფლება თითქოს ტელეკომპანიას არბევს. ის დასაჯე, ვინც ამათ ფულს უხდის, რათა ნიკა გვარამიამ ასე ველარ იტატყანოს. გვარამია ამ ტელევიზიის მფლობელია, რატომ ლაპარაკობს ამდენს? ისიც ტელეკომპანიის ისეთივე ჩვეულებრივი დაქირავებული თანამშრომელია, როგორც ტელევიზიის დამლაგებელი, უბრალოდ, ის სხვებზე მაღალ ხელფასს იღებს, რადგან მეტი მოვალეობა აკისრია. და საერთოდ, ეს სიტუაცია სოფლის საპირფარეშოს მაგონებს. ქართველები სოფლის ტუალეტს ჩეჩმას ეძახიან, როდესაც ეს ჩეჩმა ამოივსება, დაფლავენ ხოლმე. ეს ხდება ახლა — ეს ტუალეტი უფრო სუფთა ადგილზე გადადის. როგორც გინდათ, ისე შემიფასეთ ეს ნათქვამი.

**— ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლიდან 3 წლის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ მთავრობაში დაბრუნებით იმუქრება. რატომ ბედავს ამდენს პოლიტიკური ძალა, რომელმაც უამრავი დანაშაული ჩაიდინა და, როგორც ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, პოლიტიკაში დარჩენის მორალური უფლებაც აღარ აქვს?**

— ჩვენი ხელისუფლება იმ უნიათო კაცს მაგონებს, კახპა ცოლს საყვარელთან რომ შეუსწრებს, მაგრამ მაინც თვითონ იმალება, იქით ეშინია. დღეს რესპუბლიკელები და მათთან დაახლოებული ძალები, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იმ ქვეყნების ზურგს არიან ამოფარებული, რომლებიც ვითომ მათ საყრდენ კედლად დგანან, მაგრამ სინამდვილეში ეს კედელი ხელს უშლის აჟამინდელ ხელისუფლებას, ნაციონალების მიმართ სამართლიანად იმოქმედოს.

**— წამებისა და გაუპატიურების კადრების გავრცელების შემდეგ რატომ უნდა იცავდეს საერთაშორისო საზოგადოება ნაციონალებს?**

— **ყველას კარგად მოეხსენება, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები რა გათახსირებულები არიან. ნაციონალებს ყველა უცხოელი თანამდებობის პირი ან მოსყიდული ჰყავდათ, ან — დაშანტაჟებული. საქართველოში ჩამოსულ დიპლომატებს დაპატიჟებდნენ რესტორანში, დაათრობდნენ, შემდეგ სასტუმროში შეუგზავნიდნენ ქალებს და ფოტოებს უღებდნენ.** ჩემი ინფორმაციით, რამდენიმე ელჩს გადაუღეს გარყვნილების ამსახველი ვიდეოები და მათ დღემდე აშანტაჟებენ.

**ნაციონალები გარყვნილების ჭაობში გაზრდილი წურბელები არიან, მათთვის ეს უცხოელები შესანიშნავი „მეწველი ძროხები“ იყვნენ.**

**— მამაო, მართებული იყო პატრიარქის მიერ ემიგრანტი ქალების მიმართ გამოთქმული მოსაზრება? ხომ არ აჯობებდა, საპატრიარქომ ხელისუფლებას მოუწოდოს, შექმნას პირობები ემიგრანტი ქალების შინ დასაბრუნებლად?**

— პატრიარქს არ გაუკრიტიკებია ემიგრანტი ქალები, მან ფაქტი გააკრიტიკა. პატრიარქმა ხელისუფლებასაც ბევრჯერ მოუწოდა. როდესაც 2012 წელს ამ ხელისუფლებამ არჩევნებში გაიმარჯვა, ჩემმა ორგანიზაციამ — „წმინდა გიორგის სადროშომ“ და „მონარქისტულმა კავშირმა“ გადავწყვიტეთ, აქცია გაგვემართა — ახალი ხელისუფლების მოსვლასაც მივესალმებოდით და მთავრობისთვის მოგვეთხოვა, ისეთი პირობები შეექმნა ქვეყანაში, ემიგრანტები შინ დაბრუნებულიყვნენ. აქციაში მონაწილეობა ემიგრანტების ოჯახის წევრებსაც ვთხოვეთ და იცით, რამდენი კაცი მოვიდა? — მხოლოდ ერთი! ახლა კი საპატრიარქოსთან კარგად მივიდნენ და აყაყანდნენ. კარგად იცით, როგორ ვგმობ ეკლესიაში ჩაბუდებულ სიბილწეს, მაგრამ **ვიღაცებს, მათ შორის, ამ ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელსაც, ხელს აძლევს, პატრიარქის გასვრა. ამის მოთავეები რესპუბლიკური პარტიის წევრები არიან. მათ ეკლესია არაფრად მიაჩნიათ.**

**— რატომ ფიქრობთ ასე?**

— დააკვირდით რესპუბლიკელების გამოსვლებს, მათ განცხადებებს და დარწმუნდებით. ახლა სურთ, საგარეჯოშიც თავიანთი კანდიდატი გაიყვანონ. **რესპუბლიკელების კანდიდატს, თამარ ხიდაშელს, მინისტრები დაჰყვებიან და საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში ეხმარებიან. მაგალითად, განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკოც გვერდზე დაუდგა. სერგეენკოს საავადმყოფო კი არ უნახავს საგარეჯოში, პირდაპირ შეკრიბა ექიმები და გამოუცხადა, მხარი თამარ ხიდაშელს დაუჭირეთო.** რა თქმა უნდა, არავის დამუქრებია, მაგრამ კარგად იცით, ჩვენთან მინისტრის ნათქვამი რასაც ნიშნავს...

საგარეჯოში რესპუბლიკური პარტიიდან ურეკავენ ოჯახებს, რომლებსაც ჯარში ჰყავთ ოჯახის წევრი ან ახლობელი და ეუბნებიან, ხომ იცით, თავდაცვის მინისტრი რომ ჩვენია, და ძალიან დიდი პრობლემები შეგექმნებათ, თუ არჩევნებში ირმა ინაშვილს დაუჭერთ მხარსო. გამოდის, რასაც ყოფილი ხელისუფლების მმართველობის დროს რესპუბლიკელები გმობდნენ, ახლა თვითონ აკეთებენ. საგარეჯოს რაიონში მე მხარს ვუჭერ **მიხეილ ანდღულაძეს**, რომელიც დამოუკიდებლად იყრის კენჭს. ის საუკეთესო ქართველი და 5 შვილის მამაა. კარგი ოჯახის შვილია და იცის შრომის, ბრძოლის, მამაშვილობის ფასი. სხვათა შორის, მისი ინიციატივით დაარსდა საგარეჯოში საზოგადოებრივი დარბაზი, რომელიც ხალხთან კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებაა...

ასეთივე სურათია საქართველოს სხვა რაიონებშიც, მაგალითად, დუშეთში. სტიქია რომ მოხდა, გრიგოლ ხანძთელის სახელობის ფონდ „ტაოს“ ეგიდით, იქ ჰუმანიტარული ტვირთი ჩავიტანეთ. გამგეობას და მაჟორიტარ დეპუტატ **ირაკლი ტრიპოლსკის** სოფლების სია ვთხოვეთ — სად რა იყო გასაკეთებელი. მხარში ამომიდგა ტრიპოლსკი, მაგრამ იქ ისეთი გორდიას კვანძი იყო დახლართული, ვერ გავხსენით. დუშეთის ახლანდელი გამგებელი **ვაჟა ჩოხელი** ნაციონალებისდროინდელი გამგებელია. უკანა ფშავის სოფელ ახადს გზა არ აქვს, სოფელი დაცლილია, ხალხს დავპირდი ამ გზის გაკეთებას და გამგებელიც დამეთანხმა, გეგმა უნდა მიმეტანა, მაგრამ მოგვიანებით უარი მითხრა, — ტენდერი უნდა გამოვაცხადოო. წმინდა გიორგის სალოცავში სიტყვა თქვა და გატეხა.

ხელთ მაქვს მაქვს საბუთები, რომელი ტენდერები აქვს დუშეთის გამგეობას დარღვევით ჩატარებული. აუდიტორი, ვინც ამ სატენდერო სამუშაოებზე დასკვნა გამოიტანა, გვარად მიღდისელი, სამსახურიდან გაათავისუფლეს. ტენდერის პირობებს ტორტების მცხობელი ქალბატონი ადგენს, რადგან მისი მეუღლე სატენდერო კომისიის წევრია. გამგეობა ისეთ პირობებს უქმნიდა ტენდერის მონაწილეებს, როგორიც მისთვის სასურველ კომპანიას აძლევდა ხელს. მაგალითად, ასეთი იყო შპს „სოტრი“, რომელიც 11 ტენდერში მონაწილეობდა და ექვსში გაიმარჯვა, საყურადღებოა, რომ 5 ტენდერში მარტო მონაწილეობდა.

საშინელება ხდება საქართველოს მასშტაბით, მაგრამ, ნუ მიწყენენ დუშელები და, ამჯერად დუშეთში წავაწყდი სამართალდარღვევასაც და სინდისის დარღვევასაც. ქრისტეს სახლი უნდა დავასუფთავოთ, ყველა უნდა ვამხილოთ. ჩემთვის ქრისტეს სახლი ჩემი სამშობლოა.

**«ნაციონალებს ყველა უცხოელი თანამდებობის პირი ან მოსყიდული ჰყავდათ, ან — დაშანტაჟებული. საქართველოში ჩამოსულ დიპლომატებს დაპატიჟებდნენ რესტორანში, დაათრობდნენ, შემდეგ სასტუმროში შეუგზავნიდნენ ქალებს და ფოტოებს უღებდნენ. რამდენიმე ელჩს გადაუღეს გარყვნილების ამსახველი ვიდეოები და მათ დღემდე აშანტაჟებენ»**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

---

მსოფლიო




## ესპანელები ნატოს წინააღმდეგ გამოვიდნენ

**ნატო დღეს საკმაოდ აგრესიულ პოლიტიკას ეწევა და განაგრძობს გაფართოებას რუსეთის საზღვრებისკენ. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ ჩატარებული სწავლებები კი რეკორდს რეკორდზე ხსნის: ამჟამად ესპანეთის, პორტუგალიისა და იტალიის ტერიტორიებზე აპირებს მასშტაბური სწავლების ჩატარებას.** ლაპარაკია სამხედრო სწავლებაზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 36 ათასი ადამიანი, 140 თვითმფრინავი, 90 წყალქვეშა ნავი და ხომალდი, 23 ტანკი, 93 ჯავშნიანი მანქანა და 6 ვერტმფრენი. Trident Yuncture-2015-ში (ასე ჰქვია ნატოს სწავლებას) მონაწილეობენ ავსტრიელები და შვედებიც კი, რომელთა ქვეყნებიც არ არიან ნატოს წევრები. შექმნილი მწვავე ვითარებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რა შეიძლება გამოიწვიოს ნატოსა და რუსეთის კონფრონტაციამ, შეშფოთებულმა ესპანელებმა მიტინგი გამართეს იმ სწავლების წინააღმდეგ, რომელიც მათი ქვეყნის ტერიტორიაზე ტარდება. მადრიდის ქუჩებში გამოსული მომიტინგეები გაჰყვიროდნენ ლოზუნგებს: „რახოი და მარგალიო, ლაქიები ხართ!“ (მარიანო რახოი — ესპანეთის მთავრობის მეთაური; ხოსე მანუელ გარსია-მარგალიო — ესპანეთის შს მინისტრი — რედ.); **„ჩვენ არ გვინდა, ვიყოთ ჩრდილოეთ ამერიკის კოლონია!“, „გაიტანეთ სამხედრო ბაზები!“.**

„ეს კადრები მათ ხელში იყო და შეეძლოთ, პასუხისგებაში მიეცათ დამნაშავეები, რადგან სისტემურ დანაშაულს ჰქონდა ადგილი; შეეძლოთ, პარტიის რეგისტრაციის თაობაზეც მიეღო გადაწყვეტილება სახელმწიფოს, რადგან პარტია სჩადიოდა დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ და ამიტომ უნდა აკრძალულიყო, მაგრამ დამნაშავეებთან კოაბიტაციაში შევიდნენ. მეტიც, ყველა სამინისტრო ნაციონალებით არის დაკომპლექტებული — შსს, თავდაცვა, რომელი ერთი დაგისახელოთ?“

ინტერვიუ

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მამუკა ნოზაძე:

# 200 პოლიტპატიმარი გვყავს 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით, მაგრამ არც ერთი მოსამართლე და პროკურორი, რომლებმაც ამ პირებს პოლიტიკური ნიშნით შეუფარდეს სასჯელი, არ დასჯილა!

**ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკით ძალიან უკმაყოფილონი არიან როგორც მისი ყოფილი მომხრეები, ისე ყოფილი მოწინააღმდეგეებიც. მას სამართლიანობა არ აღუდგენია და „ნაციონალური მოძრაობაც“ შესანიშნავად გრძნობს თავს, მკვლელები და მოძალადეები კი ისევ თანამდებობებზე სხედან... „საქართველო და მსოფლიოს“ ადვოკატი მამუკა ნოზაძე ესაუბრა.**

**— უკვე მეოთხე წელია, „ქართული ოცნება“ მართავს ქვეყანას. ამის მიუხედავად, სამინისტროებში საკვანძო თანამდებობები ისევ ნაციონალებს უკავიათ, მართლმსაჯულების ორგანოები სავსეა ისეთი ადამიანებით, რომლებიც ციხეში უნდა ისხდნენ ახლო წარსულში ჩადენილი წამებისა და ათასგვარი სისაძაგლის გამო. რა ხდება ამ სისტემაში? რა ღირსებებისა და დამსახურების გამო იკავებენ ნაციონალთა კადრები მაღალ თანამდებობებს?**

— პრემიერმინისტრმა, პირველ რიგში, უნდა მიხედოს სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფ იმ მუშაკებს, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები იყვნენ და უშუალოდ მონაწილეობდნენ იმ დანაშაულებრივ ქმედებებში, რომლებიც საზოგადოების წინააღმდეგ იყო მიმართული. თუ პრემიერმინისტრს სურს, ქვეყანაში არ იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, მას და მის გუნდს ჰქონდათ შესაბამისი დრო და ხელეწიფებოდათ კიდეც, „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც დანაშაულებრივი პარტიის, მიმართ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები გაეტარებინათ, მაგრამ **საქართველოს მთავრობა ეყრდნობა სწორედ იმ ადამიანებს, რომლებიც წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში მონაწილეობდნენ. ადამიანები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ სისაძაგლეში, დღესაც დასაქმებულნი არიან სხვადასხვა სტრუქტურაში მაღალ თანამდებობებზე.** მახსენდება **ვახტანგ მაისაიას** განცხადება, რომლითაც გამოამჟღავნა დამნაშავე გამომძიებელი, რომელიც მინდია ჯანელიძის მარჯვენა ხელი იყო. რა ხდება? ვიდრე ჟურნალისტები არ გაახმაურებენ ასეთი ფაქტს, დავიჯერო, ხელისუფლებამ არ იცის, ვინ იყო მწამებელი და დამნაშავე, თანამდებობებზე რომ ნიშნავს? რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროში დასაქმებულ ნაციონალებს, მგონი, **სრულიად საქართველო იქნება უბედნიერესი, როდესაც ტელეეკრანზე აღარ დაინახავს თეა წულუკიანის ცინიკურ გამოსვლებს**, უკვე კარგა ხანია, საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელია ეს გამოსვლები. გეტყვით, თეა წულუკიანი ვის ეყრდნობა — ნაციონალ **ლევან მესხორაძეს**, რომელიც უნდა გაეთავისუფლებინა, მაგრამ იმავე თანამდებობაზე დატოვა, რომელზეც დახვდა. **წულუკიანმა კარგად იცოდა ლევან მესხორაძის ვინაობა, რომ ის იყო ზურაბ ადეიშვილის ხელის ბიჭი, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოების სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის თავმჯდომარე და უშუალოდ ის აწვდიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ჯალათებს ინფორმაციას იმ ადამიანებზე, რომლებიც სტრასბურგის სასამართლოს სარჩელით მიმართავდნენ.** სამინისტროში მზადდებოდა წერილების ნიმუშები, რომლებითაც ეს პატიმრები ვითომდა ნებაყოფლობით ითხოვდნენ ევროპული სასამართლოდან საჩივრის გამოტანას, მაგალითად, **ვალერიან ბალიაშვილი**, **მამუკა კოჭლამაზაშვილი** და სხვ. და მათ მიერ გამჟღავნებული ინფორმაციის საფუძველზე უშუალოდ **ლევან მესხორაძის** ზემოქმედებით ადამიანებს გამოჰქონდათ საჩივრები სტრასბურგიდან. მახსენდება კიდევ ერთი ეპიზოდი, ეს არის **ნიკოლოზ ხმიადაშვილის** საქმე, რომელიც ევროპულ სასამართლოში მორიგების საფუძველზე ამოირიცხა საქმეთა სიიდან, მაგრამ, როდესაც სახელმწიფოს უნდა გადაეხადა კომპენსაცია — 7 ათასი ევრო, იგი დაიბარეს იუსტიციის სამინისტროს იმ დეპარტამენტში, რომლის თავმჯდომარეც ლევან მესხორაძე იყო, და დააწერინეს განცხადება, რომ აღარ სურდა, აელო ეს კომპენსაცია. აი, ასეთი პიროვნება არ შეცვალა წულუკიანმა და დღეს გვერდით უზის. წულუკიანის მოადგილე ლორთქიფანიძე კი ადრე საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა და „ნაციონალურ მოძრაობას“ ერთგულად ემსახურებოდა. ამიტომაა, რომ დღეს კანონში შეაქვთ ცვლილება, ხვალ კი ამბობენ, ეს ცვლილებები სწორი არ არისო. მაგალითად, საერთო სასამართლოების შესახებ კანონში შეიტანეს ცვლილება და (სხვათა შორის, „ნაცმოძრაობამ“ ეს საკითხი გააპროტესტა) შემოიღეს მოსამართლისთვის გამოსაცდელი სამწლიანი ზღვარი. სამი წლის ვადით უნდა დანიშნულიყო მოსამართლე, თუნდაც ყოფილი მოსამართლე ყოფილიყო, და ამ სამი წლის შემდეგ ხდებოდა მისი უკვე მუდმივად გამწესება მოსამართლედ. მოულოდნელად მოსამართლეებს ალექსანდრე ბარამიძესთან ერთად შეხვდა თეა წულუკიანი და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ თურმე წელიწად-ნახევრის წინათ მიღებული კანონი არ ყოფილა სამართლიანი და მოითხოვეს, ისევ აღდგეს ძველი ვარიანტი, ანუ მოსამართლეს აღარ სჭირდებოდეს ეს სამწლიანი ვადა. **რეალურად ეს სამწლიანი ვადა შემოიღეს იმის გამო, რომ არ გაპარვოდათ ის მოსამართლეები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობისადმი“ ლოიალურად იყვნენ განწყობილნი, ან საზოგადოების წარმომადგენლებს რომ არ გასჩენოდათ კითხვის ნიშნები მოსამართლეების მიმართ წარსულში ჩადენილი უკანონობის გამო.** აი, ამიტომ მოიფიქრეს ეს მოდელი, რომ, თუ კიდევ რაიმე გამოიკვეთებოდა, ყურებით ჰყოლოდათ დაჭერილი, მაგრამ, როგორც ვხედავთ, გადაიფიქრეს.



> **«ადამიანები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ სისაძაგლეში, დღესაც დასაქმებულნი არიან სხვადასხვა სტრუქტურაში მაღალ თანამდებობებზე»**

იუსტიციის სამინისტროს შემადგენელი ნაწილია პროკურატურა და იქაც საშინელი ვითარებაა. საპროკურორო საბჭოს წევრად აირჩიეს **გოჩა ფარულავა**, რომლის მიმართაც საზოგადოების დიდი ნაწილი უკმაყოფილებას გამოხატავდა. ეს გოჩა ფარულავა უშუალოდ მონაწილეობდა საპროცესო გარიგებებში, უკანონო ქმედებებში, მათ შორის, ქონების ჩამორთმევაში და ეს ადამიანი, არათუ დაისაჯა, დაწინაურდა და საპროკურორო საბჭოს წევრადაც კი აირჩიეს. **ვერ დამისახელებთ ვერც ერთ პროკურორსა და მოსამართლეს, რომლებიც „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში დაისაჯა. ოფიციალურად აღიარებული 200 პოლიტპატიმარი გვყავს, 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით, მაგრამ არც ერთი მოსამართლე და პროკურორი, რომლებმაც ამ პირებს პოლიტიკური ნიშნით შეუფარდეს სასჯელი, არ დასჯილა.**

**— ე.ი. რაღაცაში სჭირდებათ და იმიტომ არ იშორებენ თუ რაიმე სხვა მიზეზია?**

— ეს ხალხი სჭირდებათ, ეს ჯალათები სჭირდებათ. ყველა ხელისუფლებას სჭირდება ადამიანები, რომლებიც გარკვეული დანაშაულებრივი ქმედების შემსრულებლები არიან, რომელთა პოზიციაც ასეთია: იცი რა, მე ჩემ საქმეს ვასრულებ, ვინც უნდა იყოს ხელისუფლებაში, ჩემთვის სულერთია, რასაც დამავალებენ, იმას გავაკეთებ.

ესენი არიან ის დეგრადირებული ადამიანები, რომლებიც ყოველთვის ყველაფერს ასრულებენ. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დასაქმებულ პირთაგან რომელი ერთი დასაჯეს? ათასობით დანაშაულებრივი ქმედებების თაობაზე ათასობით განცხადებაა შეტანილი, მაგრამ მხოლოდ მცირე სასჯელი მისცეს ორიოდე კაცს, ამნისტიაც მალევე გავრცელდა მათზე და **ვაჟა ცხვედიანი, ალექსი თოლორდავა, გიორგი ავსაჯანიშვილი** და სხვები არ დასჯილან.

**— რაც შეეხება ადამიანის წამებისა და სექსუალური ძალადობის ამსახველ ვიდეოებს, რომლებიც ბოლო ხანს გავრცელდა, ქართველი კაცისთვის განა შეიძლება იყოს რამე ამაზე უარესი?**

— ამ შემზარავ ვიდეოებს ხელისუფლება იყენებს თავისი უნიათობისა და უუნარობის გასამართლებლად, რადგან ვერ შეასრულეს ის დაპირებები, რომლებიც მოსახლეობას მისცეს, და ახლა ამაზე უნდათ ყურადღების გადატანა. რომ ნდომოდათ „ნაცმოძრაობის“, როგორც რეჟიმის, გასამართლება, ყველანაირი ბერკეტი ჰქონდათ, მაგრამ არ მოიწადინეს. ესაა ძალადობის წახალისება და საზოგადოების ერთი ნაწილი აუცილებლად დაუპირისპირდება მეორეს. მეოთხე წელია, ხელისუფლებაში არიან და დღემდე არ გამოიძიეს, არც კასრებში ნაპოვნი საქმეები, არც ციხეებში ჩადენილი დანაშაულები. ეს საქმეები თაროებზე აქვს შემოდებული პროკურატურას. **ეს კადრები მათ ხელში იყო და შეეძლოთ, პასუხისგებაში მიეცათ დამნაშავეები, რადგან სისტემურ დანაშაულს ჰქონდა ადგილი; შეეძლოთ, პარტიის რეგისტრაციის თაობაზეც მიეღო გადაწყვეტილება სახელმწიფოს, რადგან პარტია სჩადიოდა დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ და ამიტომ უნდა აკრძალულიყო, მაგრამ დამნაშავეებთან კოაბიტაციაში შევიდნენ. მეტიც, ყველა სამინისტრო ნაციონალებით არის დაკომპლექტებული — შსს, თავდაცვა, რომელი ერთი დაგისახელოთ?** მოკლედ, დროულად თუ არ მოეგებიან გონს, საქმე ძალიან ცუდად იქნება. საზოგადოება ამას დიდხანს არ მოითმენს და არც უნდა მოითმინოს, როგორც „ოცნება“, ასევე „ნაცმოძრაობა“ ერთად, როგორც თანამონაწილეები, მიიღებენ რევოლუციას და ვეჭვობ, ეს ქვეყნისთვის სასარგებლო იქნეს.

> **«წულუკიანმა კარგად იცოდა ლევან მესხორაძის ვინაობა, რომ ის იყო ზურაბ ადეიშვილის ხელის ბიჭი, «ნაციონალური მოძრაობის» მმართველობის პერიოდში იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოების სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის თავმჯდომარე და უშუალოდ ის აწვდიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ჯალათებს ინფორმაციას იმ ადამიანებზე, რომლებიც სტრასბურგის სასამართლოს სარჩელით მიმართავდნენ»**

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ადამიანები, რომლებიც ადეკვატურ შეფასებებს ვერ აძლევენ დანაშაულს, რომელიც ამ კადრებშია გადმოცემული, და მთავარ აქცენტს იმაზე აკეთებენ, სად, როგორ და ვისი მეშვეობით გავრცელდა ეს კადრები, ვფიქრობ, ქვეყნის ინტერესებს არ ითვალისწინებენ“.**



გიორგი ვოლსკი:

# დღეს «ნაცმოძრაობას» მხოლოდ არეულობის მოწყობით შეუძლია პოზიციების გაძლიერება

**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ხელისუფლების დასამხობად შეთქმულების მუხლით გამოძიება დაიწყო. რა იყო საქმის აღძვრის საფუძველი: უკრაინული „ვიკილიქსის“ მიერ გიგა ბოკერიასა და მიხეილ სააკაშვილის საუბრის სტენოგრამა, სადაც ისინი სახელმწიფო გადატრიალებაზე საუბრობენ, თუ მოსალოდნელი არეულობის შესახებ ხელისუფლებას სხვა ინფორმაციაც აქვს და დგას თუ არა დღეს ქვეყანა სახელმწიფო გადატრიალების წინაშე — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი ესაუბრა.**



**«როდესაც ადამიანების ასეთი სასტიკი წამების კადრები ვრცელდება და ამაზე პრეზიდენტი არაფერს ამბობს, თითქოს არაფერი მომხდარა, ჩემთვის ესეც გაუგებარია. პრეზიდენტს არ დაუგმია ყოფილი ხელისუფლების ქმედებები. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, მისი განცხადება, თუნდაც პრემიერის მიმართ, ვითარების არაადეკვატური იყო»**

— არ არის აუცილებელი, ფარული საუბრების ჩანაწერები გვქონდეს, რათა მივხვდეთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ნებისმიერ ქმედებაში ქვეყანაში არეულობის დაწყების სურვილი და მისწრაფება იკითხება. **გვახსოვს, როგორ სცადეს რამდენიმეჯერ, ხან ევროპული ფასეულობების დაცვის ლოზუნგებით და ხან, გაგიკვირდებათ და, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მრავალათასიანი მიტინგი ჩაეტარებინათ, მაგრამ საზოგადოებამ კარგად იცის, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ევროპულ ფასეულობებსა და ადამიანის უფლებების თემაზე საუბრის მორალური უფლება არ აქვს, თუნდაც იმ წამების ამსახველი ვიდეოკადრების გამო, რომლებიც ამ დღეებში გავრცელდა.**

მართალია, ჯერჯერობით სააკაშვილისა და ბოკერიას ამ აუდიოჩანაწერის ავთენტურობაც შესამოწმებელია, მაგრამ ფაქტია, რომ სახელმწიფო სამსახურს არ შეუძლია, ასეთი ინფორმაცია არ გაითვალისწინოს. პარლამენტის ბიუროს სხდომაზე **გიგი წერეთელმა** ისიც განაცხადა, რომ ეს რომელიღაც რუსული საიტის მიერ გავრცელებული ჩანაწერია და ამიტომ სისულელეა, ყურადღება მივაქციოთო, მაგრამ პარლამენტარს ან რიგით მოქალაქეს ასეთი ჩანაწერი რაც უნდა სისულელედ მოეჩვენოს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უფლება არ აქვს, ძიება არ დაიწყოს.

თუ „ნაციონალური მოძრაობის“ ისტორიას და განვლილ საქმიანობას გადავხედავთ, ეს დამატებით საფუძველს მაძლევს, ვიფიქრო, რომ დღეს ნაციონალებს მხოლოდ და მხოლოდ დაპირისპირებისა და არეულობის მოწყობით შეუძლიათ პოზიციები გაიძლიერონ.

**— ხელისუფლებაშიც აშკარაა დაპირისპირება. მიმდინარე მოვლენებზე პრეზიდენტი და პრემიერი რადიკალურად განსხვავებულ განცხადებებს აკეთებენ.**

— მაშინ, როდესაც ქვეყანაში ასეთი პროცესები მიმდინარეობს, როდესაც ნაციონალები ცდილობენ ტელეკომპანია „რუსთავი 2“ -ის ირგვლივ მიმდინარე პროცესების გაბუქებასა და ხელისუფლების დადანაშაულებას, თითქოს ტელეარხს პრობლემები ხელისუფლებამ შეუქმნა, **პრეზიდენტის მხრიდან ასეთი განცხადებები უმართებულოა.** მნიშვნელობა არ აქვს, მომწონს თუ არა „რუსთავი 2“, შეიძლება, მიმაჩნდეს, რომ ტელევიზია უფრო ზუსტ და დახვეწილ ინფორმაციას უნდა აწვდიდეს საზოგადოებას, არ იყოს პოლიტიკურად ანგაჟირებული, მაგრამ ჩემი თვალსაზრისი ამ საკითხზე არაფერს ნიშნავს. მთავარია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო, ხოლო **პრეზიდენტის განცხადებასა და მოსამართლისადმი მოწოდებაში, რომ მან არ მიიღოს ნაჩქარევი და ხისტი გადაწყვეტილება, ჩვენ დავინახეთ პირდაპირი შეტევა სასამართლოზე.**

ამას გარდა, როდესაც ადამიანების ასეთი სასტიკი წამების კადრები ვრცელდება და ამაზე პრეზიდენტი არაფერს ამბობს, თითქოს არაფერი მომხდარა, ჩემთვის ესეც გაუგებარია. **პრეზიდენტს არ დაუგმია ყოფილი ხელისუფლების ქმედებები. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, მისი განცხადება, თუნდაც პრემიერის მიმართ, ვითარების არაადეკვატური იყო.**

პრეზიდენტის განცხადების ბოლო ნაწილი, რომ ემოციები ყველამ უნდა მოთოკოს და ისე იმოქმედოს, რათა ქვეყანა დაპირისპირების საფრთხის წინაშე არ აღმოჩნდეს, ჩემთვის გასაგებია და ვეთანხმები, მაგრამ მისი განცხადების წინა ფრაზა მიუღებელი იყო. ერთი მხრივ, პრეზიდეტმა ყველას სიმშვიდისკენ მოუწოდა, მეორე მხრივ კი, რეალური ვითარება არ შეაფასა და სასამართლოზე გადაიტანა მთავარი აქცენტი. არადა, ყველამ (იქნება ეს პრეზიდენტი, პარლამენტის წევრი თუ მთავრობის ნებისმიერი წარმომადგენელი), ვისაც ტრიბუნა აქვს, უნდა თქვას, რომ ის უბედურება, რომელიც საქართველოში ხდებოდა, მიუღებელია დღევანდელი და მომავალი საქართველოსთვის. მორალურად მაინც შეეფასებინა ეს კადრები მარგველაშვილს, მაგრამ მან პრემიერმინისტრის კრიტიკა და სასამართლოსადმი მითითებები არჩია.

**— თუმცა არამხოლოდ პრეზიდენტი მოიქცა ასე... სამეგრელოში კასრებში აღმოჩენილი ვიდეოფირების გავრცელების შემდეგ რატომ გაიყო ხელისუფლების აზრი ორად და რატომ დაინახა ნაწილმა პრობლემა უფრო მეტად ამ კადრების გავრცელებაში, ვიდრე წამების ჩამდენებში?**

— მართალი ბრძანდებით, არაადეკვატურია ასეთი საქციელი. ეს კადრები მხოლოდ ვიწრო წრეში არ გავრცელებულა. ამ კადრების პოვნის შემდეგ, როგორც ვიცი, ასზე მეტ ადამიანს დაეკისრა პასუხისმგებლობა, ზოგიერთი კი პასუხისმგებლობას დღესაც ემალება. ხელისუფლებაში იქნებიან თუ ოპოზიციაში, **ადამიანები, რომლებიც ადეკვატურ შეფასებებს ვერ აძლევენ დანაშაულს, რომელიც ამ კადრებშია გადმოცემული, და მთავარ აქცენტს იმაზე აკეთებენ, სად, როგორ და ვისი მეშვეობით გავრცელდა ეს კადრები, ვფიქრობ, ქვეყნის ინტერესებს არ ითვალისწინებენ.**

**— უკრაინული „ვიკილიქსის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელსა და პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს ნაციონალები ფარულად ეხმარებიან და მხარს უჭერენ. რას იტყვით, შეიძლება ისინი ახლო მომავალში ნაციონალების ბანაკში ვიხილოთ?**

— საკმაოდ ყურადღებით ვაკვირდები პროცესებს და მე, პირადად, ვერც საუბარში და ვერც მათ ქმედებებში ნაციონალებთან კავშირს ვერ ვხედავ. შეიძლება რაღაც საკითხებზე მათი ზოგიერთი განცხადება არ იყოს ჩემთვის მისაღები, მაგრამ არც ხიდაშელი და არც რესპუბლიკური პარტიის სხვა წევრი ვერ დადგება იქ, სადაც ნაციონალები დგანან.

**— რატომ ალაპარაკდა ხელისუფლება „ნაციონალური მოძრაობის“ გასამართლებაზე ახლა და არა მაშინ, როდესაც ხალხი სამართლიანობის აღდგენას ითხოვდა? ეს კადრები ხომ ხელისუფლების ბევრ წარმომადგენელს ნანახი ჰქონდა?**

— ამ საკითხზე ჩემი თვალსაზრისი მაქვს და მიმაჩნია, რომ უნდა დაისაჯონ კონკრეტული ადამიანები, რომლებიც ამ დანაშაულების ჩამდენ ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ და მითითებებს აძლევდნენ, მაგრამ ვფიქრობ, ადამიანთა გარკვეული ჯგუფი არ უნდა დაზარალდეს იმის გამო, რომ ამ ჯგუფის ლიდერებმა დანაშაული ჩაიდინეს.

**— ფიქრობთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დამნაშავე რეჟიმად არ უნდა გამოცხადდეს?**

— ვფიქრობ, ამ საკითხს უფრო ღრმა განხილვა სჭირდება. მთავარი, რაც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, არის ის, წაადგება თუ არა ჩვენი ესა თუ ის ნაბიჯი საქართველოს. ემოციურმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება ძალიან დააზარალოს საქართველო. გვინდა თუ არა, ბევრი რამ უნდა გავითვალისწინოთ.

**— თქვენი აზრით, თუ „ნაციონალურ მოძრაობას“ დამნაშავე რეჟიმად გამოვაცხადებთ, საერთაშორისო საზოგადოებრიობა არ დაგვიჭერს მხარს?**

— მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოებრიობაზე არ არის ლაპარაკი. ქვეყნის შიგნითაც არ უნდა შექმნა დაძაბული სიტუაცია, ამიტომ, სანამ ასეთ გადაწყვეტილებას მივიღებთ, კარგად უნდა დავფიქრდეთ, რას მოუტანს ეს ქვეყანას.

**— ნაციონალებს დასავლეთიდან ყოველთვის ჰქონდა მხარდაჭერა — ისინი ყოფილი ხელისუფლების რომელიმე მაღალჩინოსნის დაკავებასაც კი პოლიტიკურ შეფასებას აძლევდნენ. ამ კადრების გავრცელების შემდეგ თუ ესაუბრეთ რომელიმე უცხოელ მაღალჩინოსანს, რა რეაქცია ჰქონდათ?**

— საერთაშორისო თანამეგობრობა (კონკრეტულად რომელიმე ქვეყანას არ დავასახელებ, რადგან ასეთი ბევრია), თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, უყურებს მთლიანად კავკასიას თუ საქართველოში შექმნილ ვითარებას. საერთაშორისო უსაფრთხოება მათი საზრუნავი და არა „ქართული ოცნების“ ან „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერა.

**ამ კადრების ნახვის შემდეგ გაუჩნდათ შეკითხვა, თუ რამდენი ადამიანია ამ დანაშაულის გამო პასუხისგებაში მიცემული, ხოლო საკითხი, რატომ გამოუტანა ბაჩო ახალაიას ან ვანო მერაბიშვილს საქართველოს სასამართლომ განაჩენი, სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელების დღის წესრიგში, უკვე დიდი ხანია, აღარ დგას.**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

მსოფლიო

## გენმოდიფიცირებულმა პომიდორმა ესპანელი მამაკაცი იმსხვერპლა



**„31 წლის ესპანელი ხუან პედრო რამოსი პირველი ევროპელია, რომელიც გენმოდიფიცირებული პროდუქტის მიღების შედეგად მოკვდა. ეს გაირკვა მას შემდეგ, როცა ექიმებმა გვამს ექსპერტიზა ჩაუტარეს“, — წერს გამოცემა World News Daily Report-ი.**

სიკვდილის დღეს ესპანელმა მამაკაცმა მადრიდის ერთ-ერთ რესტორანში პომიდვრის სალათა შეუკვეთა და, როცა ჭამა დაასრულა, ტანზე გამოაყარა, არტერიული წნევა კი ძალიან დაეცა. სასწრაფო დახმარების ბრიგადა შემთხვევის ადგილზე რამდენიმე წუთში მივიდა, მაგრამ ექიმებმა ვერ შეძლეს ხუან პედრო რამოსის გადარჩენა.

სამედიცინო-კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ გაირკვა, რომ მამაკაცის მიერ შეჭმულ პომიდორში იყო ზღვის ცხოველებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ალერგენი, რომელიც ანტიბიოტიკების მოქმედების მიმართ მედეგია. მამაკაცი კი ალერგიული იყო.

ამ შემთხვევის შემდეგ ესპანეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გასცა განკარგულება, გაენადგურებინათ 7 ათასი ტონა პომიდორი, რომელიც პორტუგალიიდან იყო იმპორტირებული.

რა ვქნათ, თუკი დღევანდელ საქართველოში თინა მახარაძისნაირებს — „თავისუფალ ახალგაზრდებს“ — ახალთაობის ისეთი მწერლები და პოეტები უფრო „ევასებათ“, საკუთარ დედაზე რომ უდგებათ უნიტაზზე ჩამოჯდომისას, „ევასებათ“ საყურეებიანი და პომადაწაცხებული „ბიჭუნები“. ჰოდა, ჯანსუღ ჩარკვიანზე კარგს რას იტყვიან, რომელიც საქართველოს მომავალს უტოვებს გულზე ამოსატვიფრ შეგონებას: „თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია!“ „ლომები“ სადღა არიან?! — საკითხავი ეს არის სწორედ!

ჩემი დღეების ჩანაწერები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ღმერთგამწყრალი

**რა გასაკვირია, მაღალ ღმერთს უმალ რომ შეემჩნია ამ ახალგაზრდა ქალის ნამეტანი „ქალაბიჭობა“, ნამეტანი აღვირახსნილობა, ბილწსიტყვაობა, „თავისუფალი“, ქალისთვის შეუფერებელი ქცევა და მკაცრად გასწყრომოდა მას?! ჰოდა, მორჩა მსახიობ თინა მახარაძისთვის ქალური კდემამოსილება, სისადავე, სინაზე, სათნოება... გნებავთ, თავდაჭერილობა მსახიობისა, რომელსაც, როგორც ამბობენ (მე არ მინახავს), საკმაოდ საინტერესო როლი ჰქონია სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“... დადის იგი და უსაშველოდ, მამაკაცს რომ შეშურდება, ისე იგინება შინ და გარეთ...**

## «ჭირი მომჭამონ!.. უბედურება ის არის, ეგეთი ახალგაზრდების, ყელიდან სიმყრალე რომ ამოსდით, ნამეტანი სიმრავლეა საქართველოში!.. გესმის, კაცო?! თავი სახალხო პოეტი მეგონა და თურმე ყ*ე ვყოფილვარ!»

რა გაეწყობა, „თავისუფალ“ ქცევას ეთაყვანება... ჰოდა, წერს სოციალურ ქსელებში „თავისუფლად“, უკანმოუხედავად, აღარც ოჯახს სცემს პატივს, აღარც მშობლებს, აღარც თავის პროფესიას, რომლის უკან დგანან **ვერიკო ანჯაფარიძე** და **სესილია თაყაიშვილი, მედეა ჩახავა** და **მედეა ჯაფარიძე, სოფიკო ჭიაურელი** და... მრავალი სხვა, ვისაც „საბჭოთა მსახიობი“ ერქვა, თუმცა სახელ-დიდება უკეთური ყოფაქცევით არ მოუპოვებია, ღვთით ბოძებულ ნიჭიერებას ქართულ თეატრსა და კინოს ახმარდა. და, **თუ ცენზურა იმის უფლებას არ იძლეოდა, რომ რადიოში, ტელევიზიასა და პრესაში ერთმანეთისთვის ყლეები და ნაბოზვარები გვეძახა, შავდებოდა ამითი რამე?!** პირიქით! თუ ასე „უცენზურო“ წერა სჯობდა, წაიკითხეთ, ბატონო, აქვე თინა მახარაძის ბჟუტური და თავად განსაჯეთ.

მოკლედ, მსახიობი თინა მახარაძე „რუსთავი 2“-ის თემაზე სოციალურ ქსელში ვრცელ პოსტს აქვეყნებს (ტექსტის შინაარსსა და სტილს უცვლელად გთავაზობთ):

**„ამ ისტორიის დაწერას აბსოლუტურად სხვა პათოსით ვაპირებდი, მაგრამ ეს ის დროა, რომელიც სტილისტურად გამართული ლიტერატურისა და სენტიმენტების არ არის.**

**დღეს, ლანა ღოღობერიძის საღამოზე (რომელიც ისე ჰგავს ბებიაჩემს და ისე მომწონს), სადაც უკრავდა მანანა მენაბდე (რომელიც ისე ჰგავს არავის და ისე მიყვარს), იჯდა ყ*ექალა გურანდა გაბუნია, რომელიც, მახსოვს, გადაღებას აჩერებდა ხოლმე იმპერატიული განაცხადით: „პრავიწელსტვა ზვანიტ“ და ეკა ბესელიას ეჭორავებოდა გაგანია სეტზე, და იჯდა ყ*ე ჯანსულ ჩარკვიანი, რომელიც იმიტომ კი არ არის ყ*ე, რომ დაბერდა და გამო*ლევდა, არამედ იმიტომ, რომ თხემით ტერფამდე ყ*ე იყო ყოველთვის და წინა სასიკვდილო აგონიაში მით უფრო სულით ხორცამდე ყ*ედ იქცა, რომელიც, თავის მხრივ, მთელ ხმაზე ლანძღავდა ჩემს შეყვარებულს პირსინგებისა და სეპტუმის გამო და დაჟინებით სთხოვდა, — კაცობა უკვე დაკარგე და ბარემ პომადაც წაისვიო, და, ამასთან გვერდით მჯდომ მაია ფანჯიკიძეს ჩემზე ეძალავებოდა — გინდა თუ არა, შენ გეცოდინება, ეს ხომ ის გოგოა, გოგოები რომ მოსწონსო (ამ დროს მე და დიმუ ვიღიმოდით, ერთმანეთს ვკოცნიდით და ვუსმენდით პასტერნაკს, ბროდსკის, ვერლენს, ედგარ პოსა და ანა კალანდაძეს).**

**თავისთავად ეს ამბავი, თავისი მოქმედი პირებით, ამაზრზენია და შესაბრალისი, მაგრამ ეს ის დროა, როცა შემწყნარებლობის, დათმინებისა და კომპრომისების დრო არ არის.**

**ეს ის დროა, როცა თქვენი კეთილი ნება, თქვენი ცხოვრება, თქვენი მომავალი უნდა მართონ ჯანსულებმა, გურანდებმა, ბესელიებმა, ხალვაშებმა და წმინდა წყლის ყლეებმა.**

**და ეს არ უნდა გინდოდეთ!**

**და თუ ეს არ გინდათ, გამოდით ხვალ „რუსთავი 2“-ის დასაცავად.**

**აქ „რუსთავი 2“-ზე კი არა, თქვენს პირად არჩევანზე, პირად სივრცეზე, თქვენს პირად ეპოქაზეა ლაპარაკი.**

**მომიტევეთ ჰეროიკული განწყობა, გაუმართავი ტექსტი, მომიტევეთ 25 წელი და ახალგაზრდული გამწარება (რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ დავბერდები, არ გამოვყლევდები), მომიტევეთ თავისუფლება, როგორც წესი, როგორც არჩევანი იმიტომ, რომ არ არსებობს სხვა წესი, გარდა კეთილი ნებისა და გარდა თავისუფლებისა — ჩვენი და სხვისი“.**



ა, რავარია!..

აკი, სიტყვის თავისუფლება არ არის საქართველოშიო, აკი, დაღუპულია ჩვენი საქმეო... ჯავრობს „თავისუფლებას“ მონატრებული თინათინი,— მოდით „რუსთავი 2“-ის დასაცავადო,— იწვევს იგი ნამეტანი „დაჩაგრული“ ტელეარხის თაყვანისმცემლებს, რომლებსაც „თავისუფალი“ ბჟუტური არ სწყინდებათ ტელესივრცეში.

### რას ამბობენ თინა მახარაძის ბჟუტურზე გურანდა გაბუნია და ჯანსუღ ჩარკვიანი

ვიფიქრე, დავურეკავ ქალბატონ გურანდა გაბუნიას და ბატონ ჯანსულ ჩარკვიანს და შევეკითხები, ხომ არ წაგიკითხავთ მახარაძის „შედევრი“-მეთქი.

**— აბა, რა გითხრათ, — მეუბნება ქალბატონი გურანდა, — არ მიკვირს თინა მახარაძის უცენზურო ბოდვა. მე ხომ სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ სწორედ იმიტომ დავტოვე, რომ ამ „თავისუფალი“ ქალბატონის ნამეტანი „თავისუფალი“ ფრაზები გავიგონე რამდენიმეჯერ... იქვე ჩანდა, მაგის დაქალებიც რა „თავისუფლები“ არიან... რას ვიზამთ, მაგისთანებისთვის ახლა ადვილია ცხოვრება, მაგრამ კაცმა არ იცის, ვის რას უმზადებს იგი.**

**ჯანსულ ჩარკვიანს** არ სურდა გამოხმაურება, მაგრამ ბოლოს დავითანხმე და ასეთი რამ ჩამაწერინა ტელეფონით:

— ლანა ღოღობერიძის საღამოზე ერთი „ქალაბიჭა“ ტიპი შევამჩნიე და უმალ ჩემს „სიცილნათელებს“ ერთკუპლეტიანი ექსპრომტი მივუმატე ხევსურულ მოტივზე:

**მიხარის, კარგად შაგყურებ,**
**მსურს, გემოვნება**
**ჩაგიცხრო,**
**ბიჭავ, გიხდების საყურე,**
**იქნებ, პომადაც წაიცხო?!**

ჩემ გვერდით **მაია ფანჯიკიძე** იჯდა, წავუკითხე და თან იმ „ქალაბიჭასკენ“ გავახედე ღიმილით... ეგ იყო და ეგ!.. ნამეტანი წყენია მის მეწყვილეს!.. ჭირი მომჭამონ!.. უბედურება ის არის, ეგეთი ახალგაზრდების, ყელიდან სიმყრალე რომ ამოსდით, ნამეტანი სიმრავლეა საქართველოში!.. გესმის, კაცო?! თავი სახალხო პოეტი მეგონა და თურმე ყ*ე ვყოფილვარ!.. რა საქმეა?!.. — თავისებურად ოხუნჯობს ჯანსული, მართლაც გამორჩეული პოეტი და მამულიშვილი.

რა ვქნათ, თუკი დღევანდელ საქართველოში თინა მახარაძისნაირებს — „თავისუფალ ახალგაზრდებს“ — ახალთაობის ისეთი მწერლები და პოეტები უფრო „ევასებათ“, საკუთარ დედაზე რომ უდგებათ უნიტაზზე ჩამოჯდომისას, „ევასებათ“ საყურეებიანი და პომადაწაცხებული „ბიჭუნები“. ჰოდა, ჯანსულ ჩარკვიანზე კარგს რას იტყვიან, რომელიც საქართველოს მომავალს უტოვებს გულზე ამოსატვიფრ შეგონებას: „თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია!“

**„ლომები“ სადღა არიან?! — საკითხავი ეს არის სწორედ!**

# «მხოლოდ ამიტომ უნდა დაეჭირათ გიგი უგულავა!» ანუ, ნარმანია, წიე, სადღაა შენი პირობა?!

**ეს სიტყვები გულშემაწუხებელი სანახაობით აფორიაქებულმა შუახნის კაცმა წამოისროლა და ჰაერში მუშტი მოიღერა. რა მოხდა ასეთი?**

თავისუფლების მოედნის ქვემოთ, პუშკინის ქუჩაზე, თბილისის აწ უკვე ყოფილი მერის, გიგი უგულავას, ნებითა და თავკაცობითტავის დროზე გათხრები დაიწყო,— უნიკალურ სიძველეებს მივაკვლიეთო. არადა, ასეთი საუკუნოვანი ქვები და აგურები ძველ თბილისში ყოველ ნაბიჯზეა, სადაც ბარს დაარტყამ. დავიწროვდა პუშკინის ქუჩა და ხალხი იძულებული შეიქნა, მოპირდაპირე მხარეს, ხელოვნების მუზეუმის კედელზე აკრულს ევლო გზაწვრილზე, რაც დღემდე გრძელდება. არადა, ერთმანეთის გვერდის ავლა აქ თითქმის შეუძლებელია, რასაც ემატება იმის შიში, რომ „კოლმეურნეობის მოედნიდან“ ამომავალმა უამრავმა ავტობუსმა თუ ავტომანქანამ კედელს არ მიგასრისოს!

ასეა კარგა ხანია!.. **ახალმა მერმა, პატივცემულმა ნარმანიამ თავის დროზე „ფიცი“ რომ დადო, ისიც აღნიშნა, არქეოლოგები მალე დაამთავრებენ კვლევა-ძიებას პუშკინის ქუჩაზე, მერე გადავხურავთ იქაურობას და ქუჩასაც გავაფართოებთ, კარგ ტროტუარსაც გავაკეთებთო.**



**ხომ მორჩა, ხომ დამთავრდა, ხალხო, ეს უგულავა?! დღევანდელი მერია და მერი რაღას აკეთებს?! ნარმანია, წიე, სადღაა შენი პირობა?! იმას უცდით, აქ რაიმე უბედურება დატრიალდეს?! ღმერთმა ნუ ქნას! ხოლო, რაც მოგივათ, ღირსებიც იქნებით, უგულავა კი, თუ იუკუღმართა, ქე იხდის იმისთვის სასჯელს**

**ქვირფასო თბილისელებო, კი ხედავთ, რაც გააფართოვეს და რა ტროტუარიც გაიყვანეს — ხალხი ისევ გულისფანცქალით მიმოდის ხელოვნების მუზეუმის კედელს აკრული...** ჰოდა, იმ დღეს ის მამაკაცი, იცით, რამ ააყვირა?! ახალგაზრდა ქალს სამი ბავშვი მოჰყავდა: ერთი ატატებული, ორი ბიჭუნა კი თავისთვის მოდიოდა და ერთ-ერთი კინაღამ მანქანას შეუვარდა, რასაც თვალი მოჰკრა მოპირდაპირე მხრიდან მომავალმა მამამაკაცმა და კიდეც შეუკურთხა უგულავას!

ჰო, მაგრამ **ხომ მორჩა, ხომ დამთავრდა, ხალხო, ეს უგულავა?! დღევანდელი მერია და მერი რაღას აკეთებს?!**

ნარმანია, წიე, სადღაა შენი პირობა?! იმას უცდით, აქ რაიმე უბედურება დატრიალდეს?! ღმერთმა ნუ ქნას! ხოლო, რაც მოგივათ, ღირსებიც იქნებით, უგულავა კი, თუ იუკუღმართა, ქე იხდის იმისთვის სასჯელს.

**ვილენ მარდალეიშვილი**

ბაქურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დღეს საქართველოში დაძაბულობის ყველაზე დიდ კერას სწორედ „რუსთავი 2“ წარმოადგენს და, თუკი ვინმეს რეალურად სურს მშვიდობა, მაშინ ეს ტელევიზია აუცილებლად უნდა ჩამოერთვათ „ნაცებს“. სხვა შემთხვევაში ქვეყანა მუდმივი ესკალაციის რეჟიმში იცხოვრებს და სამოქალაქო დაპირისპირებაც ყოველწამიერად იქნება მოსალოდნელი.**

# გმირთა გვარამი, ანუ ვინ რა სისულელე თქვა «რუსთავი 2»-ის შესახებ

**ტელეკომპანია „რუსთავი 2“ განაგრძობს საკუთარი თავისთვის „მოუხელთებელი ჯოს“ იმიჯის შექმნას. ვინც იცის ეს ანეკდოტი, მიხვდება, რასაც ვამბობ; ვინც არ იცის, მისთვის განვმარტავ: ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ დაინგრა ლეგენდა, თითქოსდა, „ბიძინა ივანიშვილის გავლენაში მყოფი მოსამართლე თამაზ ურთმელიძე“ პირველივე სასამართლო პროცესზე დაუყოვნებელი აღსრულების წესით ჩამოართმევდა „რუსთავი 2“-ს ძმებ ყარამანაშვილებს და გადასცემდა ქიბარ ხალვაშს.**


დავით ტურაშვილი


ლაშა ბუღაძე


გიორგი ტუღუში


თინა მახარაძე

**გიორგი ტუღუშმა «რუსთავი 2»-ს, ფაქტობრივად, პირდაპირ გამოუცხადა — ტელევიზია კი არა, პარტია ხართო. სიმართლეს გაუმარჯოს, ძმაო! «რუსთავი 2» არასდროს ყოფილა ტელევიზია, მუდამ კონკრეტული პარტიის პროპაგანდის განყოფილება იყო**

ეს არ მოხდა არათუ პირველივე, არამედ არც მეორე, არც მესამე სასამართლო პროცესებზე, დარწმუნებული ვარ, არც მეოთხე სასამართლო პროცესზე მოხდება.

„რუსთავი 2“-ის საქმე განიხილება იმ ვადებში, რა ვადებიც საჭიროა ასეთი დონის კერძო დავის განსახილველად და დასრულდება ისე, როგორც მოითხოვს კანონი.

ასე რომ, „არიქა, ვერ დაგვხურავთ! საზოგადოება მხარს გვიჭერს“ და ასეთი „გმირული ზღაპრები“ ნელ-ნელა, თუკი ვინმეს სჯეროდა მისი, მათ თვალშიც კი ცვდება და ანეკდოტურ ხასიათს იძენს.

რაც შეეხება მოთქმა-გოდებას, ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება არ გვინდა, მშვიდობა გვესაჭიროება და სიტუაციის ესკალაცია დაგვაზარალებსო, მინდა განვაცხადო, რომ **დღეს საქართველოში დაძაბულობის ყველაზე დიდ კერას სწორედ „რუსთავი 2“ წარმოადგენს და, თუკი ვინმეს რეალურად სურს მშვიდობა, მაშინ ეს ტელევიზია აუცილებლად უნდა ჩამოერთვათ „ნაცებს“. სხვა შემთხვევაში ქვეყანა მუდმივი ესკალაციის რეჟიმში იცხოვრებს და სამოქალაქო დაპირისპირებაც ყოველწამიერად იქნება მოსალოდნელი.**

მით უმეტეს, რომ ფაქტია: „რუსთავი 2“-ის „მოკრძალებული ხიბლი“ ბევრ ცნობილ „სახეს“ ათქმევინებს წარმოუდგენელ სისულელეებს, ანუ შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს ადამიანები თითქოს ბოლომდე დარწმუნებულნი არ არიან, „რუსთავი 2“ ძველ, კანონიერ მფლობელებს რომ დაუბრუნდება და ამიტომ ცდილობენ, არ გაანაწყენონ ახლანდელები. ეს მცდელობა კი მათ მართლაც საოცარ უაზრობებს ათქმევინებს ხოლმე.

და, ვინაიდან მთელი ორი კვირის განმავლობაში, ყველა ტელევიზია, გაზეთი, საიტი თუ სხვა ტიპის მედიასაშუალება გადავსებული იყო სწორედ „რუსთავი 2“-ის თემით, დღეს **სამართლებრივ თუ პოლიტიკური განხილვით თავს აღარ შეგაწყენთ და სწორედ აი, იმ სისულელეების შესახებ ვისაუბრებ მხოლოდ, რომლებიც „ცნობადმა სახეებმა“ წამოროშეს ამ მოვლენების შესახებ.**

**№1. დავით ტურაშვილი:**

**„როდესაც ქიბარ ხალვაში ითხოვს უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნებას, ჩვენ მას გარკვეულწილად უნდა მოვუსმინოთ, მაგრამ ამავე დროს საკუთარ თავს უნდა დავუსვათ კითხვა: რა უფრო მნიშვნელოვანია — ქიბარ ხალვაშისთვის წართმეული ქონების უკან დაბრუნება თუ ჩვენი სახელმწიფოს მომავალი? მომავალი, რომელიც არ ექნება სახელმწიფოს, თუკი ეს ტელევიზია და თავისუფალი სიტყვა შეწყვეტს არსებობას...“**

ტურაშვილისგან ყოვლად უარგუმენტო სისულელეების რახარუხს მიჩვეული ვარ, მაგრამ ამ დონის სისულელეს, ალბათ, იშვიათად მოისმენს აწი მკითხველი და, ამიტომ ვურჩევ, კიდევ ერთხელ გადაიკითხოს ეს სასწაულებრივი ფრაზა!

„სახელმწიფოს მომავალი“ ყოფილა თურმე ის, რომ ადამიანს უკანონოდ წართმეული არ უნდა დავუბრუნოთ! ანუ, აქ მთავარი არის ის, რომ **დათო ტურაშვილს სულაც არ უჩნდება ეჭვი, რომ ეს ტელევიზია ნამდვილად ქიბარ ხალვაშს ეკუთვნის კანონიერად. უბრალოდ, მოგვიწოდებს, „სახელმწიფოს“ მომავლის გამო კანონი ფეხზე დავიკიდოთო. არ ვიცი, რომელი ნორმალური სახელმწიფო აშენებულა კანონის ფეხზე დაკიდების ხარჯზე, მაგრამ ფაქტია, რომ ტურაშვილმა რაღაცა მსგავსი იცის და გვიმალავს!** ყოველ შემთხვევაში, მე „თავისუფალ სიტყვად“ სწორედ ის მიმაჩნია, რომ ადამიანს სასამართლოში სარჩელის შეტანისა და კუთვნილის მიღების უფლება ჰქონდეს! **„თავისუფალი სიტყვა“ არ არის მხოლოდ ის, რომ ვიღაც ტუტუცმა ტელეეთერში იტლიკინოს! თუმცა, რაღა უნდა ილაპარაკო, როდესაც ადამიანი გეუბნება: მართალია, ეს კაცი თავის კუთვნილს კანონიერად ითხოვს, მაგრამ მას მხოლოდ „გარკვეულწილად“ უნდა მოვუსმინოთო...** კარგი, ვნახოთ, როგორი გამოდგება საბოლოოდ ტურაშვილისეული „გარკვეულწილად“ დემოკრატია... ჩვენ კი გავნაგრძოთ სისულელეების აფიშირება.

**№2. ლაშა ბუღაძე:**

**„ეს ქიბარ ხალვაში ზოგჯერ რაღაც პროგრამა მგონია. „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლები რამეს იტყვიან და გამოდის და პასუხს სცემს რაღაც პროგრამა სახელწოდებით „ქიბარ ხალვაში“, ერთი და იმავე ფრაზებით. ერთი და იმავე რობოტის ღიმილით სტანდარტულად პასუხობს...“**

გასაგებია, რომ ლაშა ბუღაძეს ქიბარ ხალვაში პროგრამა ჰგონია. მას ამის უფლება აქვს, მაგრამ, **როდესაც ამბობს, „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლები-ო, აი, მანდ, ნეტავ, არ ახსენდება ძმები ყარამანაშვილები? აკი, ქიბარ ხალვაშს სარჩელი სწორედ ყარამანაშვილების წინააღმდეგ აქვს შეტანილი და არა გვარამიას, უდუმაშვილის, გაბუნიას, კიკალიშვილის ან ჟორჟოლიან-ასათიანის წინააღმდეგ.** ძმები ყარამანაშვილები არიან ოფიციალურად „რსუთავი 2“-ის მფლობელები და, **თუკი ხალვაში ვინმეს „რობოტს“ აგონებს, სამართლიანობისთვის ხომ არ აჯობებდა, იქვე ეთქვა, რას აგონებს მას ძმები ყარამანაშვილები? — „მოდელირებულ ქრონიკას“ ხომ არა? ანუ ეს ძმები რეალურად არსებობენ თუ იმ „ქრონიკასავით“ მოდელირებულნი არიან? ან, საერთოდ, იციან კი ძმებმა ყარამანაშვილებმა რომ „რუსთავი 2“ მათი ქონებაა?** ხომ არ არის დრო, ვინმემ შეატყობინოს მათ ეს ამბავი? ქიბარ ხალვაში „რობოტის ღიმილით“ მაინც პასუხობს ვინმეს, მაგრამ ყარამანაშვილებისგან კაციშვილს სიტყვაც არ გაუგონია, აგერ უკვე თვეა, მათ საკუთრებაზე მიმდინარე სასამართლო დავის განმავლობაში. ნეტავ, ეს ფაქტი როგორ გამოეპარა ბუღაძის „მახვილ გონებას“?! აჰ! თუ ყარამანაშვილებზე რაიმეს თქმა და ქილიკი ჯერ არ დაუვალებიათ „ზემოდან“? ისე, საინტერესოა, რა ვალები აქვთ ამდენი ამ „ცნობად სახეებს“.

**№3. გიორგი ტუღუში:**

**„მე მომწონს, რომ დღეს აქ „რუსთავი 2“-ის მხარდასაჭერად ამდენი ადამიანი შეიკრიბა. ეს ძალიან დააფიქრებს თქვენს მოწინააღმდეგეებს, რადგან დღეს საქართველოში რეალურად, თქვენ გარდა, არც ერთ სხვა პარტიას არ შეუძლია ამდენი მხარდამჭერის მობილიზება!“**

არაფერი მოგვეჩვენება ბატონი ყოფილი სახალხო დამცველის სიტყვებში უცნაური, თუ არ გვეცოდინება, რომ ის ამ სიტყვებს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიკროფონიან გოგონას ეუბნება. **ანუ, გიორგი ტუღუშმა „რუსთავი 2“-ს, ფაქტობრივად, პირდაპირ გამოუცხადა, — ტელევიზია კი არა, პარტია ხართო! სიმართლეს გაუმარჯოს, ძმაო! „რუსთავი 2“ არასოდეს ყოფილა ტელევიზია და მუდამ კონკრეტული პარტიის პროპაგანდის განყოფილება იყო.** ამჯერად კი, როგორც ნასახალხოდამცველარს, ენამ უყივლა. ისე, ჩანს, საერთოდაც, ცალკე პოლიტიკურ პარტიად გამოყოფასაც აპირებენ! სწორედ ამიტომაც, თუ შენიშნეთ, მე ამ პარტია-ტელევიზიის თანამშრომლების ხსენებისას სიტყვა „ჟურნალისტს“ შეგნებულად არ ვიყენებ და მათ „მიკროფონიან გოგოებად“ მოვიხსენიებ ხოლმე...

**№4. თინა მახარაძე:**

**„ლანა ღოღობერიძის საღამოზე... ჯანსუღ ჩარკვიანი მთელი ხმით ლანძღავდა ჩემს შეყვარებულს, — კაცობა უკვე დაკარგე და ბარემ პომადაც წაისვიო... თავისთავად, ეს ამბავი, თავისი მოქმედი პირებით, ამაზრზენია და შესაბრალისი, მაგრამ ეს ის დროა, როდესაც კომპრომისების, დათმენისა და შემწყნარებლობის დრო არ არის!**

ეს ის დროა, როდესაც თქვენი მომავალი, თქვენი კეთილი ნება, თქვენი ცხოვრება უნდა მართონ ჯანსუღებმა, გურანდებმა, ბესელიებმა, ხალვაშებმა და...

და ეს არ უნდა გინდოდეთ!

და, თუ ეს არ გინდათ, გამოდით ხვალ „რუსთავი 2“-ის დასაცავად!

აქ, „რუსთავი 2“-ზე კი არა, თქვენს პირად არჩევანზე, პირად სივრცეზე, პირად ეპოქაზეა ლაპარაკი.

მომიტევეთ ჰეროიკული განწყობა, გაუმართავი ტექსტი, მომიტევეთ 25 წელი და ახალგაზრდული გამწარება (რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ დავბერდები...), მომიტევეთ თავისუფლება, როგორც წესი, როგორც არჩევანი, იმიტომ, რომ არ არსებობს სხვა წესი, გარდა კეთილი ნებისა და გარდა თავისუფლებისა ჩვენი და სხვისი“.

იქ, სადაც აზრი შეწყვეტილია და მრავალწერტილი წერია — ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ტექსტი უამრავ უხამსობას შეიცავს.

თუმცა მე, პირადად, **ამ გამწარებული ახალგაზრდა ქალის უხამსობაზე მეტად, მისმა ლოგიკამ გამაკვირვა: თქვენ „რუსთავი 2“-ის დასაცავად იმიტომ უნდა გამოხვიდეთ, რომ ლანა ღიღობერიძის საღამოზე ჯანსუღ ჩარკვიანი ჩემს შეყვარებულს ეჩხუბაო!**

წელან შეგპირდით, როდესაც ტურაშვილის ციტატას განვიხილავდი, ამაზე დიდ სისულელეს, ალბათ, ველარ მოისმენთ-მეთქი. **მაპატიეთ, თინა მახარაძე, როგორც წესი, სიდებილეში ყველას ყოველთვის აჭარბებს.**

არ ვიცი, თქვენ რა დასკვნა გამოიტანეთ „რუსთავი 2“-ის ამ „ჰეროიკულად განწყობილი“ დამცველების სულელური ბოდიალიდან, მაგრამ ფაქტია, — „გმირთა ვარამი“ სახეზეა!

უფრო ზუსტად, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ შემთხვევაში გმირთაგმირის როლში ნიკა გვარამია გამოდის და ამ „ჰეროების“ „ჰეროიკულობაც“ სწორედ მას ეძღვნება ძირითადად, მაშინ სახეზეა **„გმირთა გვარამი“!**

მკითხველს „დავამშვიდებ“, რომ ეს მხოლოდ იმ „გმირთა“ ნაფრქვევი „სიბრძნეებია“, რომლებიც არ არიან „რუსთავი 2“-ის წამყვანები, ტელესახეები... აი, **ამ ყოველივეს მაია ასათიანის, ზაალ უდუმაშვილის, გიორგი გაბუნიას, თენგო გოგოტიშვილის, ნანუკა ჟორჟოლიანისა და სხვათა „ნაგვარამევიც“ რომ დავამატო, ალბათ, მართლა შეიშლებით იმაზე ფიქრით, სად შეიკრიბა ამ ერთი ტელევიზიის გარშემო ამდენი შტერი და, თუ მათ „თავისუფალ სიტყვასთან“ მართლა გავაიგივებთ, დამერწმუნეთ, თავისუფალი სიტყვაც სამუდამოდ შეგზიზღდებათ!**

ამიტომ, მოდი, აქ შევჩერდეთ...

თუმცა ერთი კი მაინც სათქმელია: **მაია ასათიანის** ასეთი წამოცდენის შემდეგ — „მე ჩემს ტელევიზიას მხოლოდ იმიტომ კი არ ვიცავ, რომ ბანკის დიდი კრედიტი მაქვს გადასახდელი“ — სადღაც გულის სიღრმეში მაინც გაკენწლავს, ალბათ, ნებისმიერ ჩვენგანს „საფუძვლიანი ეჭვი“ იმის შესახებ, თუ რას მოაქვს სინამდვილეში ამ ადამიანების ასეთი „ჰეროიკული გამწარებები“...

**ორი გიორგი მარგველაშვილი, ასევე ორი ირაკლი ალასანია, ორი მაია ფანჯიკიძე, ორი არჩილ გამზარდია და სხვები მართლაც არსებობენ ამ სამყაროში. ისინი პარალელურ განზომილებებში ცხოვრებენ და ხან ერთი სახით გამოეცხადებიან ხოლმე ბიძინა ივანიშვილს და ხან — მეორეთი, რათა გადარიონ და ჭკუიდან შეშალონ...**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ალასანიას დანა პირს არ უხსნის, ფანჯიკიძე კედლებს ეხეთქება, ბუკა ინტერნეტში ილანძღება»

**ზუსტად ამ ფრაზით შეგვატყობინა პარტია „თავისუფალ დემოკრატებში“ შექმნილი ვითარება მათ ოფისში შეპარულმა ჩვენმა არც ისე სპეციალურმა კორესპონდენტმა, ჩქარმა ელიკომ. მისი ცნობით, თავისუფალ დემოკრატებში დიდი გლოვა გამოცხადდა. პარტია იძულებით პოლიტიკურ დიეტაზეა და შავ პურზე გადავიდა.**

ლიდერები დეპრესიაში არიან. ***იკას*** დანა პირს არ უხსნის, **ბუკა** ოთახშია ჩაკეტილი და „ფეისბუქიდან“ ილანძღება, **მაიკო** პლედშემოხვეული ზის ანთებულ „პლიტასთან“ და ჩაფიქრებული ხელებს ითბობს, ცალ ხელში უშაქრო ჩაის ჭიქა უჭირავს, თან ფიქრობს, ეს რა ვქენი, რა დღეში ჩავიგდე თავიო.

უფულობის გამო ირაკლი ალასანიამ ქორწინების ბეჭედი ნაცნობის ლომბარდში შედარებით ძვირად ჩააბარა და ოფისის თანამშრომლებისთვის რამდენიმე დღის სამყოფი პური, რამდენიმე ცალი ჩაის ფერი და „პავიდლო“ იყიდა.

ისიც დაუმატებია, თუ ვინმეს საშუალება გაქვთ, სახლიდანაც შეგიძლიათ მოიტანოთ და რამენაირად გადავაგოროთ ეს ორი წელიო. ზოგი დათანხმდა ცოტნე დადიანობას, ზოგმაც უსიტყვოდ დატოვა პარტია და გასვლის წინ ხეზე დააკაკუნა, — აქ მომსვლელის დედაცო.

მაიკო კედლებს ეხეთქება, ამ დღეებში ინტერნეტი და დენი ითიშება, იკა კი მის სიტყვებს იმეორებს: „მე რა ვქნა, მეე?!“ თუმცა...

ბუკაც პერიოდულად გამოდის ჩაკეტილი ოთახიდან ზებ-







რის ზოლებიანი ხალათით და კოლეგებს ეკითხება, ხო არ დაურეკიათო. პასუხი: არა, არაო... უპერსპექტივობის განცდით შეპყრობილი ბუკა ისევ ოთახში შედის და ვიდეოზე ბრუსლის კინოებს უყურებს, თან სიგარეტს სიგარეტზე უკიდებს, რა თქმა უნდა, უფილტროს.

მაიკოს უთქვამს, ბიძინას ნაჩუქარი საყურეები და საკაბე მაქვს შავი დღისთვის გადანახული და, თუ მაგრად დაგვერხევა, ჩავდებთ ან გავყიდითო, ალასა ცოტა დამშვიდებულა ამ სიტყვებზე, მაგრამ მაინც დარდიანი თვალები ჰქონია.

**დავით ზალკალიანს** (ზალკალას) უთქვამს — მე შაქარი მაქვს და ჩემთვის უჭმელობა არ შეიძლებაო და სულ ბოდიშებით წამოსულა პარტიიდან.

ჩქარი ელიკოს ინფორმაციით, ერთი ხანობა მაიკოს ისიც უფიქრია, ხვედოს (ეკა ხვედელიძეს) ხომ არ დავურეკო, მოვიკითხოო, მაგრამ ვერ ბედავს, ქმარი გავულანძღე და ტეხავსო.

**ვიქტორაც** (ვიქტორ დოლიძე) ცდილობს სიტუაციიდან გამოსავალის პოვნას, წულუსთვის (თეა წულუკიანი) დაუმესიჯებია, რას შვრებიო და თეას მოუწერია, რომელი ხარო. ამაზე სულ ჩაუქნევია ხელი ვიქტორას, წაუშლია ნომერი, რაღა აზრი აქვს მიწერასო და თავი გაუნებებია.

ერთადერთ იმედად თინა და დათო დარჩათ, თინას უთქვამს, „კამანდიროვკაში“ ვარ, რომ ჩამოვალ, გნახავთო.

არც **თამრო ბერუჩაშვილი** ყოფილა კაი დღეში, იმ დღეს დაურეკავს მაიკოსთვის და სულ ცხარე ცრემლით უტირია, შევცდი, დაო, მაპატიეო. მაიკოს უთქვამს, მაღალმა ღმერთმა გაპატიოსო, და ტელეფონი გაუთიშავს.

მოკლედ, დიდი ამბებია პარტიაში, ყველა ტელეფონის ზარს ელოდება, მაგრამ ვინ არის ზარის სავარაუდო ავტორი ჯერჯერობით უცნობია.

პარტიაში ხშირად გაიგონებთ მხოლოდ ამ კითხვას: „ხო არ დაურეკია?“. პასუხია: „არა, არა!“

**ელიკო სილაძე**

# ორი პრეზიდენტი და სხვა საქართველო

**გასული 30 წლის განმავლობაში ქართველმა ხალხმა უამრავი წინასაარჩევნო ლოზუნგი ნახა და მოისმინა: ზოგი მართლაც „კრეატიული“, ზოგი მეტად სულელური და ზოგიც, საერთოდ, გაუგებარი. არაერთს ემახსოვრება ასლან აბაშიძის საარჩევნო ბლოკის — „საქართველოს აღორძინების კავშირის“ ლოზუნგი ერთ-ერთ არჩევნებზე: „ორი თვალი ჯობია ერთს“, „ორი ყური ჯობია ერთს“ და ა. შ., მათ ქვეშ ჩამოთვლილი იყო ყველაფერი ის, რისი ერთის ქონას თუ ყოლას ორის ქონა და ყოლა სჯობია. მაშინ, რა თქმა უნდა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ დაგვიდგებოდა დრო, როდესაც იმაზე დავიწყებდით ფიქრს, ორი პრეზიდენტი ჯობია თუ ერთი?**

დაგვაფიქრა კი ისევ და ისევ ჩვენმა „ყოვლისმცოდნე“ მილიარდერმა, როდესაც ტელეინტერვიუში თქვა: **„მე პრეზიდენტის არჩევნებისას ვხედავდი ერთ მარგველაშვილს და არჩევნების მერე გამოჩნდა უკვე სულ სხვა, მეორე მარგველაშვილი!“**

ბიძინა ივანიშვილის ამ ფრაზის მოსმენისთანავე ექსპერტები დაინტერესდნენ, რა ტიპის ანომალიურ მოვლენასთან აქვთ საქმე; მსწრაფლ შეეცადნენ, გაერკვიათ, — თავად ბიძინა ივანიშვილს სჭირს გარკვეული „გაორებული ხედვები“ თუ რეალურად არსებობს ორი გიორგი მარგველაშვილი.

მეცნიერთა მტკიცებით, გამორიცხული არც ერთია და არც მეორე, ვინაიდან ბატონი ბიძინა არაერთგზის არის შემჩნეული მსგავს ჰალუცინაციაში, როდესაც ამბობს, რომ რომელიმე მის მიერ თანამდებობაზე წამოსკუპებული ჩინოსანი „ასეთი“ ეგონა და თურმე „ისეთი“ ყოფილა.

საზოგადოდ, წარმოუდგენელია, ვინმეს ამდენჯერ და ასე ეშლებოდეს ადამიანების რეალური სახის შეცნობა. ამიტომ, **საბოლოო ჯამში, ექსპერტები უფრო იმ დასკვნისაკენ იხრებიან, რომ ორი გიორგი მარგველაშვილი, ასევე ორი ირაკლი ალასანია, ორი მაია ფანჯიკიძე, ორი არჩილ გამზარდია და სხვები მართლაც არსებობენ ამ სამყაროში. ისინი პარალელურ განზომილებებში ცხოვრებენ და ხან ერთი სახით გამოეცხადებიან ხოლმე ბიძინა ივანიშვილს და ხან — მეორეთი, რათა გადარიონ და ჭკუიდან შეშალონ...**

სხვა საქმეა, მათი ასეთ გართობა რაიმე ბოროტ მიზანთან არის დაკავშირებული თუ კეთილ განზრახვასთან, თუმცა, როგორც ჩვენი არც ისე სპეციალური კორესპონდენტის მამიდაშვილი გვატყობინებს, ყოველივე ამან ექსპერტები სხვა კუთხითაც ჩააფიქრა.




**ბიძინა ივანიშვილი:** **მე პრეზიდენტის არჩევნებისას ვხედავდი ერთ მარგველაშვილს და არჩევნების მერე გამოჩნდა უკვე სულ სხვა, მეორე მარგველაშვილი!** (ტვ „იმედი“, 24 ოქტ. 2015 წ.)

კერძოდ, უკვე დაიწყო სერიოზული ფიქრი იმაზე, მართლაც ხომ არ გამოვიყენოთ სასიკეთოდ ეს ორივე პარალელური სამყარო.

მარტივად რომ ვთქვათ, ექსპერტთა ნაწილს მიაჩნია, რომ ჩვენი ფენომენალური მილიარდერი ამ კუთხითაც ფენომენალური ნიჭით არის დაჯილდოებული და ის მართლაც ხედავს ყველაფერს ორს.

როგორც ვარაუდობენ, შესაძლებელია, ზუსტად ასეთივე უნარი გამოვუმუშაოთ საქართველოს ყველა მოქალაქეს და მაშინ ცნობილი ლექსი „სხვა საქართველო სად არის“ საბოლოოდ დაკარგავს აზრს! ანუ რეალურადაც იარსებებს ორი სხვადასხვა საქართველო და, ვისაც სად უფრო მოეწონება, იმ საქართველოში აირჩევს ცხოვრებას.

ბოლოს და ბოლოს, ყველაფერ სხვას თავი რომ დავანებოთ, ამ ორი სხვადასხვა საქართველოდან ერთი საქართველო ნატოში შევა, მეორე საქართველო — „ევრაზიის კავშირში“ და საბოლოოდ დავისვენებთ ამ უაზრო გაწამაწიისგან, ყველგან რომ შევდივართ და საბოლოოდ მაინც არსად გვილებენო, — აცხადებენ ექსპერტები.

**ველოდი რახანია**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინი ევროპას მიადგა 7 109 000 ჯარისკაცით 15 100 ტანკით 15 815 თვითმფრინავით, 115 100 ზარბაზნით. ჰიტლერს კი ბრძოლის ველზე მხოლოდ 3 950 ტანკი, 1 960 საბრძოლო თვითმფრინავი, 28 500 ზარბაზანი და 3 100 000 ჯარისკაცი ჰყავდა.**



## სააკაშვილს «მოსაწყენი ნეხვი» უწოდეს

**უკრაინელმა ჟურნალისტმა სერგეი სიდორენკომ ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს „მოსაწყენი ნეხვი“ უწოდა.**

„მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც ბევრი გენიალურ პოლიტიკოსს უწოდებს, დახურულ სხდომაზე ძალიან მოსაწყენი ნეხვი აღმოჩნდა. მე არ ვხუმრობ, იმდენად მოსაწყენი, რომ სიტყვები არ მყოფნის“, — დაწერა ჟურნალისტმა სოციალურ ქსელში

სიდორენკოს თქმით, ამ სხდომაზე სააკაშვილი დიდი ხნის განმავლობაში მონოტონურად და მოსაწყენად კითხულობდა თავისი პროგრამის ტექსტს, რომელშიც 20-მდე პუნქტია. სიდორენკოს მიაჩნია, რომ სააკაშვილი მის მიერვე შემოთავაზებული რეფორმების არსს ბოლომდე ვერ ხვდება.



## საფრანგეთში ავარიის შედეგად 42 ადამიანი დაიღუპა

**საფრანგეთში ავარიის შედეგად 42 ადამიანი დაიღუპა.** ტრაგიკული შემთხვევა საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში, ქალაქ ლიბურნის სიახლოვეს მოხდა, სადაც ერთმანეთს ავტობუსი და სატვირთო მანქანა შეეჯახა. როგორც სააგენტო „ფრანს პრესი“ იტყობინება, დაღუპულთა უმეტესობა ავტობუსის მგზავრია. დაიღუპა, ასევე, სატვირთო მანქანის მძღოლი. ადგილზე მუშაობენ მეხანძრეები, რომლებიც ავტოკატასტროფის შედეგად გაჩენილი ხანძრის ლოკალიზებას ცდილობენ. ადგილობრივი მედიის ცნობით, ავარიის დროს 5 ადამიანი გადარჩა.

# სტალინი — დიდი მხედართმთავარი




საბჭოთა არმია ბულგარეთში

## 10 სტალინური დარტყმა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №32-38 (314-320)

### დარტყმა № 7-8

### (ბულგარეთი, რუმინეთი, ბალტიისპირეთი)

**ჰიტლერს სამუშაო კაბინეტში, საძინებელ და დასასვენებელ ოთახებში კედელზე ჩამოკიდებული ჰქონდა უზარმაზარი ფერადი ტილო, რომელიც ასახავდა დედამიწის სფეროს კატასტროფას წარღვნის (მეორედ მოსვლის) დროს. სურათს ქვეშ ჰქონდა ბიბლიური მინაწერი „ასერგასის დღე“.**

არ ვიცი, ქვეყნის შემოქმედი სად უნდა მდგარიყო იმ პერიოდში, როცა ერთმანეთში ირეოდა ცა და დედამიწა, მაგრამ ის უფრო მაინტერესებს, სად, რომელ ადგილზე უნდა ყოფილიყო ჰიტლერი ამ მეორედ მოსვლის შემთხვევაში.

1941 წლის 22 ივნისს მართლაც გაუთენა „ასერგასის დღე“ ჰიტლერმა დედამიწას, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

კონტინენტებზე და კონტინენტთა შორის სახმელეთო, საჰაერო თუ საზღვაო გზებით მიმოდიოდა სიკვდილით სავსე რონოდები, სატრანსპორტო თვითმფრინავები თუ საზღვაო არმადები. მილიონობით ადამიანი იდგა დაზგა-დანადგარებთან და სიკვდილს ჭედავდა, ასხამდა და ამზადებდა. არავინ ამბობდა: „რას შვრები, ადამიანო!“. პირიქით ყველა ქუჩაზე, ყველა სახლსა თუ ხეზე მიკრული იყო აზრა წარწერით: „ყველაფერი ფრონტისათვის“.

„ასერგასის დღის“ მიწურულს ევროპის შუაგულში ერთმანეთს დაუპირისპირდა კეთილი და ბოროტი.

სტალინი ევროპის მისადგომებთან არ მისულა არც ამბიციით, არც წუთიერი აღელვებითა და არც ხელცარიელი. თუ 1941 წელს თავდამსხმელი ჰაერშიც, ხმელეთზეც და ზღვაშიც ბატონობდა და სრულად გამოიყენა მოულოდნელობის ეფექტი, ახლა სტალინი წელგამართული, იმედიანი და ღრმად დარწმუნებული თავის სიმართლეში, ევროპის მომავალ ბედზე იყო ჩაფიქრებული. ჩაფიქრებული არა იმაზე, დაიპყრობდა თუ არა ევროპას, არამედ იმაზე, განვითარების რომელ გზას უნდა დადგომოდნენ ევროპელი ხალხები. სტალინმაც საბოლოოდ გადაწყვიტა ევროპის ბედი და 1944 წლის მეორე ნახევარში, როდესაც ევროპას მიადგა, მსოფლიოში ყველაზე ძლევამოსილი და ყველაზე დიდი არმიის მთავარსარდალი იყო, რომელიც მართავდა არა მხოლოდ საბჭოეთს, არამედ მსოფლიოს და მის სიცოცხლეზე იყო დამოკიდებული პლანეტის სიცოცხლეც.

**სტალინი ევროპას მიადგა 7 109 000 ჯარისკაცით 15 100 ტანკით 15 815 თვითმფრინავით, 115 100 ზარბაზნით. ჰიტლერს კი ბრძოლის ველზე მხოლოდ 3 950 ტანკი, 1 960 საბრძოლო თვითმფრინავი, 28 500 ზარბაზანი და 3 100 000 ჯარისკაცი ჰყავდა.**

ჰიტლერის „დახრჩობა“ ასეთი თანაფარდობების პირობებში ეჭვს არ იწვევდა.

1944 წლის სექტემბრის დირექტივა ბერლინის აღებისა და გერმანიის უმოკლესი გზით დამარცხების შესახებ მოკლე ხანში იყო შესაძლებელი, მაგრამ სტალინი რისი სტალინი იქნებოდა, რომ ემოციებს აჰყოლოდა და მოესურვებინა, რაც შეიძლება მალე „დაეხრჩო“ ჰიტლერი.

ბევრი უძილო ღამე გაატარა სტალინმა მსოფლიო და ევროპის პოლიტიკური რუკების წინ, მას მძიმედ აწვა მხრებზე მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე უზარმაზარი „წითელი ტერიტორია“, რომელიც უკიდურესი აღმოსავლეთიდან უკიდურეს დასავლეთამდე იყო გადაჭიმული.

— ამ ტერიტორიას რუსეთს ადრე თუ გვიან მაინც წაართმევენ, — თქვა ერთხელ, როდესაც მსოფლიოს პოლიტიკურ რუკასთან იყო გაჩერებული, — ამ ქვეყანას არა გაფართოება, არამედ დაცვა სჭირდება, მას მეგობრები სჭირდება და არა ტერიტორიები.

ალბათ, ამას ფიქრობდა მაშინაც, როდესაც ევროპის ქვეყნებს „კლიენტის“ თვალით უყურებდა. სტალინმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო:

ლვოვის აღების შემდეგ, ჰიტლერმა იგრძნო რა კარსმომდგარი უბედურება, მთელი ძალები მოლდავეთსა და რუმინეთში გადაისროლა. მოაწყო დაცვის სამი ზღუდე საფორტიფიკაციო ნაგებობებითა და საჯარისო ნაწილებით დააკომპლექტა.

სტალინმა 1944 წლის 31 ივლისს მოიწვია თათბირი, რომელზეც გამოძახებულნი იყვნენ: **მალინოვსკი, ტოლბუხინი** და ფრონტის ზედამხედველი სამხედრო საბჭოს წევრი **ტიმოშენკო**.

სტალინმა შეტევის თავისი გეგმა შესთავაზა მალინოვსკის და განუცხადა:

— ეს მხოლოდ ზარბაზნებით ბრძოლა არ არის. ეს პოლიტიკური ბრძოლაცაა. მთელი ძალებით მოლდავეთზე დარტყმა და ამავე ძალებით და უფრო მეტით რუმინეთისკენ გაჭრა აიძულებს რუმინეთის მეფის მთავრობას, შეწყვიტოს ურთიერთობა გერმანიასთან და სამშვიდობო კავშირი შეკრას საბჭოეთთან.

სხვა პოლიტიკური გათვლები სტალინს მალინოვსკისთვის არ უთქვამს, მაგრამ, რაც უთხრეს, მისთვის გასაგები უნდა ყოფილიყო.

დავალების სწრაფად შესასრულებლად სტალინმა ბრძანება გასცა, მტრის გასანადგურებლად ძალები გამოეყენებინათ ასეთი შეფარდებით: ჯარისკაცები — 6:1, ზარბაზნები — 5,5:1, ტანკები— 4:1, ყუმბარსატყორცნები — 6,7:1, თვითმფრინავები — 3:1.

როდესაც მალინოვსკიმ მოახსენა, რომ შეტევის ყოველ 22 კილომეტრზე განლაგებული იქნება 220 ზარბაზანი, სტალინმა არ მიიღო ეს წინადადება და თავისი გეგმის მიხედვით უბრძანა, შეემცირებინა მანძილი 16 კილომეტრამდე და შესაბამისად, გაეზარდა ზარბაზნების რაოდენობა.

**1944 წლის 20 აგვისტოს დაიწყო შეტევა. პირველივე დღეს განადგურებული იქნა მტრის 6 დივიზია და საბჭოთა ჯარისკაცები მივიდნენ დაცვის მესამე ზონამდე.**

მეორე დღეს, როდესაც ანტონოვისა და შტემენკოსგან ომის მიმდინარეობაზე ინფორმაციას იღებდა, სტალინმა გენერალური შტაბის ხელმძღვანელ სერგეი ▶



ასე შეხვდნენ საბჭოთა მეგობრებს ბუდაპეშტში



მსოფლიო



## რუსეთმა სომხეთთან გაერთიანებული რეგიონული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შესახებ შეთანხმება დაამტკიცა

**რუსეთის მინისტრთა კაბინეტმა სომხეთთან გაერთიანებული რეგიონული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შესახებ შეთანხმება დაამტკიცა. დოკუმენტი ხელმოსაწერად რუსეთის პრეზიდენტს გადაეგზავნება.**

რუსეთის საჰაერო-კოსმოსური ძალების მეთაურ პაველ კურაჩენკოს თქმით, ანალოგიური დოკუმენტის გაფორმება ტაჯიკეთთან და ყირგიზეთთანაც იგეგმება.

2013 წელს გაერთიანებული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნის შეთანხმება რუსეთმა ყაზახეთთანაც გააფორმა.

**კონტინენტებზე და კონტინენტთა შორის სახმელეთო, საჰაერო თუ საზღვაო გზებით მიმოდიოდა სიკვდილით სავსე რონოდები, სატრანსპორტო თვითმფრინავები თუ საზღვაო არმადები. მილიონობით ადამიანი იდგა დაზგა-დანადგარებთან და სიკვდილს ჭედავდა, ასხამდა და ამზადებდა. არავინ ამბობდა: „რას შვრები, ადამიანო!“, პირიქით ყველა ქუჩაზე, ყველა სახლსა თუ ხეზე მიკრული იყო აბრა წარწერით: „ყველაფერი ფრონტისათვის“. „ასერგასის დღის“ მიწურულს ევროპის შუაგულში ერთმანეთს დაუპირისპირდა კეთილი და ბოროტი.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ შტემენკოს დირექტივა უკარნახა:

„ძირითადი მიზანი უკრაინის მეორე და მესამე ფრონტებისა არის ის, რომ სასწრაფოდ შეკრან წრე ხუშის რაიონის გარშემო და გაანადგურონ მოწინააღმდეგე“. ამასთანავე, დირექტივაში მკაცრად იყო მითითებული გზის სასწრაფოდ გათავისუფლებაზე, რათა წითელი არმია შეუფერხებლად შესულიყო რუმინეთში. 1944 წლის 21 აგვისტოს საბჭოთა მებრძოლებმა შტურმით აიღეს ქალაქი იასი და შეიჭრნენ რუმინეთის ტერიტორიაზე. **გამართლდა სტალინის წინასწარმეტყველება — რუმინეთში საბჭოთა ჯარების ტრიუმფალურმა შესვლამ, რომლებიც უზარმაზარი ძალებით მიიწევდნენ წინ, რუმინეთში სახელმწიფო გადატრიალების პროვოცირება მოახდინა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა მეფე მიხაი I.**

1944 წლის 22 აგვისტოს რუმინეთის მეფის სასახლეში ჩატარდა საიდუმლო თათბირი. მეორე დღეს კი, 23 აგვისტოს, მეფე და მისი მთავრობა დააპატიმრეს და რადიოთი გამოცხადდა, რომ რუმინეთი წყვეტს კავშირს ფაშისტურ გერმანიათან და სამოკავშირეო ხელშეკრულებას აფორმებს საბჭოთა კავშირთან. წლების განმავლობაში საბჭოეთის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი რუმინეთი მისი ერთგული მოკავშირე გახდა. აღსრულდა სტალინის ჩანაფიქრი.

რუმინეთის „ღალატმა“ და საბჭოეთთან მისმა კავშირმა გააცოფა ჰიტლერი, რომელმაც ბრძანა, ავიაციის მეშვეობით მიწასთან გაესწორებინათ რუმინეთის დედაქალაქი ბუქარესტი. 1944 წლის 31 აგვისტოს საბჭოთა ჯარები რუმინეთის სახალხო არმიასთან ერთად შევიდნენ ქალაქ ბუქარესტში, სადაც ხალხი მათ აღტაცებით შეხვდა. რუმინეთში არაფერი შეცვლილა, აირჩიეს მხოლოდ ახალი მეფე და ქვეყანა განაგრძობდა ცხოვრებას ფაშისტების გარეშე.

სტალინთან გამართულ ერთ-ერთ თათბირზე ანტონოვმა და შტემენკომ სტალინს მოახსენეს, რომ რუმინეთში მეფის მთავრობა და მეფის სახლი ყოველთვის იქნება იმპერიალიზმის დასაყრდენი ძალა და იგი ყოველთვის შეუქმნის პრობლემებს საბჭოთა კავშირს.

სტალინი, როგორც ყოველთვის, დინჯად და აუჩქარებლად მიმოდიოდა ოთახში და ჩიბუხს აბოლებდა. ცოტა ხნის მშემდეგ მან სიარულშივე წარმოთქვა:

— სხვისი მეფე ჩვენი საქმე არ არის, მოთმინება ჩვენთვის სასარგებლოა ჩვენი მოკავშირეების წინაშე. მეფის ანტიფაშისტური განწყობა ჩვენს ინტერესებში შედის, რომელსაც ჯერჯერობით რუმინელი ხალხიც ენდობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ რუმინელი კომუნისტები ხელჩამოშვებული არ დასხდებიან და თავიანთი ხალხის ინტერესებს დაიცავენ. აქედან გამომდინარე, მათ, ჩვენ უნდა მივცეთ პოლიტიკური განათლება.


როდიონ მალინოვსკი


ფიოდორ ტოლბუხინი

**სტალინმა თავისი სიტყვები საქმით დაამტკიცა. მან რუმინეთის მეფე ერთგულ მოკავშირედ გაიხადა (რისი ოსტატობაც სტალინს უზომოდ ჰქონდა. — გრ. ონიანი) და მან ეს ორიგინალურად გააკეთა.**

როცა შეიტყო, რომ ახალგაზრდა მეფე მოყვარული მფრინავი იყო, მას თვითმფრინავი „პო 2“ აჩუქა, რომლითაც მეფე ნადირობდა და ერთობოდა.

**მეფე მიხაი I** სტალინის ნდობა დაიმსახურა და მან რამდენიმე სასიკეთო ნაბიჯი გადადგა, როგორც თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ, ასევე საბჭოეთთან მეგობრობის განსამტკიცებლად, რის გამოც ის, სტალინის ინიციატივით, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა „გამარჯვების ორდენით“ დააჯილდოვა.

რუმინეთის შემდეგ ჯერი ბულგარეთზე მიდგა. 1944 წლის 5 სექტემბერს საბჭოთა მთავრობამ ბულგარეთის მთავრობას შემდეგი ნოტა გაუგზავნა:

„საბჭოთა კავშირი შედის საომარ მდგომარეობაში ბულგარეთის წინააღმდეგ, რადგან ბულგარეთი იბრძოდა და იბრძვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

**ნოტის მიღებისთანავე ბულგარეთმა შეწყვიტა საომარი მოქმედება წითელი არმიის წინააღმდეგ და სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ წითელი არმიის ნაწილები შევიდნენ ბულგარეთის ტერიტორიაზე. 1944 წლის 7 სექტემბერს ბულგარეთის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა გერმანიასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტის თაობაზე და მეორე დღესვე თანამშრომლობა დაიწყო საბჭოთა კავშირთან. 8 სექტემბერს საბჭოთა ჯარებმა უკვე დაიკავეს ბულგარეთის ტერიტორია.**

**ეს, ალბათ, პირველი შემთხვევაა მსოფლიო ომების ისტორიაში, რომ გამოცხადებული ომი საბრძოლო მოქმედებების გარეშე დამთავრდა.**

საბჭოთა ჯარების მოქმედება აღებულ ქალაქებში სტალინის ბრძანების საფუძველზე ადგილზე გაიყინა. ბრძანებაში ნათქვამი იყო: „შეწყდეს წითელი არმიის მოქმედებები და გადაადგილებები ბულგარეთის ტერიტორიაზე. საბრძოლო იარაღი და მასალები, რომლებიც ეკუთვნოდა ბულგარეთის არმიას, დატოვებული იქნას ადგილზე, რის განაწილებასაც თვითონ მოახდენენ ბულგარელები. თვითონ მიხედონ თავიანთ საქმეს და დაელოდონ თავიანთი მთავრობის ბრძანებას“.

**მიმდინარე ბრძოლებში გამოჩენილი მხედრული მამაცობისათვის ფრონტის სარდლებს — მალინოვსკისა და ტოლბუხინს სტალინმა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება მიანიჭა.**

სტალინი განვლილი ბრძოლებით კმაყოფილი იყო, მაგრამ ძალიან დაღლილიც. გადაწყვიტა, უფრო მყუდრო გარემოში გაეგრძელებინა მუშაობა და როგორც საცხოვრებლად, ისე სამუშაოდ კუნცევოს აგარაკზე გადაბარგდა, სადაც ასევე გადაინაცვლა მთელი მსოფლიოს მართვის ცენტრმა, რადგან სტალინის გარეშე მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე წერტილიც კი არ ჩნდებოდა.

1944 წლის 14 სექტემბერს სტალინმა ბრძანება გასცა, ბალტიისპირეთის მე-3 და ლენინგრადის ფრონტის სარდლებს შეტევა დაეწყოთ ბალტიისპირეთზე. პირველი გასროლისთანავე ტალინში დაბინავებულმა გერმანიის „ჩრდილოეთის“ ჯგუფის სარდალმა **შიორნერმა** ტელეგრამით აცნობა ჰიტლერს, რომ მას არ შეუძლია, დაიცვას ბალტიისპირეთი შემოტევისგან და დარჩენილი აქვს მხოლოდ ერთი გზა — გაქცევა. ჰიტლერმა სასწრაფოდ გადაწყვიტა, გაეყვანა სამხედრო ძალები ფინეთის ყურიდან მათთვის დარჩენილი ერთადერთი გზით, მაგრამ ამის საშუალება საბჭოთა მეომრებმა არ მისცეს მათ.

ესტონეთის დედაქალაქი ტალინი 22 სექტემბერს, დღის 2 საათზე, უკვე გათავისუფლებული იყო.

სტალინი დიდი ყურადღებით აკვირდებოდა ბალტიისპირეთის გათავისუფლებას და ყოველდღიურ რჩევა-დარიგებას აძლევდა ფრონტის სარდალ ვასილევსკის ყოველი ოპერაციის დაწყების წინ.

ლიტვის გასათავისუფლებლად შეტევა 5 ოქტომბერს, დილით, დაიწყო. მთავარი ბრძოლები ქალაქ მემელთან გაიმართა. მემელის დაცემის შემდეგ, 10 ოქტომბერს სტალინმა ლიტვის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან **სნეჩკუსს** დაურეკა და ჰკითხა:

— როგორ არის ლიტვურ ენაზე მემელის სახელწოდება?

— ეს ქალაქი კლაიპედა იყო, — უპასუხა ცეკას მდივანმა.

— მაშ ასე, მოემზადეთ, აღმართოთ კლაიპედზე ლიტვის დროშა. გილოცავთ კლაიპედის ლიტვისთვის შემოერთებას!

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქალაქი კლაიპედა და კლაიპედის ოლქი შემოერთებული იყო ლიტვის რესპუბლიკასთან (რასაც ასე უმადლიან დღეს ლიტველები სტალინს — გრ. ონიანი).

1944 წლის 13 ოქტომბერს ბალტიისპირეთის მეორე და მესამე არმიებმა აიღეს ლატვიის დედაქალაქი რიგა.

**P.S. მარშალ გოლოვანოვის ამბის გაგრძელება იხილეთ შემდეგ წერილში.**

**(გაგრძელება იქნება)**



მშრომელთა დემონსტრაცია საბჭოთა არმიის მიერ გათავისუფლებულ რიგაში



## ბარაკ ობამამ თავდაცვის ბიუჯეტს ვეტო დაადო

**აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თავდაცვის ბიუჯეტის კანონპროექტს ვეტო დაადო. რესპუბლიკელების მიერ შემუშავებული დოკუმენტი 2016 წელს თავდაცვის ხარჯების 612 მილიარდ აშშ დოლარამდე გაზრდას ითვალისწინებდა.** აღნიშნული თანხიდან 300 მილიონი დოლარის ოდენობის დახმარება უკრაინისთვის იყო გათვალისწინებული. ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს თანხების გადაჭარბებულ ხარჯვას უსარგებლო პროგრამებზე, ასევე, აფერხებს გუანტანამოს ციხის დახურვის პროცესს. ობამას მოსაზრებით, თავდაცვითი ბიუჯეტის კანონპროექტი შეაფერხებს არმიის მოდერნიზებისთვის აუცილებელ რეფორმებსაც. ობამას ვეტოს გამო ამერიკულ კონგრესს დოკუმენტის გადახედვა მოუწევს.



## სროლა ნეშვილის უნივერსიტეტში

**აშშ-ში, ტენესის შტატში, ატეხილი სროლის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა და 2 დაიჭრა. როგორც ადგილობრივი მედია იტყობინება, ერთ-ერთი დაშავებულის მდგომარეობა კრიტიკულია.** თვითმხილველების ცნობით, სროლა ქალაქ ნეშვილის უნივერსიტეტში მოხდა. ჯერჯერობით უცნობია, დააკავეს თუ არა თავდამსხმელი.




მოკლედ

## მალდივის კუნძულების ვიცე-პრეზიდენტი მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს

**მალდივის კუნძულების ვიცე-პრეზიდენტი აჰმედ ადიბი დააკავეს. ის ქვეყნის პრეზიდენტის მკვლელობის მიზნით, შეთქმულების ორგანიზებაშია ეჭვმიტანილი.** ადიბს სახელმწიფო ღალატის ბრალდება წაუყენეს. სამართალდამცველებმა მაღალჩინოსანი აეროპორტში დააპატიმრეს, როცა ის უცხოეთში ვიზიტის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. სექტემბრის ბოლოს მალდივის კუნძულების პრეზიდენტ აბდულა იამინის კატარღა ააფეთქეს. შედეგად პრეზიდენტის მეუღლე და დაცვის წევრი დაშავდნენ. აფეთქების შემდეგ დააკავეს რამდენიმე სამხედრო პირი. ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა კი მომხდარის გამო თანამდებობა დაკარგა. გამომძიებლები ამბობენ, რომ ბოროტმოქმედებმა კატარღა პრეზიდენტის მკვლელობის მიზნით ააფეთქეს.



ერთხელ ამერიკაში
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

კაცობრიობის ისტორიაში პირველ სერიულ მკვლელად ითვლება ჟანა დ'არკის ყოფილი თანამებრძოლი — ფრანგი დიდგვაროვანი ჟილ დე მონმორანსი-ლავალი, ბარონი დე რე, რომელსაც 140 ადამიანის, მათ შორის ბავშვების მკვლელობაში დასდეს ბრალი და 1440 წლის 25 ოქტომბერს სიკვდილით დასაჯეს.



# სერიული მკვლელების ქვეყანა

## მსოფლიოში სერიული მკვლელების 75 პროცენტი ამერიკელია

**ტერმინი „სერიული მკვლელი“ (Serial Ciller) გაჩნდა 1976 წელს იმისათვის, რომ სწორად და დეტარულად აღეწერათ ამერიკელი მანიაკის, ნეკროფილისა და ადამიანის გამტაცებლის ტედ ბანდის პიროვნება და მოქმედებები. სერიული მკვლელები ბევრ ადამიანს კლავენ. ზოგჯერ მკვლელობებს შორის საკმაოდ დიდი ინტერვალია და ამ ხნის განმავლობაში მკვლელი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს. ასეთი მკვლელების მსხვერპლს ხშირად აქვთ რაღაც საერთო — სქესი, წლოვანება, პროფესია, რასა და ა.შ. ამ მანიაკების მიერ ჩადენილი დანაშაული ისეთი საშინელია, რომ საზოგადოებრიობა საუკუნეების განმავლობაშიც კი ვერ ივიწყებს.**

კაცობრიობის ისტორიაში პირველ სერიულ მკვლელად ითვლება ჟანა დ'არკის ყოფილი თანამებრძოლი — ფრანგი დიდგვაროვანი **ჟილ დე მონმორანსი-ლავალი, ბარონი დე რე,** რომელსაც 140 ადამიანის, მათ შორის ბავშვების მკვლელობაში დასდეს ბრალი და 1440 წლის 25 ოქტომბერს სიკვდილით დასაჯეს. კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმსმელ დამნაშავედ თვლიან უნგრელ **გრაფინია ელისაბედ ბატორის**, რომლის სინდისზეა 600 მკვლელობა, მისი მსხვერპლის უმრავლესობა კი ახალგაზრდა ქალები იყვნენ: მემატიანეების გადმოცემით გრაფინია ბატორი სილამაზის შესანარჩუნებლად ყოველ კვირა სისხლში ბანაობდა. ის 1611 წელს გამოკეტეს ციხე-კოშკში, სადაც დაასრულა კიდეც სიცოცხლე. მისი თანამზრახველები კი სიკვდილით დასაჯეს.

1888 წლის მეორე ნახევარში ინგლისის დედაქალაქ ლონდონში მოხდა სასტიკი მკვლელობები (ძირითადად, მეძავების) ეს მკვლელობები დაიკისრა ადამიანმა, რომელიც თავს **ჯეკ მფატრავს** უწოდებდა. ყოველ შემთხვევაში, ამ სახელით აწერდა ხელს წერილებს, რომლებსაც ყოველი მკვლელობის შემდეგ (4-9 მკვლელობა) უგზავნიდა ახალი ამბების სააგენტოს. აღსანიშნავია, რომ მკვლელი ვერ დააპატიმრეს. შემზარავი დანაშაულები ჩაიდინა **ანდრეი ჩიკატილომ** — საბჭოთა უკრაინაში (სოფელი იაბლოჩნოე, სუმის ოლქი) დაბადებულმა სერიულმა მკვლელმა, პედოფილმა, ნეკროფილმა და კანიბალმა, რომელმაც 1978-დან 1990 წლამდე 53 ადამიანი მოკლა, მათ შორის — 35 ბავშვი.

**ყველაზე მეტი სერიული მკვლელი კი ამერიკელია. ამერიკის შეერთებულ შტატებზე, სადაც მსოფლიოს მოსახლეობის 5% ცხოვრობს და რომელსაც პრეტენზია აქვს იყოს „დემოკრატიის შუქურა“, სერიული მკვლელების 75% მოდის.**



### ალბერტ ფიში

ალბერტ ფიში დამსახურებულად ითვლება აშშ-ის ყველაზე ამაზრზენ მანიაკად. ის დაიბადა 1870 წელს ვაშინგტონში. 1924 წელს, როდესაც ბევრი ბავშვი დაიკარგა, პოლიციას ეჭვიც კი არ აუღია, რომ ამ ბოროტების ჩამდენი ხანში შესული, გარეგნულად მშვიდი ფიში იქნებოდა. ყველაზე საშინელი იყო გრეის მადის მკვლელობა. ფიშმა მოიპოვა გოგონას მშობლების ნდობა და გოგონა შინ მიიწვია — ვითომ დაბადების დღეზე. მან გოგონა ჯერ გააუპატიურა, შემდეგ დაახრჩო, სხეული დაჩეხა პატარა ნაჭრებად, სტაფილოსა და ხახვში შეწვა და შეჭამა. ფიშს იმხანად ვერაფერი დაუმტკიცეს და საქმე დაიხურა.

1934 წელს ფიში დააპატიმრეს, მან 400 მკვლელობაზე ილაპარაკა, მაგრამ მხოლოდ 15 დაუმტკიცეს. 1936 წელს ფიში სინგ-სინგის ციხეში ელექტროსკამზე დასვეს.




### ჯონ უეინ გეისი

ის დაიბადა 1942 წელს ღარიბ ოჯახში. მამა ყოველდღე სვამდა და სცემდა ცოლსა და შვილს. გეისიმ სკოლა მიატოვა და ლას-ვეგასში ერთ-ერთ მორგში დაიწყო მუშაობა. სამი თვის შემდეგ მორგის მფლობელმა პოლიციელებს განუცხადა, რომ ჯონ გეისი ნეკროფილი იყო. მაგრამ სამართალდამცველებმა ამ ამბავს ყურადღება არ მიაქციეს. 1964 წელს ის გადავიდა ქალაქ ვატერლოოში და სწრაფი კვების რესტორნის მმართველად დაიწყო მუშაობა. პირველი მკვლელობა ჯონ გეისიმ 1972 წელს ჩაიდინა — მოკლა თავისი საყვარელი. გეისი ასეთი სქემით „მუშაობდა“: ეძებდა შესაფერის მსხვერპლს — ახალგაზრდა მამაკაცს, გაიცნობდა, მიჰყავდა შინ, სცემდა, აუპატიურებდა და აწამებდა. გეისი 1978 წელს დააპატიმრეს. მას სახლში პოლიციელებმა ათობით გახრწნილი გვამი იპოვეს. 1980 წელს ჯონ უიენ გეისი დამნაშავედ ცნეს 33 ადამიანის მკვლელობაში და სიკვდილის 12 განაჩენი გამოუტანეს.



### ჰენრი ლი ლუკასი

დაიბადა 1936 წელს ქალაქ ბლეკსბერგში (ვირჯინიის შტატი). ბავშვობაში ჰენრი კლავდა და აწამებდა ცხოველებს, მიდრეკილი იყო ზოოფილისკენ. მან 1951-82 წლებში „პარტნიორსა“ და საყვარელ ოტის ტულთან ერთად, როგორც თვითონ აღიარა, 500-ზე მეტი ადამიანი მოკლა, თუმცა მხოლოდ 11 ადამიანის მკვლელობა დაუმტკიცეს. ლუკასი და ტული რყვნიდნენ მოზარდებს, ჭამდნენ მათ ხორცს და გაერთიანებული იყვნენ სატანისტურ სექტაში.

ლუკასს 1998 წელს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს ტეხასის შტატში, მაგრამ ჯორჯ ბუშმა (უმცროსი), რომელიც იმხანად ამ შტატის გუბერნატორი იყო, განაჩენი გააუქმა, რადგან ჩათვალა, რომ ლუკასს ტეხასის შტატში დანაშაულის ჩადენა არ დაუმტკიცდა. 1999 წელს ლუკასს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ ციხეში პატიმრებმა მოკლეს. ტული კი ცოტა ხნით ადრე გარდაიცვალა.



### ეილინ უორნოსი

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ქალი-მანიაკიც ამერიკელია. ეილინ უორნოსი 1956 წელს დაიბადა მიჩიგანის შტატის ქალაქ როჩესტერში. მალე ის დედამ მიატოვა და ბებია-ბაბუა ზრდიდა. 13 წლისამ გააჩინა ბავშვი და ამის გამო სახლიდან გააგდეს. 1970 წელს გახდა მაწანწალა, ლოთობდა, მეძაობდა. 1986 წელს გაიცნო ქალი, რომელიც მისი საყვარელი გახდა — ტირია მური. 1990 წელს ეილინის ანგარიშზე უკვე 7 მკვლელობა იყო. ის კლავდა თავის კლიენტებს, ძირითადად — მამაკაცებს. 1991 წელს ტირია მურმა პოლიციელებს ყველაფერი უამბო და ეილინ უორნოსი დააპატიმრეს. 1993 წელს სიკვდილი მიუსაჯეს, 9 წლის შემდეგ კი 2002 წელს შხამის ინექციით სიკვდილით დასაჯეს. ეილინ უორნოსზე რამდენიმე ფილმია გადაღებული, მათ შორის, ყველაზე ცნობილია „ურჩხული“ („მონსტრი“), რომელშიც მთავარ როლს შარლიზ ტერონი ასრულებს.



### ჰენრი ჰოლმსი

ამერიკის შეერთებული შტატებში პირველი ოფიციალურად რეგისტრირებული სერიული მკვლელია ჰენრი ჰოლმსი. მისი ნამდვილი სახელი და გვარი — ჰერმან მადჯეტი. დაიბადა 1861 წელს ნიუ-ჰემფშირში. 1884 წელს დაამთავრა მიჩიგანის უნივერსიტეტი სამედიცინო განხრით. ამ მომენტისთვის მადჯეტი უკვე დაზღვევის სფეროში მომუშავე პროფესიონალი აფერისტი იყო. 1886 წელს მან გვარი გამოიცვალა და ჩავიდა ჩიკაგოში, შეიძინა სახლი, რომელშიც მოაწყო მკვლელობის ოთახი, სადაც ადამიანების მოსაკლავად მხუთავ აირს უშვებდა. ამ ოთახის ქვემოთ მოწყობილი იყო ლაბორატორია კრემატორიუმითა და მჟავის საცავით. 1891 წელს ჰოლმსმა მოკლა თავისი საყვარელი და ხელით დაახრჩო მისი პატარა გოგონა, ქალის ჩონჩხი კი 200 დოლარად მიყიდა სამედიცინო კოლეჯს. ჰოლმსი ერთ-ერთმა სადაზღვევო კომპანიამ გამოიჭირა. მან სასამართლოზე თავი დამნაშავედ ცნო 27 მკვლელობაში. ჰოლმსი 1896 წელს ჩამოახრჩეს ფილადელფიაში.

დევიდ ბერკოვიცის დაპატიმრება



### დევიდ ბერკოვიცი




ფოსტის თანამშრომელი დევიდ ბერკოვიცი, მეტსახელად „სემის ვაჟი“ თავისი მანერით აშშ-ის გამორჩეული სერიული მკვლელია. დაიბადა 1953 წელს ნიუ იორკში, 1974 წელს საცხოვრებლად გადავიდა ქალაქ იანკერსში და მუშაობა დაიწყო ფოსტაში. 1976-1977 წლებში ბერკოვიცმა მოკლა 6 ადამიანი, 7 — მძიმედ დაჭრა. ბერკოვიცს 300 წლით აღუკვეთეს თავისუფლება. ის დღესაც ცოცხალია. 1999 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ჩემი ისტორია“, რომელშიც თავის სულიერ განვითარებაზე წერს.

**ყუნდუზში ჰოსპიტლის დაბომბვის ბრძანება პირადად ობამას არ გაუცია, მაგრამ ის, როგორც აშშ-ის პრეზიდენტი, პირადად აგებს პასუხს, რასაც აშშ-ის შეიარაღებული ძალები, სხვა სახელმწიფო სტრუქტურები და ქვეშევრდომები ჩაიდენენ ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ.**

ერთხელ ამერიკაში
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## თეოდორ ბანდი

თეოდორ რობერტ ბანდი დაიბადა 1946 წლის 24 ნოემბერს ვერმონტის შტატის ქალაქ ბირლინგსტონში, სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა სიეტლის უნივერსიტეტში, მაგრამ მალე გადაბარგდა ვაშინგტონში იურისტის პროფესიის დასაუფლებლად. 1969 წელს კი სწავლა მიატოვა და ფილადელფიაში გადავიდა საცხოვრებლად.

ბანდიმ პირველი მკვლელობა 1972 წელს ჩაიდინა — მოკლა სტუდენტი გოგონა, შემდეგ კი 6 თვის განმავლობაში კიდევ 7 გოგონა გამოასალმა სიცოცხლეს. 1975 წლამდე მან კიდევ 4 გოგონა იმსხვერპლა.

1980 წელს ბანდიმ სადისტურად მოკლა 10 წლის კიმბერლი ლიჩი, შემდეგ კი მისი გვამი ღორებს მიუგდო. 1994 წელს თეოდორ ბონდი სიკვდილით დასაჯეს.



## მაიკლ სვანგო

ექიმმა სვანგომ თავისი „კარიერის“ განმავლობაში სრულიად ამერიკა შემოიარა და საზღვარგარეთაც მოასწრო „მოღვაწეობა“. 10 წლის განმავლობაში მან სიცოცხლეს გამოასალმა თავისი 60 პაციენტი აშშ-ის 5 შტატსა და ზიმბაბვეში. ის შაქარში დარიშხანს ურევდა და პაციენტებს აძლევდა. 1993 წელს, როდესაც პოლიცია მის კვალზე გავიდა, სვანგო ზიმბაბვეში გაიქცა, იქიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, შემდეგ კი — საუდის არაბეთში. სვანგო დააპატიმრეს, მაგრამ მის წინააღმდეგ საკმარისი მტკიცებულებები ვერ მოიძიეს, ამიტომ თაღლითობის ბრალდებით გაასამართლეს. ის ახლაც იხდის სასჯელს აშშ-ის ერთ-ერთ ციხეში.



## ელისაბედ ბატორი

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმსმელ დამნაშავედ თვლიან უნგრელ გრაფინია ელისაბედ ბატორის, რომლის სინდისზეა 600 მკვლელობა, მისი მსხვერპლის უმრავლესობა კი ახალგაზრდა ქალები იყვნენ, მემატიანეების გადმოცემით, გრაფინია ბატორი სილამაზის შესანარჩუნებლად ყოველ კვირა სისხლში ბანაობდა. ის 1611 წელს გამოკეტეს ციხე-კოშკში, სადაც დაასრულა კიდეც სიცოცხლე. მისი თანამზრახველები კი სიკვდილით დასაჯეს.

**P.S.ზემოჩამოთვლილი სერიული მკვლელების გარდა, აშშ-ის ისტორიაში თავიანთი სახელები უკვდავყვეს ჯეფრი დამერმა (ნეკროფილი, 17 მსხვერპლი), რიჩარდ რამისეზმა (13 მსხვერპლი), ჰარი რიჯუეიმ (41 მსხვერპლი), დენი როლინგმა (ფსიქოპათი), ლარი ეილერმა (21 მსხვერპლი), ედმუნდ კემპერმა და სხვ.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# მშვიდობის დარგში ნობელიის პრემიის 2009 წლის ლაურეატმა ამ პრემიის 1999 წლის ლაურეატი დაბომბა

**ბარაკ ობამამ პრეზიდენტობის წლებში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა — „მშვიდობის მტრედი“ გადაიქცა „ქორად“, რომელიც ნებისმიერი საშუალებით ცდილობს აშშ-ის ინტერესების დაცვას მსოფლიოში. ამა წლის ოქტომბრის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციამ ავღანეთის ქალაქ ყუნდუზში დაბომბა ჰოსპიტალი არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციისა „ექიმები საზღვრებს გარეშე“. დაიღუპა 22 ადამიანი, მათ შორის, 3 — ორგანიზაციის თანამშრომელი — ექიმი, 30 უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.**

პარადოქსული ფაქტია: მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის 2009 წლის ლაურეატმა 1999 წლის ლაურეატი დაბომბა.

2009 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემია ბარაკ ობამამ მიიღო, 1999 წელს კი ეს პრემია მიანიჭეს ორგანიზაციას „ექიმები საზღვრებს გარეშე“.

ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღის შემდეგ ობამამ მოუბოდიშა საერთაშორისო სამედიცინო ორგანიზაციის ხელმძღვანელ ჯოანა ლიუს და განაცხადა, რომ აშშ-ის ავიაციამ ჰოსპიტალი შეცდომით(?!) დაბომბა.

**რა თქმა უნდა, ყუნდუზში ჰოსპიტლის დაბომბვის ბრძანება პირადად ობამას არ გაუცია, მაგრამ ის, როგორც აშშ-ის პრეზიდენტი, პირადად აგებს პასუხს, რასაც აშშ-ის შეიარაღებული ძალები, სხვა სახელმწიფო სტრუქტურები და ქვეშევრდომები ჩაიდენენ ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ.**

**მშვიდობის პრემიის ლაურეატ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში კი, 2009 წლიდან დღემდე, აშშ-ს ბევრი საშინელება აქვს ჩადენილი:**

*** პრეზიდენტის სავარძლის დაკავებამდე ობამა ამომრჩეველს დაჰპირდა და მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ ბოლოს მოუღებდა საოკუპაციო ომებს ერაყსა და ავღანეთში, „გადატვირთავდა“ აშშ-ის ურთიერთობას რუსეთთან, გააუმჯობესებდა აშშ-ის საშუალო ფენის ცხოვრების პირობებს.** დღეს კი ნეოკონსერვატორმა ქორებმა როგორც მის ადმინისტრაციაში, ისე მის გარეთ, ობამა ახალ ომში ჩაითრიეს ახლო აღმოსავლეთში, აიძულეს, დაეწყო ახალი ცივი ომი რუსეთთან და დაპირისპირებოდა ჩინეთს;

*** 2009 წელს ობამამ ორჯერ გაზარდა აშშ-ის სამხედრო კონტინგენტი ავღანეთში. ახლა აზიის ამ ქვეყანაში დაახლოებით 70 ათასი ამერიკელი ჯარისკაცია;**

* 2011 წლის ამერიკელი სამხედროები ნატოელ მოკავშირეებთან ერთად მონაწილეობდნენ ლიბიის დაბომბვასა და კანონიერი ხელისუფლების დამხობაში (პრეზიდენტი მუამარ კადაფი გააუპატიურეს და მოკლეს), შედეგად ერთ დროს ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა დღეს გაპარტახებულია და მისი მოსახლეობა ევროპაში გარბის;

*** ე.წ. არაბული გაზაფხული, რომელიც დაიწყო 2011 წლის 14 იანვარს. აშშ-ის ხელშეწყობით რევოლუციების ტალღამ გადაუარა ირანს, ტუნისს, ეგვიპტესა და იემენს, სამოქალაქო ომი დაიწყო ლიბიაში, ალჟირსა და სუდანში, ბაჰრეინსა და ომანში, მაროკოში.**

**აშშ-ის არმიამ გაეროს ნებართვის გარეშე დაიწყო შეტევა ტუნისისა და ლიბიის ტერიტორიაზე, ოპერაცია „ოდისეა. განთიადი“;**

* 2013 წლის ნოემბერში აშშ-ის დაუფარავი ხელშეწყობით უკრაინაში მოეწყო ე.წ. ევრომაიდანი, შედეგად დაიღუპა ასობით ადამიანი, დაემხო კანონიერად არჩეული პრეზიდენტის — ვიქტორ იანუკოვიჩის ხელისუფლება, ქვეყანაში იმძლავრა ნაციონალიზმმა და აშშ-ის წაქეზებით უკრაინელებმა ძმათამკვლელი ომი გააჩაღეს რუსებთან, თუმცა რაც მოიმკეს, ყველასთვის ნათელია: დაკარგეს ყირიმის ნახევარკუნძული და დონბასისა და ლუგანსკის ოლქები; დაიღუპა ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე, ასიათასობით ადამიანი კი ლტოლვილად იქცა. აი, სწორედ ამ პროცესების შემოქმედია მშვიდობის პრემიის ლაურეატი, პრეზიდენტი ბარაკ ობამა.




## ნეოკონსერვატორმა ქორებმა როგორც მის ადმინისტრაციაში, ისე მის გარეთ, ობამა ახალ ომში ჩაითრიეს ახლო აღმოსავლეთში, აიძულეს, დაეწყო ახალი ცივი ომი რუსეთთან და დაპირისპირებოდა ჩინეთს



ყუნდუზის ჰოსპიტალი დაბომბვის შემდეგ

**ცნობისათვის:**

* ძალადობასთან მებრძოლ დიდი ინდოელს — **მაჰათმა განდის** მშვიდობის დარგში ნობელის პრემია არ აღირსეს, მიუხედავად იმისა, რომ 12-ჯერ იყო წარდგენილი.

* ფაშიზმის მამები — **ბენიტო მუსოლინი** და **ადოლფ ჰიტლერი** წარდგენილი იყვნენ ნობელის პრემიაზე მშვიდობის დარგში, შესაბამისად — 1935 და 1939 წელს.

* 1973 წელს ვიეტნამელმა პოლიტიკოსმა **ლე დიკ თხომ** უარი თქვა ნობელის პრემიაზე მშვიდობის დარგში, რადგან ვიეტნამში ომი კვლავ გრძელდებოდა.

ნობელის პრემიაზე, ოღონდ ლიტერატურის დარგში, უარი თქვა ფრანგმა ფილოსოფოსმა, მწერალმა და ესეისტმა **ჟან-პოლ სარტრმაც.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამჟამად აშშ-ის არმიის მინისტრი არის „ცისფერ“ კლუბებში პოპულარული ერიკ ფენინგი და ეს მხოლოდ დასაწყისია. მის კოლეგა-სამხედროებს შორის ახლა ცოტა ვინმე თუ გაბედავს დემონსტრაციულად მისთვის ზურგის ჩვენებას.**

# ტოტალური თვალთვალის შტატები

**რაც დრო გადის, მით უფრო ნათელი ხდება, რომ აშშ არავის დაუთმობს პირველობის პალმის რტოს თავისი მოქალაქეებისთვის სამართლიანი საკანონმდებლო სისტემის სრულყოფის საქმეში. რამდენიმე წლის წინათ მსოფლიო ეიფორიამ მოიცვა, როდესაც ამერიკამ გადაწყვიტა, მხარზე ხელის მოთათუნება სექსუალურ ძალადობად მიეჩნია.**



რაოდენ სასიკეთოდ აისახა სექსუალური უმცირესობების უფლებების განმტკიცება სახელმწიფო აპარატის მუშაობაზე?

**ამჟამად აშშ-ის არმიის მინისტრი არის „ცისფერ“ კლუბებში პოპულარული ერიკ ფენინგი და ეს მხოლოდ დასაწყისია. მის კოლეგა-სამხედროებს შორის ახლა ცოტა ვინმე თუ გაბედავს დემონსტრაციულად მისთვის ზურგის ჩვენებას.**

თუმცა ეს ყველაფერი წვრილმანებია პოლიციელების უფლებების განმტკიცებასთან შედარებით. ახლა მათ განაწესით ევალებათ, ფლობდნენ ექსტრასენსორულ შესაძლებლობებს და ერთი შეხედვით ამოიცნონ, ხომ არ აწუხებს ქუჩაში გამვლელს რაიმე ანტისაზოგადოებრივი, მით უმეტეს, ანტიამერიკული აზრები. ხომ ცნობილია, რომ ხულიგნობიდან ამერიკის ინტერესების ღალატამდე ერთი ნაბიჯია. **თუკი პოლიციელი ხედავს, რომ გამვლელი ქუჩაში ბორიალითა და თვალების ცეცებით კონსტიტუციისადმი უპატივცემულობას ავლენს, უფლება აქვს, ესროლოს და სასიკვდილოდ გაიმეტოს.**

როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ამერიკელთა შორის ანტიკონსტიტუციური განწყობები საკმაოდ ფართოდ გავრცელდა და ამგვარი „იდუმალი მოღალატეების“ მიმართ სროლა ქუჩებში ახლა ძალიან ხშირია. არცაა გასაკვირი: ამერიკული ღირებულებების მტრებს შორის მრავალი შავკანიანია, რომლებიც იმის ნაცვლად, რომ კეთილსინდისიერად იშრომონ ირლანდიელი გადმოსახლებულების შთამომავალთა სიმინდის ყანებში, უსაქმურობენ, რეპს ცეკვავენ და სახელმწიფო დახმარებას იღებენ.

რა თქმა უნდა, საჭიროა, გვესმოდეს, რომ მოქალაქეთა კანონმორჩილების იძულების არსებული პრაქტიკა სათავეს იღებს მშვიდობის იძულების პრინციპიდან, რომელსაც აშშ-ის ადმინისტრაცია ფართოდ იყენებს საერთაშორისო არენაზე, განსაკუთრებით — ახლო აღმოსავლეთში.

ახლა ამერიკა მიადგა საკითხს, რომ საკანონმდებლო გზით დაარეგულიროს ბოროტი ზრახვების შესახებ ამერიკის მოქალაქეთაგან აღიარებების მოპოვების პრაქტიკა. ამის კიდევ ერთი შეხსენება იყო შემთხვევა, რომელსაც ნიუ იორკში რამდენიმე დღის წინათ ჰქონდა ადგილი. ეკლესიის „სიცოცხლის სიტყვა“ მრევლის ექვსმა წარმომადგენელმა აღსარებისთვის თავიანთი ნათესავები — 17 და 19 წლის ძმები — ლუკას და კრისტოფერ ლეონარდები მიიყვანეს. მათ ეს მოვალეობის გრძნობით გააკეთეს, რადგან დაეჭვდნენ, რომ ახალგაზრდები გულის სიღრმეში სცოდავდნენ ამერიკული ღირებულებების უგულებელყოფით. და, როგორც ჩანს, არც შემცდარან, რადგან ბიჭებმა გადაჭრით განაცხადეს უარი, საკუთარ ცოდვებზე ესაუბრათ. ნიშანდობლივია, რომ ამ ბიჭების ცემაში მონაწილეობდნენ მათი ოჯახების ორივე სქესის წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი ლუკას ლეონარდის და, სარა, აქტიურობდა.

**თუკი პოლიციელი ხედავს, რომ გამვლელი ქუჩაში ბორიალითა და თვალების ცეცებით კონსტიტუციისადმი უპატივცემულობას ავლენს, უფლება აქვს, ესროლოს და სასიკვდილოდ გაიმეტოს**

ცემის შედეგად ლუკასმა შინაგანი და სასქესო ორგანოების ტრავმები მიიღო და საავადმყოფოში ისე გარდაიცვალა, რომ მაინც არ აღიარა, კონსტიტუციის კონკრეტულად რომელი მუხლების წინააღმდეგ სცოდავდა გულის სიღრმეში.

აღნიშნული შემთხვევა იმაზე მეტყველებს, რომ საჭიროა ამერიკელი მოქალაქეების აზრების სიწმინდის დადგენის პროცედურის დამუშავება.

ოჯახი, რომელიც დაადგენს საკუთარი წევრის არაკეთილსაიმედოობას და იდეურ ზიანს, სახლში უნდა იძახებდეს პოლიციას. შემდეგ პოლიცია, დაადებს რა ბორკილებს ბოროტგანმზრახველს, წაიყვანს ეკლესიაში აღსარებისთვის. ამასთანავე, მთელი პროცედურა რეგლამენტის დაცვით უნდა მიმდინარეობდეს. მღვდელი ჯაჭვიანი საცეცხლურით მიიღებს აღიარებას, მას შემდეგ, რაც ოჯახის წევრები დაარწმუნებენ „ეჭვმიტანილს“, არ გაჯიუტდეს და აღიაროს მცდარი აზრები. ამით შეიქმნება ოჯახური მშვიდობის საფუძვლები იმ შემთხვევისათვის, თუკი, მიუხედავად ყველაფრისა, ეჭვმიტანილი მაინც ცოცხალი გადარჩება. თუკი ეკლესიაში არ მოიძებნება საცეცხლური, შეიძლება მღვდელი ბეისბოლის ჯოხით შეიარაღდეს, რადგან ის უკვე ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლის ნაციონალური სიმბოლოა არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

პატრულმა კი, რომელიც ეჭვმიტანილს ეკლესიაში მიიყვანს, უნდა ჩაკეტოს ეკლესიის კარი და „ბოროტმოქმედის“ ყვირილზე შეკრებილი გამვლელები შიგ არ შეუშვას.

fondsk.ru

# შვედეთის სკოლაში მამაკაცმა «ვარსკვლავური ომები» გამართა

**პოლიციის მონაცემებით, მამაკაცი, რომელსაც სახეზე ნიღაბი ეკეთა და ხელში ხმალი ეჭირა, შევიდა შვედეთის დასავლეთით მდებარე ქალაქ ტროლჰეტანის სკოლა კრონანში. მან ერთი მასწავლებლისა და ოთხი ბავშვის დაჭრა მოასწრო. სკოლის პედაგოგი ადგილზევე გარდაიცვალა.**

„ვარსკვლავური ომების“ მესამე ნაწილში ენაკინ სკაიუოკერმა სკოლის ყველა მოსწავლე დახოცა, შემდეგ კი საბოლოოდ გადავიდა ბნელი ძალის მხარეს და გახდა დარტ ვეიდერი. ბოროტმოქმედს სწორედ ვეიდერის კოსტიუმი ეცვა და ფილმიდან ამ სცენის გაცოცხლებას ცდილობდა.

მოვლენთა ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, თავდაპირველად ყველას ეგონა, რომ ეს ხუმრობაა, ვიღაცამ დამნაშავესთან ერთად სურათების გადაღება და ხმლისთვის ხელის მოკიდებაც კი სცადა. თვითმხილველთა მტკიცებით, ბოროტმოქმედს ყურსასმენები ეკეთა და ძალიან ხმამაღლა უსმენდა მუსიკას. სკოლის მისამართით რაიმე მუქარას ადგილი არ ჰქონია. თავდამსხმელი 20 წლის მამაკაცია, რომლის ვინაობის დადგენა პოლიციამ უკვე მოახერხა. ახლა სამართალდამცავები ბოროტმოქმედის მოტივებსა და სკოლასთან მის კავშირს არკვევენ.

დამნაშვის დაკავების ოპერაციის მსვლელობისას პოლიციამ ცეცხლი გაუხსნა მას, რის შედეგადაც დაჭრილს ოპერაცია დასჭირდა.

შემთხვევის ადგილზე მივიდნენ სასწრაფო დახმარების მანქანები, დაზარალებულებს ადგილზევე აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება.





ბავშვებმა, მათმა მშობლებმა და მასწავლებლებმა პანიკურ მდგომარეობაში დატოვეს სკოლა, ტერიტორია პოლიციამ შემოსაზღვრა, პანიკა გავრცელდა მეზობელ სკოლებზეც, ბავშვები შეშინებულნი იყვნენ.

**დაჭრილთაგან სამს საავადმყოფოში ოპერაცია გაუკეთდა, მათ შორის ორი ბავშვია — 15 და 11 წლის. მსხვერპლთაგან ორის და თავად თავდამსხმელის მდგომარეობაც, როგორც მედიკოსები ამბობდნენ, კრიტიკული იყო. მესამე ბავშვი სროლისას ადგილზევე გარდაიცვალა. თავდამსხმელი კი მიღებული ჭრილობების გამო მოგვიანებით საავადმყოფოში გარდაიცვალა.**

ზოგი ვარაუდობს, რომ ახალგაზრდა მემარჯვენე ექსტრემისტული დაჯგუფების წევრია და სკოლაზე თავდასხმა ნაციონალისტური ქვეტექსტით მოხდა. საქმე ისაა, რომ სკოლის 400 მოსწავლიდან უმეტესობა ევროპელი არ არის. ჯერ კიდევ თავდასხმამდე სკოლა შვედეთის 10 ყველაზე უარეს დაწესებულებას შორის იყო.

რაც უნდა იყოს, სკოლაზე ამგვარი თავდასხმა პირველი შემთხვევაა შვედეთში, აქამდე ქვეყანაში მსგავსი ტრაგედიები არ მომხდარა.

Sverigesradio

## «ფეისბუქი» მომხმარებელს თვალთვალის შესახებ გააფრთხილებს

**„ფეისბუქის“ განცხადებით, სოციალური ქსელი დაიწყებს იმ მომხმარებლების გაფთხილებას, რომლებიც საკუთარი ქვეყნის ხელისუფლების ან ხელისუფლების მიერ დაფინანსებული ორგანიზაციის თვალთვალის მსხვერპლია.** „ჩვენ ყოველთვის ვდგამთ ნაბიჯებს ჩვენი მომხმარებლის დასაცავად, თუმცა გადავწყვიტეთ, დამატებით ვიმოქმედოთ და გავაფრთხილოთ მომხმარებელი იმ შემთხვევაში, თუ გვექნება მყარი ეჭვი, რომ მის ექაუნთზე ხელისუფლება და ხელისუფლების მიერ დაფინანსებული ორგანიზაცია ჰაკერულ თავდასხმას ახდენს. მიგვაჩნია, რომ ასეთი თავდასხმები ძალიან სახიფათოა და ამიტომ ყველანაირ თანადგომას ვუცხადებთ მომხმარებლებს, რათა მათ საჭირო ნაბიჯები გადადგან მსგავსი თავდასხმის ასაცილებლად“, — აღნიშნა „ფეისბუქის“ უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა ალექს სტამოსმა.





**მკვლევარებმა აღმოაჩინეს ძალზე საინტერესო ფაქტი, რომელიც სოციალური ქსელების გამოყენებას უკავშირდება. გამოვლინდა, რომ მიგრანტებისადმი „ტვიტერში“ გავრცელებული მოწოდებები, გაემგზავრონ გერმანიაში, ძირითადად, აშშ-ში იქნა ფორმირებული.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «მართული მიგრაცია», როგორც იარაღი ევროპის გადასათელად

**ასიათასობით დევნილი, როგორც სამოქალაქო ომის უბედურებებისგან დაზარალებულნი, ასევე ავანტიურისტები, ხმელეთით თუ ზღვით ბალკანეთში ჩადიან, შემდეგ კი ცდილობენ, უფრო მდიდარ ქვეყნებში — გერმანიაში, საფრანგეთსა და სკანდინავიაში — შეაღწიონ.**

ამგვარი დინებისთვის ობიექტური მიზეზები თითქოს არსებობს — ლიბიაში, სირიაში, ერაყში წლების განმავლობაში გრძელდება შეიარაღებული შეტაკებები და ომები; პალესტინასა და ავღანეთშიც არ არის სიმშვიდე; ხოლო ტუნისსა და ეგვიპტეს „არაბულმა გაზაფხულმა“ გადაუარა.

ცოტა ვინმე თუ ამჩნევს ბაჰრეინს, სადაც არა ერთი წელია, ოპოზიციის პროტესტს ყველაზე დაუნდობელი მეთოდებით უპირისპირდებიან.

არის კიდევ ერთი არცთუ უმნიშვნელო დეტალი: საუდის არაბეთში აშენებულია ბანაკები დევნილი მუსლიმანებისთვის, მაგრამ იქ რატომღაც არავინ მიდის, უკიდურეს შემთხვევაში დევნილები თურქეთსა და იორდანიაში რჩებიან.

რა არის სამშობლოდან გაქცევის სურვილის მიზეზი — მდიდარი ნათესავები, რომლებიც ადრე დამკვიდრდნენ ევროკავშირის ქვეყნებში თუ მონათხრობები იმ სოციალურ დახმარებებზე, რომელთა ხარჯზეც მშვენივრად შეიძლება ცხოვრება? ამხელა გზის გასავლელად ხომ დიდი ფულის გადახდაა საჭირო. ზოგიერთი მონაცემით, სირიიდან ან ლიბანიდან ერთი დევნილის ევროპაში გადასაყვანად კონტრაბანდისტები 4-დან 10 ათასამდე დოლარს იღებენ. ადამიანს საზღვარგარეთ მდიდარი ნათესავები რომც ჰყავდეს, ომისაგან განადგურებულ სირიაში საბანკო გადარიცხვით თანხის მიღება შეუძლებელია. ნისიად გადაყვანის ორგანიზება ნამდვილად საჭიროებს რაღაც გარანტიებს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ არც თუ იშვიათად გემები ხმელთაშუა ზღვაში იძირებიან.

ვინ და რისთვის იძლევა გარანტიებს, რომელთა გამოც ასიათასობით ადამიანი სხვა კონტინენტებიდან ევროპისკენ მიისწრაფის?

**მკვლევარებმა აღმოაჩინეს ძალზე საინტერესო ფაქტი, რომელიც სოციალური ქსელების გამოყენებას უკავშირდება. გამოვლინდა, რომ მიგრანტებისადმი „ტვიტერში“ გავრცელებული მოწოდებები, გაემგზავრონ გერმანიაში, ძირითადად, აშშ-ში იქნა ფორმირებული.**

ის, რასაც ახლა ვხედავთ, არის სტრატეგიული ხასიათის თეორიული გამოგონებების პრაქტიკული რეალიზაცია. ამგვარი სტრატეგიები, დიდი ხანია, მუშავდება. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და საერთაშორისო საქმეების ბელფერის ცენტრის კვლევა, რომლის სახელწოდებაა „მიგრაციის სტრატეგიული პროექტირება, როგორც ომის იარაღი“. კვლევა პირველად 2008 წლის მარტში ჟურნალ Civil Wars-ში გამოქვეყნდა. ამ ნაშრომის ავტორმა კელი გრინჰილმა, იყენებდა რა მონაცემთა სტრატეგიული ანალიზისა და თემატური კვლევების კომბინაციას, დადებითად უპასუხა კითხვებს: შეუძლიათ თუ არა დევნილებს, იქცნენ იარაღის განსაკუთრებულ სახეობად? შეიძლება თუ არა ამ იარაღის გამოყენება არა მხოლოდ საომარ, არამედ მშვიდობიან პერიოდში? რამდენად წარმატებული შეიძლება იყოს მისი გამოყენება?

სხვათა შორის, ბელფერის ცენტრის თანამშრომლები, ისევე, როგორც ჰარვარდის უნივერსიტეტის სხვა ქვეგანყოფილებების მუშაკებიც, მრავალი წლის განმავლობაში დაკავებულნი არიან კონფლიქტების მართვისთვის სტრატეგიის პროექტირებით უფრო ფართო საგარეო პრობლემატიკის კონტექსტში. ბელფერის ცენტრის დირექტორი გრემ ელისონი გახლავთ კლინტონის ადმინისტრაციისას ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის ყოფილი თანაშემწე. გარდა ამისა, ცენტრი აფინანსებს რუსეთის თემაზე მომუშავე სპეციალური ოპერატიული სამუშაო ჯგუფის კვლევებსაც.

**აშშ მხოლოდ წარმოაჩენს თავს ისე, თითქოს თანაუგრძნობდეს ევროპას, რომელიც მიგრაციული ტალღების დარტყმებს განიცდის.** გავლენიანი გლობალისტური სტრუქტურის „საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს“ დირექტორი — რიჩარდ ჰაასი ბოლოდროინდელ სტატიაში, განიხილავს რა დევნილთა მოდინებით განპირობებულ ევროპულ პრობლემებს, აღნიშნავს, რომ აშშ ევროკავშირისთვის დახმარების გაწევის ვალდებულებასთან ერთად აქვს სტრატეგიული ინტერესებიც, რომლებიც გერმანიასა და მთლიანად ევროპას უკავშირდება. თუმცა, მიუხედავად დახმარების „ვალდებულებისა“, არც ევროპის ქვეყნებში უკანონო შეღწევის კონტროლის მხრივ, არც დევნილების დროებით განთავსების მხრივ ამერიკისგან რაიმე დახმარება ჯერ არავის უნახავს.

აი, კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: 15 სექტემბერს ბარაკ ობამამ ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმადაც სახელმწიფო მართვაში აუცილებელია ბიჰევიორალური მეცნიერების მეთოდების გამოყენება. ბიჰევიორიზმის უკანასკნელი განშტოება, რომელიც ცნობილია



**ამ ნაშრომის ავტორმა კელი გრინჰილმა, იყენებდა რა მონაცემთა სტრატეგიული ანალიზისა და თემატური კვლევების კომბინაციას, დადებითად უპასუხა კითხვებს: შეუძლიათ თუ არა დევნილებს, იქცნენ იარაღის განსაკუთრებულ სახეობად? შეიძლება თუ არა ამ იარაღის გამოყენება არა მხოლოდ საომარ, არამედ მშვიდობიან პერიოდში?**

სახელწოდებით nudge (შეიძლება ითარგმნოს როგორც მსუბუქად ხელის კვრა) სხვა არაფერია, თუ არა ადამიანებით მანიპულირების მორიგი ტექნოლოგია. აქ აშკარად ჩანს კას სანშტეინის ხელი, ადამიანისა, რომელიც ადრე მუშაობდა ინფორმაციის საქმეთა და რეგულირების საკითხთა სამმართველოში ობამას კაბინეტში. ბრიტანელ კოლეგასთან თანაავტორობით მან დაწერა წიგნი „Nudge: Improving Decisions About Health, Wealth, and Happiness“, სადაც ლამაზი სიტყვების მიღმა იმალება ყოველდღიურობის პირობებში ფსიქოლოგიური მანიპულაციების მეთოდები. სხვათა შორის, სანშტეინის მეუღლე გახლავთ გაეროში აშშ-ის წარმომადგენელი — სამანტა პაუელი. ეჭვგარეშეა, რომ „მსუბუქად ხელის კვრის“ სოციალური ტექნიკა აშშ-ის საზღვრებიდან სადღაც შორს იქნება გამოყენებული.

თუმცა ყველაზე ეფექტიან იარაღად არა მხოლოდ გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც შეიძლება იქცნენ ის მიგრანტები, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან მომცრო პარტიზანული რაზმები ახალ საცხოვრებელ ტერიტორიაზე დივერსიულ-ტერორისტული აქტების მოსაწყობად. ნიშანდობლივია, რომ ამ ტიპის ყველაზე „პერსპექტიულ“ კადრებს აშშ, უბრალოდ, თავისთან კი არ იღებს, არამედ ანიჭებს დევნილების, რეზიდენტების სტატუსს, ასევე, ოფიციალურ დაცვას ამერიკის ხელისუფლების მხრიდან.

რამდენადაც ბოლო დროს გამოაშკარავებული შიგა მოხმარებისთვის განკუთვნილი დოკუმენტის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, აშშ-ის უშიშროების სამინისტროს მიერ 2014 ფინანსური წლისთვის მიგრაციის საკითხების შესახებ აშშ-ის კონგრესისთვის მომზადებულ სპეციალურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2014 წელს აშშ-ის მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურმა ცალკეული განმცხადებლებისთვის დაუშვა 1519 გამონაკლისი. ყველა მათგანმა მიიღო დევნილის, რეზიდენტის სტატუსი და ოფიციალური დაცვა აშშ-ის ხელისუფლების მხრიდან. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ყველა ამ ადამიანს ტერორისტულ დაჯგუფებებთან რაიმე კავშირი და დამანგრეველი მუშაობის დიდი გამოცდილებაც აქვს.

სიაში ფიგურირებენ აშშ-ის ძველი მოკავშირეები კუბელი ემიგრანტებისგან, კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ბოევიკები, რომლებიც რატომღაც ვერ ცხოვრობენ კარგად საკუთარ, ხელოვნურად შექმნილ სახელმწიფოში, და აშშ-ის სხვა მრავალი საიდუმლო თუ აშკარა მოკავშირე. არიან Alianza Republicana Nacionalist?-ის წარმომადგენლები სალვადორიდან, სავარაუდოდ, ისინი, ვინც ცივი ომის დროს პოლიტიკურ ოპონენტებს ესროდნენ, ახლა კი მართლმსაჯულებას ემალებიან. არიან ერითრიის კუნამის განმათავისუფლებელი დემოკრატიული მოძრაობის მებრძოლები — ეთნოსეპარატისტები, რომლებიც ერითრიის ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდნენ; არიან ტიგრეს ხალხთა განმათავისუფლებლები ეთიოპიიდან და ორომოს განმათავისუფლებელი ფრონტის წარმომადგენლებიც იმავე ქვეყნიდან.

სიაში შეხვდებით ბირმის ნაციონალური ფრონტის აქტივისტებსაც, მისი საომარი ფრთის — ჩინის ნაციონალური არმიის წარმომადგენლებს, რომლებიც შედიან „წარმომადგენლობის არმქონე ერებისა და ხალხთა ორგანიზაციაში“. აქვე არიან აშშ-ში ცხოვრებაზე კვოტების მქონე კარენების (ეთნიკური ჯგუფი ბირმასა და ტაილანდში) ნაციონალური საბჭოს წარმომადგენლები, ასევე, კარენას ნაციონალური არმიის ბოევიკებიც.

**დევნილის სტატუსი მიანიჭეს ერაყის 49 ყოფილ მოქალაქეს, რომლებიც ერაყის დემოკრატიული პარტიის, ქურთთა დემოკრატიული პარტიისა და ქურთისტანის პატრიოტული კავშირის წევრები იყვნენ. „1519 გამონაკლისს“ შორის არიან სხვა ისეთი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, რომლებმაც მრავალი წელი მიუძღვნეს შეიარაღებულ ბრძოლას.**

თუ რომელ მომავალ ომებში გამოიყენებს იარაღად ამგვარ სპეციფიკურ მიგრანტებს ამერიკის შეერთებული შტატები, შეგვიძლია, მხოლოდ ვივარაუდოთ.

fondsk.ru

მოკლედ



## პუტინის პოლიტიკას 89,9%-იანი მხარდაჭერა აქვს

**რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრ „ვალდაის“ მონაცემებით, ვლადიმერ პუტინის პოლიტიკას 89,9%-იანი მხარდაჭერა აქვს.** კვლევაში განმარტებულია, რომ ასეთი მაღალი მაჩვენებელი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია პუტინის მიერ სირიაში საომარი ტექნიკის გაგზავნასთან და იქ „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციებზე საჰაერო იერიშებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს რეიტინგი და არჩევნებზე მიღებული მხარდაჭერა ერთმანეთს არ ემთხვევა ხოლმე. ამ მაჩვენებლების განსხვავების მიზეზი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. რუსეთისთვის პუტინის 90%-იანი შედეგი რეკორდულია, მაგრამ — არა უპრეცედენტო მსოფლიო ისტორიაში.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ობამას ადმინისტრაციას დიდი არჩევანი არ აქვს: უნდა დაიწყოს თანამშრომლობა რუსეთთან ან ღიად უნდა დადგეს ისლამისტი ბოევიკების მხარეს.**

# ობამას ახლოაღმოსავლურმა პოლიტიკამ სული დალია

**სირიაში რუსეთის ფედერაციის მიერ დაწყებული სამხედრო ოპერაციის სამი კვირის განმავლობაში რუსულმა საბრძოლო თვითმფრინავებმა ბოევიკების პოზიციებს 750-მდე დარტყმა მიაყენეს. სირიელი ოფიცრები აღნიშნავენ თავიანთ ჯარისკაცებში საბრძოლო სულისკვეთების ზრდას რუსეთის მხრიდან დახმარების გამო. სახელისუფლო ჯარებმა დაიწყეს სახმელეთო ოპერაციები ჰომსისა და ჰამას პროვინციებში, ბრძოლებს აწარმოებენ დამასკოს აღმოსავლეთ გარეუბნებში. სირიული არმიის შეტევა კარგი ტემპით ვითარდება, პენტაგონში აღიარებენ, რომ ასადის მოწინააღმდეგეთათვის თანდათან რთულდება მიტაცებული დასახლებული პუნქტების შენარჩუნება.**




ბოევიკებს არ ჰყოფნით იარაღი, უცხოელი დაქირავებულები გარბიან, „ჯიჰადის მეომართა“ ადგილობრივი მომხრეები ბრბოში გაუჩინარებას არჩევენ. თეთრი სახლისთვის სულ უფრო რთულდება, არ შენიშნოს ძალთა თანაფარდობის ცვლილებები სირიაში. **ობამას ადმინისტრაციას დიდი არჩევანი არ აქვს: უნდა დაიწყოს თანამშრომლობა რუსეთთან ან ღიად უნდა დადგეს ისლამისტი ბოევიკების მხარეს.**

ამერიკელთა ჩანაფიქრით, კიდევ ერთი ვარიანტია, ვაშინგტონმა უარი განაცხადოს სირიის ჩრდილოეთში მიმდინარე მოვლენებში ჩარევაზე ქვეყნის ასადის მოწინააღმდეგეების კონტროს დაქვემდებარებულ რამდენიმე ზონად დაყოფის მხარდაჭერის სანაცვლოდ. საუბარია სპეციალური ანკლავების გამოყოფაზე სირიის მოსახლეობის ცალკეული რელიგიურ-ეთნიკური ჯგუფებისთვის. ამერიკელი პოლიტიკოსების მიერ საფუძვლად აღებულია აბსურდამდე გამარტივებული მოდელი „შიიტები სუნიტების წინააღმდეგ“, თუმცა სირიაში სუნიტი არაბები ერთმანეთთან არანაკლებ გაცხარებით ომობენ, ვიდრე სახელისუფლო ჯარებთან, რომლის ოფიცერთა კორპუსის არაერთი წევრი ასადის ერთგული სუნიტია.

გაეროს 2011 წლის მონაცემებით, სამოქალაქო ომის დაწყებამდე სირიაში 20,8 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა და ისინი 33 ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ. დიდი უმრავლესობა არის არაბები, მაგრამ ისინი იყოფიან მთელ რიგ ხალხებად: სირიელი არაბები (14 მილიონზე მეტი), ნაჯდის ბედუინი არაბები (1,59 მილიონი), პალესტინელი არაბები (0,59 მილიონი), ლიბიელი არაბები (0.13 მილიონი) და სხვა არაბული დიასპორები.

მიუხედავად ირანში ისლამურ რეჟიმთან მრავალწლიანი სიახლოვისა, სირია ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთ ელიტურ სახელმწიფოდ რჩებოდა. თეირანთან კავშირის საფუძველში „შიიტური სიახლოვე“ არათუ დომინირებდა, იდეოლოგიური არგუმენტის სახით ის საერთოდ არ ფიგურირებდა. სხვაგვარად ვერც მოხდებოდა, რადგან სირიის საზოგადოების არაბი ნაწილი, ანუ მოსახლეობის 80% სუნიტური ისლამის მიმდევარია. ალავიტები და დრუზები, რომლებიც ასევე არაბულ ენაზე საუბრობენ, სირიის მოსახლეობაში უმცირესობას შეადგენენ — დაახლოებით 2 მილიონს. უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის აღწერების დროს სირიაში ალავიტები დამოუკიდებელ ჯგუფად არ გამოუყვიათ. ასადების დინასტიის ნაციონალური პოლიტიკა ქმნიდა იდეალურისგან შორს მდგომ, მაგრამ მდგრად სისტემას, რომელშიც კონფესიური და რელიგიური განსხვავებები დიდწილად ნიველირდებოდა ერთიანი ნაციონალური თვითშეგნების იდეებით, რის შედეგადაც მოქალაქეები თავს, პირველ რიგში, სირიელებად მიიჩნევდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ — არაბებად, ქურთებად, ალავიტებად თუ დრუზებად.

ასადის ხელისუფლება სუნიტების მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერას ინარჩუნებს. აშშ თავის პოლიტიკაში უგულებელყოფს სირიული მოსახლეობის სტრუქტურის მნიშვნელოვან თავისებურებებს და ცოდნას იმის შესახებ, თუ ვინ ვისი წინააღმდეგია. არადა, ყველაფერში გასარკვევად ვაშინგტონს საკმარისი დრო ჰქონდა: **მეხუთე წელია, ამერიკა იმის მოლოდინშია, რომ დამასკო კაპიტულაციას გამოაცხადებს, მაგრამ ეს ფუჭი მოლოდინია. სირიელთა უდიდესი ნაწილისთვის ასადი ყველაზე ნაკლები ბოროტებაა მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან შედარებით. რაც შეეხება ტერორისტულ დაჯგუფებებს, სირიულ სივრცეში მათი სოციალური ბაზა ძალზედ უმნიშვნელოა.**

ბოლო წლების განმავლობაში დამასკოს წინააღმდეგ ათასობით უცხოელი იბრძოდა, მათ შორის დიდი ნაწილი კი ჩვეულებრივი დაქირავებული იყო. ერაყიდან ჩასული „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკები იყვნენ და რჩებიან ოკუპანტებად სირიისთვის, მათ მიერ კონტროლირებადი რაიონები მოსახლეობის 80%-მა დატოვა.

**ვისთვის აპირებენ ამერიკელები სირიის იმ ნაწილის დატოვებას, რომელიც „ისლამურმა სახელმწიფომ“ უკვე მიითვალა თავის „ხალიფატში“?** სირიელ სუნიტ არაბებს ამერიკელების მიერ შეთავაზებული ანკლავები არ სჭირდებათ. ამას არ ითხოვენ არც სირიელი ქურთები, რომლებიც ქვეყანაში სუნიტების, სულ მცირე, 10%-ს შეადგენენ.

ასადი სირიელი ქურთებისთვის ავტონომიის მიცემას დათანხმდა, მათი მხრიდან ლოიალურობის სანაცვლოდ და დამასკო მათ პოტენციურ პარტნიორებად განიხილავს. იდეა იმის შესახებ, რომ ქურთებმა ამერიკელების ხელიდან მიიღონ ავტონომია, უკვე საეჭვოდ გამოიყურება. აქ აშშ ანკარის ღია წინააღმდეგობას ეჯახება. თურქეთის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს და მომავალშიც გააკეთებს იმისათვის, რომ არ დაუშვას სირიაში ქურთების მიერ საკუთარი ავტონომიის შექმნა. აშშ-ს არ შეუძლია, თურქეთს პოზიცია შეაცვლევინოს, ანკარა მხარს არ დაუჭერს ამერიკის წა- ▶

**ექსპერტი:**

# სირიის კრიზისმა დაანახვა ევროპას, თუ როგორი პარტნიორია აშშ

**შესაძლოა, სირიაში რუსულმა სამხედრო ოპერაციამ ნავთობზე ფასების ზრდას შეუწყოს ხელი, რაც ევროპას რუსულ ენერგორესურსებზე მეტად დამოკიდებულს გახდის. ამის შესახებ ჩინელი პოლიტოლოგი ტუ ჩჟიმინი China Radio International-ის საიტზე წერს. გარდა ამისა, ექსპერტი დარწმუნებულია, რო სანამ მოსკოვი და ვაშინგტონი ახლო აღმოსავლეთში ურთიერთობებს არკვევენ, ბრიუსელი დევნილების კრიზისისგან იტანჯება და დროა, მიხვდეს, რომ მისი მოკავშირე ამერიკა, უპირველეს ყოვლისა, მსოფლიო ლიდერობაზე ფიქრობს.**



ბოლო ხანს უკრაინის გამო რუსეთსა და დასავლეთს შორის სერიოზულ რყევებს დაემატა სირიაში შექმნილი პრობლემებიც. სანამ მოსკოვი და ვაშინგტონი საკუთარი თამაშით არიან გატაცებულნი, რუსული სამხედრო კამპანია აუცილებლად მოახდენს ძლიერ გავლენას ევროპაზე.

ექსპერტის აზრით, რუსეთის სამხედრო ოპერაცია, პირველ რიგში, ქმნის რა არასტაბილურ სიტუაციას ახლო აღმოსავლეთში, ხელს შეუწყობს ნავთობზე ფასების გაზრდას, ეს კი განაპირობებს რუსეთზე ევროპის ენერგეტიკული დამოკიდებულების გაზრდას. ბოლო პერიოდში რუსულ ეკონომიკას არ ულხინს და იმის იმედით, რომ ნავთობი გაძვირდება, ვლადიმერ პუტინმა ამ კამპანიის დაწყების გადაწყვეტილება მიიღო. თუ ყველაფერი წარმატებულად განხორციელდება, ერთი მხრივ, რუსეთი შეძლებს დასუსტებული ეკონომიკის გაძლიერებას; მეორე მხრივ კი, შეარბილებს ევროპის მხრიდან მისდამი დამოკიდებულებას, რადგან მისთვის ენერგორესურსების უმსხვილეს მიმწოდებლად დარჩება.

მეორე არის ის, რომ, თუკი მოსკოვი შეძლებს საკუთარი გეოპოლიტიკური პოზიციის გამყარებას ახლო აღმოსავლეთში, იგი, ასევე, შეძლებს, გარკვეულწილად წინ აღუდგეს დასავლეთის შემდგომ „დემოკრატიზაციას“. კრემლი დიდად არ სწყალობს „ფერად რევოლუციებსა“ და „არაბულ გაზაფხულს“. მართალია, აქამდე ბაშარ ასადის ხელისუფლება გადარჩენას ახერხებდა, მაგრამ დასავლეთის მხრიდან აქტიური მხარდაჭერის პირობებში არც ოპოზიცია თვლემს. რუსეთს არ შეუძლია, დაუშვას, რომ სირია აშშ-ისა და ევროპის ხელში ჩავარდეს, რადგან ამ შემთხვევაში მოსკოვი თავის უკანასკნელ საყრდენს დაკარგავს ახლოაღმოსავლეთში.

მესამე არის ის, რომ სირიაში რუსეთის ქმედებები, რა თქმა უნდა, ევროპელების ყურადღებას უკრაინიდან ახლო აღმოსავლეთზე გადაიტანს. უკრაინული კრიზისის გამო მოსკოვსა და ბრიუსელს შორის უმწვავესი დაპირისპირება წარმოიშვა და ევროკავშირმა, ამერიკასთან ერთად, რუსეთზე ზეწოლა გადაწყვიტა, მაგრამ სირიის კონფლიქტმა დევნილების ნაკადები განაპირობა და ისინი, პირველ რიგში, მიაწყდნენ ევროპას, რომელსაც მათ გარეშეც საკმარისი პრობლემები ჰქონდა. ემიგრაციულმა კრიზისმა მხოლოდ გაამწვავა დაპირისპირებები ევროკავშირის შიგნითაც, ამიტომ ახლა ბრიუსელისთვის მთავარია, ამ პრობლემებს გაუმკლავდეს, მას ახლა კიევისთ- ▶



**უუნარო და უსამართლო აღმოჩნდა ევროკავშირის ის წესებიც, რომელთა თანახმადაც დევნილებს თავშესაფარი უნდა მისცეს ევროკავშირის იმ ქვეყანამ, რომელშიც პირველად ჩავლენ ისინი. დევნილები, ძირითადად, სამხრეთ ევროპაში ჩადიან და სურთ ჩრდილოეთისკენ გადაადგილება, საბერძნეთი და იტალია კი უგულებელყოფენ ევროკავშირის წესებს და ხელს უწყობენ მათ ამ გადაადგილებაში.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მოწყებას სირიის დანაწევრებაზე.

**ახლა აშშ აღმოჩნდა სიტუაციაში, როდესაც მისი ქმედებები სირიის კონფლიქტში რაიმე სახით ჩართულ არც ერთ მის მოკავშირეს არ აძლევს ხელს.** ვაშინგტონისთვის ძნელია, იმ პოლიტიკის გაგების იმედი იქონიოს, რომელიც არ იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ ვინაა სირიაში ამერიკელთა მთავარი მტერი. საუდის არაბეთი და მისი პარტნიორები სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან ელიან დადასტურებას, რომ აშშ მომავალშიც განაგრძობს ბრძოლას ასადთან, მაგრამ არა რადიკალ ისლამისტებთან. თურქეთიც ასადის წინააღმდეგ გამოდის, მაგრამ ქურთებთან სურს ბრძოლა და არა ტერორისტების ბანდფორმირებებთან. აშშ-ის კიდევ ერთი მოკავშირე — ისრაელი — ქურთული სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ სირიაში ასადის ადგილას „ისლამური სახელმწიფოს“ მეთაურების მოსვლას თავისთვის სახიფათოდ მიიჩნევს. ევროპელებს არ აძლევთ ხელს ამერიკული დაბნეულობა, რომელიც აშორებს ევროპაში სირიელი დევნილების შედინების დასრულების პერსპექტივას. როგორც ჩანს, ამერიკელი პოლიტიკოსების წინაშე დგას ამოცანა, რომელსაც ვერ გადაჭრიან, რადგან უნდა მოერგონ მრავალ მოკავშირეს, რომელთა მოთხოვნებიც ერთმანეთის საწინააღმდეგოა.

მთელ ამ აბდაუბდაში ჩანაფიქრი, რომელიც გათვლილია სირიაში ომის შეწყვეტაზე ქვეყნის უუნარო ანკლავებად დანაწევრების ხარჯზე, გამოიყურება, როგორც ამერიკის მცდელობა, საბოლოოდ მოიხსნას პასუხისმგებლობა მიმდინარე მდგომარეობაზე. ობამას ახლოაღმოსავლურმა პოლიტიკამ სული დალია. სირიის მიმართ რაიმე კონსტრუქციული იდეა ვაშინგტონს არ გააჩნია.

**fondsk.ru**

◀ ვის არ სცალია.

და ბოლოს: მეოთხე არის ის, რომ რუსეთის სირიული კამპანია ევროპას საშუალებას მისცემს, გადახედოს აშშ-თან ურთიერთობას. სანამ მოსკოვი და ვაშინგტონი ახლო აღმოსავლეთში საკუთარ ძალებს ადარებენ ერთმანეთს, იტანჯება ევროკავშირი, რომელსაც ვერ გაურკვევია, რა მოუხერხოს დევნილთა უზარმაზარ რაოდენობას. **ერთი შეხედვით, ევროკავშირი და აშშ მოკავშირეები არიან, მაგრამ რეალურად აღმოჩნდა, რომ პრაგმატულ ამერიკას მხოლოდ ლიდერობა აინტერესებს, ძლიერ ევროპას კი ვაშინგტონი მხოლოდ გამოწვევად განიხილავს.**

როგორც ჩანს, ამჯერად ახლო აღმოსავლეთში არასტაბილურობის შექმნით ევროპისა და ამერიკის ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დროა, ბრიუსელმა გადახედოს ამ პარტნიორობას და, სანამ ზესახელმწიფოებს მისცემს ნებას, ურთიერთობები არკვიონ მის საზღვრებთან ახლოს და მას პრობლემები შეუქმნან, ევროპა კარგად დაფიქრდეს.

**russian.rt**

# ევროპის დეზინტეგრაცია

**თუკი ვინმეს სჭირდება იმის მტკიცებულება, რომ ევროკავშირმა რღვევა დაიწყო, თანაც სახიფათო ტემპით, აი ისიც: უნგრეთი მავთულხლართებს ჭიმავს ევროკავშირელ მეგობარ ხორვატიასთან საზღვარზე. ცხადია, ევროზონის კრიზისმა უკვე განაპირობა პრობლემები ფულადი ნაკადების, სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკებს შორის წინააღმდეგობებთან და ევროკავშირის დაწესებულებათა პოლიტიკური მხარდაჭერის შესუსტების გამო და ევროპელები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ახლა კი ხელისუფლებებმა დაიწყეს ბარიერების აღმართვა და სასაზღვრო კონტროლის აღდგენა — დევნილების კრიზისი განაპირობებს ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების შეფერხებას და ვაჭრობის დამუხრუჭებას. ამასობაში, იმის მიხედვით, თუ რამდენად ნაწევრდება ევროკავშირი, იზრდება რისკი, რომ ბრიტანეთი ევროკავშირიდან გასვლას მისცემს ხმას.**



## ეფექტიანი, კოლექტიური რეაქციის არარსებობის გამო ევროპული კრიზისები იქცა დაავადებებად, რომლებიც ხელს უწყობს ცალმხრივი გადაწყვეტილების მიღებას

ხშირად ირწმუნებიან, რომ ევროკავშირს ეხმარება კრიზისები, რადგან ისინი აიძულებს მას, ყურადღება გაამახვილოს უმთავრეს სასიცოცხლო საკითხზე — შემდგომ ინტეგრაციაზე, მაგრამ ამისთვის საჭიროა, სულ მცირე, ოთხი ინგრედიენტი: პრობლემების კორექტული და ერთიანი აღქმა, თანხმობა წინ გადადგმულ ეფექტიან ნაბიჯებზე, საერთო ქვაბში მეტი სუვერენიტეტის ჩაყრის სურვილი და, ბოლოს, პოლიტიკური ლიდერები, რომლებსაც ცვლილებების მოტორად ქცევა შეუძლიათ. ამჟამად ამ ოთხიდან ერთიც არ ჩანს.

ევროპელი ლიდერები სუსტები, დანაწევრებულნი და უუნარონი არიან საიმისოდ, რომ სამომავლო მოგებების დამაჯერებელი სურათი წარმოიდგინონ, მოგებების, რომლებიც შეიძლებოდა ევროპულ ინტეგრაციას მოეტანა. უამისოდ კი მათ არ შეუძლიათ ხალხის მხარდაჭერის მოპოვება და ჯიუტი ხელისუფლებების დარწმუნება, რომ მიმდინარე ხარჯებში საკუთარი წილი დაფარონ. **ეფექტიანი, კოლექტიური რეაქციის არარსებობის გამო ევროპული კრიზისები იქცა დაავადებებად, რომლებიც ხელს უწყობს ცალმხრივი გადაწყვეტილების მიღებას.**

ევროზონის კრიზისსა და დევნილების კრიზისს აქვთ საერთო შტრიხები, რომლებიც ართულებს მათ გადაჭრას. ორივე დაკავშირებულია ხარჯების ირგვლივ გაჩაღებულ დავებთან, მათ ართულებს რწმენათა კონფლიქტი, ხოლო ყველაფრის ცენტრში კვლავაც გერმანიაა.

ფინანსური ტვირთის გადანაწილების საკითხში ევროკავშირი უიმედოა. ნაცვლად იმისა, რომ შეთანხმდნენ იმავე ფინანსურ კრიზისთან ან დევნილების დასახლებასთან დაკავშირებული დანახარჯების სამართლიან გადანაწილებაზე, ხელისუფლებები ცდილობენ, მინიმუმამდე დაიყვანონ საკუთარი ვალდებულებები და ყველაფერი სხვებს გადააბარონ. ამით იზრდება კოლექტიური ხარჯები. შეიძლებოდა, საბანკო კრიზისი გადაჭრილიყო ჭარბი ვალების სამართლიანი რესტრუქტურიზაციის გზით, მაგრამ ის ბევრად უფრო სერიოზულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისამდე გაიბერა, კრედიტორები მოვალეებთან დააპირისპირა ევროკავშირის ქვეყნებს შიგნითაც.

**უუნარო და უსამართლო აღმოჩნდა ევროკავშირის ის წესებიც, რომელთა თანახმადაც დევნილებს თავშესაფარი უნდა მისცეს ევროკავშირის იმ ქვეყანამ, რომელშიც პირველად ჩავლენ ისინი. დევნილები, ძირითადად, სამხრეთ ევროპაში ჩადიან და სურთ ჩრდილოეთისკენ გადაადგილება, საბერძნეთი და იტალია კი უგულებელყოფენ ევროკავშირის წესებს და ხელს უწყობენ მათ ამ გადაადგილებაში.** ტრანზიტული სახელმწიფოები (მაგალითად, უნგრეთი) ცდილობენ, რომ დევნილების ნაკადები სხვა ქვეყნებისკენ მიმართონ. შედეგად იმ თითქმის 750 000 ადამიანის გადასახლება, რომლებმაც წელს ევროკავშირისგან თავშესაფარი მოითხოვეს, იქცა ეგზისტენციალურ კრიზისად, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მთელი ევროკავშირის მოსახლეობის მხოლოდ 0,14 პროცენტს შეადგენენ.

პრობლემის ნაწილი იმალება გადაწყვეტილების მიმღები პოლიტიკოსების ვიწრო თვალსაწიერში. ევროკავშირის ლიდერები ძალზე ვიწროდ ფოკუსირდებიან მოკლევადიანი ფინანსური და პოლიტიკური დანაკარგების მინიმალიზაციაზე, ნაცვლად იმისა, რომ სტრატეგიულად ფიქრობდნენ უფრო ფართო და გრძელვადიან შედეგებზე.

2010 წელს საბერძნეთის ვალის რესტრუქტურიზაცია შეიძლება ფინანსურ დარტყმად ქცეულიყო ფრანგული და გერმანული ბანკებისთვის (და ხელისუფლებებისთვის, რომლებიც მათ უკან დგანან), მაგრამ შესაძლებელს გახდიდა გრძელვადიანი კრიზისის სწრაფი ტემპით მზარდი ღირებულების მიერ მიყენებული ზარალის შემცირებას. დევნილების დასაბინავებლად ასევე საჭიროა საწყისი ინვესტიციები სახელმწიფო ფონდებიდან, მაგრამ ისინი დივიდენდებს მოიტანენ, როგორც კი ეს დევნილები მუშაობას დაიწყებენ. გაჭაღარავებულ კონტინენტს სჭირდება დინამიური, ახალგაზრდა მუშა ხელი იმ სამუშაოს შესასრულებლად, რომელსაც ადგილობრივები ზიზღით უკუაგდებენ (და არა იმ სამუშაოსათვის, რომლის შესასრულებლადაც უნარი არ გააჩნიათ), ასევე იმისათვის, რომ შეინახონ ხანდაზმული ადამიანები და იზრუნონ მათზე, დაიწყონ ბიზნესი, ბოლოს და ბოლოს გაუჩნდეთ ახალი, ბრწყინვალე იდეები, რომლებიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას.

შეხედულებათა კონფლიქტი ეწინააღმდეგება კომპრომისებსაც. გერმანელები დაჟინებით ირწმუნებიან, რომ მოვალეები მორალურად ვალდებულნი არიან, გადაიხადონ ყველაფერი, რაც მართებთ. **ძნელია, გადაარწმუნო სლოვაკი პრემიერმინისტრი, რომელმაც დევნილები უკან გააბრუნა იმ მოტივით, რომ „სლოვაკეთი შექმნილია სლოვაკებისთვის და არა ნაციონალური უმცირესობებისთვის“.** მართალია, დევნილების დაბინავებასთან დაკავშირებული ევროკავშირის გეგმა უნგრეთს არასასურველი სტუმრებისგან იხსნიდა, მაგრამ ვიქტორ ორბანმა — ქვეყნის ავტორიტარულმა და ნაციონალისტურმა ლიდერმა — უარყო ის და გერმანია დაადანაშაულა „მორალურ იმპერიალიზმში“ — დევნილების მიმართ საკუთარი დიდსულოვნება თავს მოეხვია მეზობლებისთვის. ახლა, აღმოჩნდა რა მთავარი კრედიტორის მდგომარეობაში, ანგელა მერკელის ადმინისტრაცია უკვე გერმანული ევროპის შექმნას ცდილობს.

გერმანია უარს აცხადებს იმის აღიარებაზე, რომ მისი ეკონომიკური პოლიტიკა „გააკოტრე მეზობლის“ სტილში (მის ანარეკლად იქცა მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის უზარმაზარი პროფიციტი) ევროზონის კრიზისის მიზეზიცაა და მისი დაძლევის გზაზე მთავარი დაბრკოლებაც. ამის ნაცვლად იგი სხვებისაგან მკაცრად მოითხოვს, მიბაძონ მას.

უფრო პოზიტიური როლი შეასრულა მერკელმა დევნილების კრიზისში. გერმანიამ ცალმხრივად შეაჩერა ევროკავშირის წესების დაცვა თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებით და სირიიდან ჩასული ყველა დევნილის მიღების პასუხისმგებლობა იკისრა, მაგრამ **მერკელის უუნარობამ, უზრუნველეყო ამ დევნილთათვის უსაფრთხო გადაადგილების შესაძლებლობა, გააღრმავა ქაოსი.** შედეგად, შენგენის ზონის შიგნით სასაზღვრო კონტროლის აღდგენამ შექმნა საშინელი პრეცენდენტი და გერმანიის მეზობლებს ზუსტად ანალოგიური ქცევისკენ უბიძგა. ამასთანავე, ვინაიდან ევროკავშირი სულ უფრო მეტად განიხილება კრიზისების, პოლიტიკური არეულობებისა და არასასურველი მიგრანტების წყაროდ, იზრდება იმის რისკი, რომ ბრიტანელები რეფერენდუმზე ევროკავშირიდან გასვლის სასარგებლოდ მისცემენ ხმას. ეს რეფერენდუმი კი 2017 წლის დასასრულამდე უნდა ჩატარდეს. ბრიტანეთი უკვე განსაკუთრებულ მდგომარეობაშია — არც შენგენში შედის, არც — ევროზონაში და შეინარჩუნა დამოუკიდებლობის უფლება მრავალ შიგაპოლიტიკურ საკითხში (მათ შორის დევნილებთან დაკავშირებულ საკითხებშიც). ახლა ხელისუფლება აპირებს შეთანხმებას ევროკავშირის წევრობის კიდევ უფრო თვითნებურ წესებზე, ამიტომ ბრიტანეთი, ევროკავშირში რომც დარჩეს, მაინც განზე მდგომი იქნება.

გამოკითხვების თანახმად, საზოგადოებრივი აზრი ორად გაიყო, ამიტომ რეფერენდუმის შედეგების წინასწარ განსაზღვრა ძნელია. ისტებლიშმენტით ამჟამინდელი უკმაყოფილებისა და პოლიტიკური ტურბულენტობის ფონზე ევროკავშირის მოწინააღმდეგეებმა ევროკავშირის შემდეგ შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით შეიძლება ასეთი სურათი წარმოიდგინონ: თავისუფალი ბაზარი, ქვეყანა უცხოელების გარეშე და სოციალისტური უტოპია.

ევროკავშირის ინტეგრაცია აქამდე გარდაუვლად განიხილებოდა. ის შეიძლება შენელებულიყო, მაგრამ არასდროს იქცეოდა უკუპროცესად. ქვეყნები შეუერთდნენ და არასდროს გასულან კავშირიდან, მაგრამ, ვინაიდან ევროკავშირი უკვე ნაწევრდება, ბრიტანეთის გასვლამ, შესაძლოა, ეს ტენდენცია თავდაყირა დააყენოს. ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია საიმისოდ, რომ ევროკავშირი მანამდე მოაწესრიგონ, სანამ ძალიან გვიანი არ იქნება.

**ფილიპ ლეგრანი,**
ევროკომისიის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი, ამჟამად ლონდონის ეკონომიკის სკოლის ევროპული ინსტიტუტის მიწვეული პროფესორი, ავტორი წიგნისა „ევროპული გაზაფხული: რატომ განიცდის პრობლემებს ჩვენი ეკონომიკა და პოლიტიკა და როგორ გავუმკლავდეთ მათ“.

**Project Syndicate**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სომხური ეკლესია, რბილად რომ ვთქვათ, მეგობრულად განწყობილი არ არის მართლმადიდებლობის მიმართ, ამიტომ, როგორც სრულიად სომხეთის კათალიკოსის — გარეგინ II-ს ვიზიტის, ასევე ამ კონფესიის სხვა მოღვაწეთა ვიზიტის დროს მართლმადიდებელი მრევლი ფხიზლად უნდა იყოს და სომხური ეკლესიის მიერ დასმულ ნებისმიერ საკითხს უაღრესად სერიოზულად მოეკიდოს. იდეოლოგია, რომელსაც კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობისა და სარწმუნოების კულტების საკითხში სომხები ერთგულებენ, გაჟღენთილია უკანონო პრეტენზიებით ყველა მეზობელი ხალხის მიმართ, ყველასი, გამონაკლისის გარეშე.**

# სომხური ექსპანსია — სომხეთის სამოციქულო ეკლესიის მეშვეობით

**2015 წლის 30 ოქტომბერს სრულიად სომხეთის კათალიკოსის — გარეგინ II და სომხეთის პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის მოსალოდნელი ვიზიტი საქართველოში ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელთა შორის შეკითხვებს აჩენს.**

ცნობილია, რომ სომხეთის სამოციქულო ეკლესია უნიკალური ორგანიზაციაა. ფორმალურად მას ეკლესია ეწოდება, მაგრამ დიდი ხანია, იმდენად რელიგიური სწავლებით კი არ არის დაკავებული, რამდენადაც პოლიტიკით. ბოლო საუკუნეების განმავლობაში იგი აგრესიული სომხური ნაციონალიზმის ბურჯად ჩამოყალიბდა. ასეთი გაორება ხშირად აბნევდა იმ სახელმწიფოთა მმართველებს, რომლებშიც სომხები ცხოვრობდნენ, გულუბრყვილოდ მიიჩნევდნენ, რომ სომხური ეკლესია, ისევე, როგორც სხვა რელიგიური კონფესიები, უწინარეს ყოვლისა, ზნეობრიობას ქადაგებენ.

მაგალითად, **ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლება მე-19 საუკუნის განმავლობაში და მე-20 საუკუნის დასაწყისში მფარველობდა გრიგორიანულ ეკლესიას, მაშინაც კი, როცა მონასტრებში წვრთნიდნენ ტერორისტებს და ტაძრები იარაღის საწყობებად ჰქონდათ გადაქცეული. მე-20 საუკუნეშიც კი, როცა სომეხი მოთარეშენი ოსმალეთის იმპერიის მტრების მხარეს გადავიდნენ, მშვიდობიანი მაჰმადიანი მოსახლეობის დახოცვა დაიწყეს და ბაზებად გამოყენებული ჰქონდათ სომხური ეკლესიები და მონასტრები, იმპერიის მთავრობას არც კი უფიქრია რაიმე პრეტენზიის წაყენება სომხური ეკლესიისთვის. სომხური ეკლესია სტამბოლში ყოველთვის სარგებლობდა პრივილეგიებით.**

**დღესაც ასეა.**

სომხურ თემს სტამბოლში საერთოდ არავინ ახლებდა ხელს.

დღესაც იგივე მეორდება.

**სომხები და მათი რელიგიური ორგანიზაციები რუსეთშიც პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მხოლოდ 1903 წელს (დიდი დაგვიანებით) მიხვდნენ რუსეთის იმპერიაში, რას წარმოადგენდა სომხური ეკლესია, და მოისურვეს მისი ქონების კონფისკაცია. პასუხად მიიღო ტერორის ისეთი აფეთქება (მეფის მოხელეთა სერიული მკვლელობები), რომ ხელისუფლება იძულებული შეიქნა, უკან დაეხია.**

სომხების მიერ ორგანიზებულ მასობრივ სისხლიან ტერორამდე გაცილებით ადრე, ანუ 1905-1906 წლებში სომხებისა და სომხური ეკლესიის ქცევა კავკასიაში გამომწვევი იყო, თანაც არა მხოლოდ მაჰმადიანების, არამედ ქრისტიანების მიმართაც. ეს ხდებოდა მართლმადიდებელი რუსეთის სახელმწიფოში.

**ყველაზე აღმაშფოთებელი ფაქტები როგორც ქართველი, ასევე რუსი ქრისტიანების მიმართ აღრიცხულია რუსული იარაღის ძალით იმპერიისთვის მიერთებულ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე. 1830 წელს სომხებმა ჯავახეთიდან პრაქტიკულად სრულიად გამოდევნეს ქართველი მუსლიმი მოსახლეობა, სამცხიდან კი — მისი უმეტესი ნაწილი.**

მაგრამ სომხები ქართველი მაჰმადიანების ეთნიკური წმენდით არ შემოფარგლულან — გაქრისტიანებული მოსახლეობის შევიწროება და მათთვის ცხოვრებისა აუტანელი პირობების შექმნით განაგრძეს აგრესიული და კაცთმოძულე დამოკიდებულების რეალიზაცია. **გაზეთი „კავკაზი“ ჯერ კიდევ 1897 წელს წერდა, რომ სომხები, რომლებმაც ქალაქ ახალციხეში უზარმაზარი გრიგორიანული ეკლესია ააგეს, აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ მართლმადიდებელი ეკლესიის — ქართველი და რუსი ქრისტიანების სალოცავის მშენებლობას. სომხები აბუჩად იგდებდნენ ადგილობრივ მკვიდრთა — ქართველებისა და რუსების — რელიგიურ გრძნობებს, რომლებმაც ისინი იქ დაასახლეს და ამით ამოწყვეტას გადაარჩინეს.**

ასეთი იყო სომხების „მადლიერება“!

**არსებობს საფრთხე, რომ სომხები დღესაც აპირებენ, ექსპანსიის თავიანთი მეთოდი გამოსცადონ საქართველოს ძირძველ მიწაზე, რაც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ზურგში დანის ჩაცემის ფარდია.**

ყველაფერი დაიწყო 2011 წელს, საქართველოში სომხეთის კათალიკოსის გარეგინ II ვიზიტის შემდეგ (საქართველოში მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტობდა). **მოხდა ისე, როგორც სომხურ ტაქტიკას ახასიათებდა ყოველთვის: თავდაპირველად მათ თითქოს „უწყინარი“ თხოვნით დაიწყეს — მოითხოვეს თავიანთი ეკლესიისთვის „მხოლოდ და მხოლოდ“ იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება. ეს იყო და ეს...**




სომეხ მოღვაწეებს უყვართ საწყის ეტაპზე თავის მოსაწყლება, როგორც „დევნილი, ღატაკი და უბედური“ ერის წარმომადგენლებს, და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ „მცირე თხოვნის“ წამოყენებით იფარგლებიან. საქართველოს იმჟამინდელმა ხელმძღვანელობამ და ქართველმა საზოგადოებრიობამ ასეთი სტატუსის მინიჭებაში ვერავითარი საფრთხე ვერ დაინახეს. შედეგად, სომხებმა მიაღწიეს იმას, რაც სურდათ.

**გარეგინ II ვიზიტიდან ორი კვირის შემდეგ საქართველოს პარლამენტმა სამოქალაქო კოდექსში შეიტანა ცვლილება, რომლითაც სომხურ ეკლესიას მიენიჭა იურიდიული პირის სტატუსი. გამორიცხული არ არის, პარლამენტს ასეთი ოპერატიულობა „გაურკვეველი“ წარმომავლობის მქონე იმჟამინდელი პრეზიდენტის ზეგავლენით გამოეჩინა.**

შემდეგ კი დაიწყო ყველაზე საინტერესო.

**როგორც კი მიიღო იურიდიული პირის სტატუსი, სომხურმა ეკლესიამ დაიწყო დოკუმენტების მომზადება პრეტენზიებით ქართულ ტაძრებზე.**

**მალე ჟამაში მოუვიდათ და საბოლოოდ 442 ქართულ ტაძარს დაადეს ხელი. სომხებმა თავიანთი პრეტენზიები არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებას წარუდგინეს, არამედ — საერთაშორისო ორგანიზაციებსაც, მათ შორის, იუნესკოს. თხოვნა ამ ორგანიზაციებს სომხურმა ეკლესიამ, როგორც იურიდიულმა პირმა, წარუდგინა.**

**სწორედ ეს არის საყურადღებო(!), ანუ — კიდევ ერთი ფაქტი სომხური „მადლიერების“ გამჟღავნების.**

გაიძვერა და ეშმაკი მტაცებლის ქცევას ჰგავს გრიგორიანელთა ასეთი მოქმედება: თავდაპირველად მცირეთი კმაყოფილდება, რათა შემდგომ წარმოუდგენელი მოთხოვნები გააოფიციალუროს.

მტაცებელთან კაცი ფრთხილად უნდა იყოს: თითს გაუშვერ — მოგაჭამს, შეიძლება, სიცოცხლესაც გამოგასალმოს.

ახლაც ასე მოხდა: 4 წელიწადიც არ იყო გასული, რომ გარეგინ II „მოკრძალებული“ თხოვნა, სომხების გლობალურ მოთხოვნაში გადაიზარდა. **ჩვენმა მეზობლებმა თავიანთ სამშობლოში არსებულ სომხურ ეკლესიებზე მეტი ქართული ტაძრების მათთვის გადაცემის პრეტენზია მსოფლიოში გაახმაურეს.**

ამის დიდოსტატები არიან.

ამიტომ ქართველებს, უპირველესად კი, ხელისუფლებას, რომელიც განსაკუთრებით „სენსიტიურია“ უცხოეთში გამოთქმული მოსაზრებების მიმართ, სიფრთხილე მართებთ: როგორც კი „განსაკუთრებულ უფლებებს“ მიიღებენ, სომხები დაუყოვნებლივ დაიწყებენ მართლმადიდებელი მოსახლეობის დევნასა და შევიწროებას, როგორც ეს არაერთხელ გაუკეთებიათ.

რაც ვთქვით, მხოლოდ ვარაუდი არ არის: **სომხების „ლაშქრობა“ მართლმადიდებლობაზე, თანაც ორ ფრონტზე, უკვე მიმდინარეობს. ერთი მხრივ, სომხური ეკლესია მოითხოვს, გადავცეთ 442 ქართული ტაძარი; მეორე მხრივ, სომხურმა „მეხუთე კოლონამ“, რომელიც „ქართველ ლიბერალებად“ ასაღებს თავს, დაიწყო ცილისწამების გააფთრებული კამპანია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობლის წინააღმდეგ. ამის მაგალითები ქართულ მედიაში საკმაოდ არის.**

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ სომხები, რომლებიც მეზობლების წინააღმდეგ თავიანთი ექსპანსიის გასაძლიერებლად რუსეთის ფაქტორს იყენებენ, ქართულ ორგანიზაციებში მოკალათებული ფარული სომხები — კრიპტოსომხები — ქართველებს ბრალს წაუყენებენ, რომ ისინი (ქართველები), რუსების მსგავსად, მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. ამასთანავე, კრიპტოსომხები, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში ევროკავშირისა და დასავლეთის ქვეყნების დახმარებას რომ ეყრდნობიან, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აბრალებენ „არატოლერანტობას“, „ჰომოფობიას“ და „ევროპულ ღირებულებებთან“ შეუთავსებლობას.

პარადოქსია: **სომეხთა ერთი ნაწილი ქართული ეკლესიების „დაბრუნებას“ მოითხოვს და „რუსეთის სამხედრო ძლიერებით“ გვაშინებს — თუ ქართველები გაჯიუტდებით და განაგრძობთ სომხების „წყენინების“ პოლიტიკას, რუსეთი თავის „მოკავშირე“ სომხეთს დაიცავს და მხარს დაუჭერს სომხური „ჯავახქის“ სეპარატისტებსო. ამასობაში კი მათი თანამემამულენი, გადაკეთებული ქართული გვარებით, ათახსირებენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც „კრემლის აგენტების“ ბუდეს.**

სომხური ეკლესია, რბილად რომ ვთქვათ, მეგობრულად განწყობილი არ არის მართლმადიდებლობის მიმართ, ამიტომ, როგორც სრულიად სომხეთის კათალიკოსის გარეგინ II-ის ვიზიტის, ასევე ამ კონფესიის სხვა მოღვაწეთა ვიზიტის დროს მართლმადიდებელი მრევლი ფხიზლად უნდა იყოს და სომხური ეკლესიის მიერ დასმულ ნებისმიერ საკითხს უაღრესად სერიოზულად მოეკიდოს. იდეოლოგია, რომელსაც კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობისა და სარწმუნოების კულტების საკითხში სომხები ერთგულებენ, გაჟღენთილია უკანონო პრეტენზიებით ყველა მეზობელი ხალხის მიმართ, ყველასი, გამონაკლისის გარეშე.

**ვლადიმერ ცხვედიანი,**
პოლიტოლოგი, ისტორიკოსი

**დღეს პრემიერმინისტრი მიხეილ სააკაშვილი რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი არათუ აშშ-ში ვერ გაემგზავრებოდა, არამედ უკვე დიდი ხნის წინათ იქნებოდა პრეზიდენტის სასახლიდან გამობრძანებული და კანონებზე ხელის მოსაწერად თვითონ ჩავიდოდა ქუთაისში. ძალიან სახიფათოდ და უადგილოდ სარგებლობს ის პრემიერისა და პარლამენტის მოთმინებით.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პრეზიდენტი არაკომპეტენტურია ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების საკითხებში

**დღეს დიდი აურზაურია ატეხილი ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის გარშემო და რა „საგმირო საქმეებს" არ მიაწერენ მას, რომ ის არის სიტყვის თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის მებრძოლთა მედროშე, და რომ მხოლოდ ის არის ერთადერთი მიუკერძოებული საინფორმაციო წყარო და მხოლოდ მისგან იტყობს მოსახლეობა სიმართლეს.**



ვითარების დაძაბვა კი მოქმედი კონსტიტუციის შედეგია, რადგან ძირითადი კანონი ისეთი დაუბალანსებელი და ურთიერთსაწინააღმდეგო მუხლებს შეიცავს, რომ დღემდე ვერ გარკვეულან, ვინ არის ქვეყნის პირველი პირი და რა ფორმის მმართველობაა დღეს სახელმწიფოში, პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, მისი დემოკრატიულობისა და დიდი მოთმინების გამო (ზოგიერთს ეს მის სისუსტედ მიაჩნია), ძალაუფლებას ეცილებიან: პრეზიდენტი, „ნაცმოძრაობა", „რუსთავი 2", არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი და არასამთავრობოები.

ამ საკითხზე კონსტიტუციის სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს, როგორც პრეზიდენტმა, ასევე ჟურნალისტმა გიორგი გაბუნიამ 5 ოქტომბერს ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ში პრეზიდენტის სტუმრობისას კითხვა-პასუხის დროს.

**ჟურნალისტის კითხვიდან — „რატომ არ დახვდა სახელმწიფოს მეთაურს აშშ-ში საქართველოს ელჩი და რატომ არ ახლდა მას გადაადგილებისას და შეხვედრებისას?" — გამოჩნდა, რომ მათ კონსტიტუცია, არათუ შესწავლილი, წაკითხულიც არ აქვთ.**

და რადგან ასეა, მინდა, მათ კიდევ ერთხელ შევახსენო, რომ:

* სახელმწიფოს მეთაური უკვე აღარ არის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში, იგი საქართველოს წარმოადგენს ისეთივე უფლებებით, როგორითაც მთავრობის წევრები, ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელი კი არის პრემიერმინისტრი, სწორედ ის ხელმძღვანელობს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას და არა პრეზიდენტი. პრეზიდენტს ჩამოერთვა უფლება მთავრობის წარდგინების გარეშე დანიშნოს ან გაათავისუფლოს ელჩები და დიპლომატიური მისიის სხვა წარმომადგენლები.

ამის გარდა, მთავრობასთან შეუთანხმებლად სახელმწიფოს მეთაური:

* ვერ აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
* ვერ დადებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;
* ვერ მიიღებს სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ელჩებისა და დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას.

და რადგანაც პრეზიდენტის უფლებები საგარეო ურთიერთობების საკითხებში ასეთი შეზღუდულია და მას მთავრობის ნებართვის გარეშე ამ სფეროში დამოუკიდებელი მოქმედების პრაქტიკულად ყველა უფლება ჩამოერთვა, მაშინ თავისთავად ჩნდება კითხვა: **რისთვის და რა მიზნით ჩავიდა გიორგი მარგველაშვილი აშშ-ში — როგორც სტუმარი, თუ როგორც ტურისტი?**

**და რატომ უნდა ხლებოდა საქართველოს ელჩი აშშ-ში, არჩილ გეგეშიძე, სამუშაო ვიზიტით ამერიკაში მყოფ პრეზიდენტს, მაშინ, როდესაც იქ იმავე პერიოდში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ქვეყნის პირველი პირი საგარეო საქმეთა მინისტრისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებთან ერთად?**

რისთვის დასჭირდათ ჟურნალისტებსა და სხვებს ამ მარტივი საკითხის ასეთი პოლიტიზება?

**ცნობისათვის: ისრაელში პრეზიდენტს არა აქვს უფლება, დატოვოს ქვეყანა ქნესეთის ნებართვის გარეშე, ხოლო ბრაზილიის პრეზიდენტს პარლამენტის ნებართვა სჭირდება იმისთვის, რომ საზღვარგარეთ 15 დღეზე მეტი დაჰყოს.**

ჟურნალისტებსა ამ საკითხის პოლიტიზება იმიტომ ხომ არ დასჭირდათ, რომ საზოგადოება უარყოფითად დამუხტონ, შეცდომაში შეიყვანონ და ამით აეხსნათ მოსახლეობისათვის, აი თურმე, როგორ ჩაგრავს მთავრობა ქვეყნის პირველ პირსო (მათი აზრით)?

მხოლოდ ამ კითხვიდანაც კი საკმაოდ კარგად ჩანს ზოგიერთი ჟურნალისტის პროფესიონალიზმი, სახელმწიფოებრივი აზროვნების დონე და მიუკერძოებლობა.

**დღეს პრემიერმინისტრი მიხეილ სააკაშვილი რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი არათუ აშშ-ში ვერ გაემგზავრებოდა, არამედ უკვე დიდი ხნის წინათ იქნებოდა პრეზიდენტის სასახლიდან გამობრძანებული და კანონებზე ხელის მოსაწერად თვითონ ჩავიდოდა ქუთაისში.** ძალიან სახიფათოდ და უადგილოდ სარგებლობს ის პრემიერისა და პარლამენტის მოთმინებით.

მაგრამ ამ ვიზიტსა და ინტერვიუში ეს არ არის მთავარი.

მთავარი ის არის, რომ ამით ზუსტად დადგინდა: **პრეზიდენტი არაკომპეტენტურია ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების საკითხებში — იმ მომენტში, როდესაც ქვეყანაში არ იმყოფებოდნენ პრემიერმინისტრი, თავდაცვის მინისტრი და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი (ეს პირველმა გენერალ-ლეიტენანტმა გურამ ნიკოლაიშვილმა შეამჩნია) და, მიუხედავად საგარეო საქმეთა მინისტრის რჩევისა, გადაედო გამგზავრება, პრეზიდენტმა მაინც მიატოვა ქვეყანა (შეგნებულად, თუ შეუგნებლად — ეს საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოსა და პარლამენტის გასარკვევია) და უცხოეთში გაემგზავრა. ასე დარჩა ქვეყანა ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღები პირების გარეშე.** ამ ქმედებით პრეზიდენტმა დაადასტურა ქვეყნისა და ძირითადი კანონისადმი უპატივცემულობა, და, ალბათ, დაავიწყდა, რომ კონსტიტუციით სახელმწიფოს მეთაური არის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი (და არა კონსტიტუციის) და მის განსაკუთრებულ უფლებაში შედის გამოაცხადოს საომარი მდგომარეობა, რომელსაც პრემიერმინისტრის კონტრასიგნაცია არ სჭირდება.

როდესაც საქართველოს პრეზიდენტის უფლებას შეადარებ საპრეზიდენტო სახელმწიფოების პრეზიდენტების (მაგალითად საფრანგეთის) უფლებამოსილებას ამ საკითხში, ადვილად მიხვდებით, თუ რა დაბალია წინა მოწვევის პარლამენტარების აზროვნების დონე (ზოგიერთის გამოკლებით), რადგანაც საფრანგეთის პრეზიდენტი ასეთ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ „პრემიერ-მინისტრთან, პალატების თავმჯდომარეებთან, საკონსტიტუციო საბჭოსთან კონსულტაციების შემდეგ" (მ. 16).

ხოლო თურქეთის პრეზიდენტი: „პრეზიდენტის თავმჯდომარეობით შეკრებილ მინისტრთა საბჭოს, ეროვნული უშიშროების საბჭოს შეხედულებათა გათვალისწინებით შეუძლია გამოაცხადოს სამხედრო მდგომარეობა" (მ. 122).

**ჩვენთან კი პრემიერმინისტრს, რეალურად ქვეყნის პირველ პირს, ძირითადი კანონის 73'-ე მუხლის მე-3 პუნქტმა წაართვა ასეთი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება.**

პარლამენტარები და შესწორებების ავტორები ისე ზერელედ მოექცნენ ამ და სხვა მუხლებს, რომ ვერც კი შეამჩნიეს, თუ როგორ მიანიჭეს პრეზიდენტს საომარი მდგომარეობის **გაუქმების** უფლება, რომელიც ადრე პარლამენტს ეკუთვნოდა (მ. 50, პ. 3').

ან რა, პარლამენტარები, საკონსტიტუციო კომისიის წევრები, არასამთავრობოები და იურისტები ვერ ამჩნევენ, რომ:

*** პრეზიდენტი ფიცის დადების მაგივრად განცხადებას აკეთებს?**

*** ძირითადი კანონის რომელი მუხლი ითვალისწინებს პრეზიდენტის ან პარლამენტის მონაწილეობას მთავრობის წევრების თანამდებობებზე დანიშვნა-განთავისუფლებაში?**

*** კონსტიტუცია გარანტირებულ დამარცხებაზე ორიენტირებული დოკუმენტია?**

ამას ნამდვილად ვერ ხედავენ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ მაჟორიტარი დეპუტატების არჩევნების წესის გაუქმებას, მაგრამ სხვები კარგად ამჩნევენ, რომ მათ ეს აურზაური მხოლოდ ხელისუფლებაში მოსახვედრად სჭირდებათ.

და, რადგანაც მოქმედი კონსტიტუცია კონკრეტულ პიროვნებაზეა მორგებული და სახელმწიფოსათვის ბევრ სახიფათო რისკს შეიცავს, რაც დღევანდელმა სიტუაციამაც დაადასტურა, მიზანშეწონილია:

**კონსტიტუცია დაუბრუნდეს თავის პირვანდელ ვარიანტს, მანამდე კი შესწორებებია შესატანი 50-ე, 69-ე, 71-ე, 73-ე, 98-ე და მე-100 მუხლებში, რომლებიც ეხება ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების საკითხებს.**

რაც შეეხება პრეზიდენტს, მისი უფლებამოსილებიდან მიზანშეწონილია ამოღებულ იქნას:

*** მთავრობასთან, ან სხვა კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე გამოაცხადოს საომარი მდგომარეობა;**

*** შეზღუდოს მოქალაქეობისა და თავშესაფრის მიცემის უფლება უცხო ქვეყნების მოქალაქეებისათვის.**

და რადგანაც შესწორებები კონკრეტულად მიხეილ სააკაშვილზე იყო მორგებული, რომელიც 100% იყო დარწმუნებული, რომ მხოლოდ ის იქნებოდა მომავალი პრემიერმინისტრი (ის, რომ შესწორებები კონკრეტულ პიროვნებაზე იყო გათვლილი, ირაკლი ღარიბაშვილმა 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიღების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე განაცხადა).

ან იარაღის სამალავების არსებობა რად ღირს! ეს თემა დღესაც ძალიან აქტუალურია. **რისთვის ემზადებოდა და რისთვის სჭირდებოდა იარაღი „ნაცმოძრაობას"?** გასაოცარია, რატომ არ არის გამოძიებული დღემდე ეს დანაშაული. ყოფილი თავდაცვის მინისტრის — **დიმიტრი შაშკინის** მტკიცება, რომ ეს იარაღი პარტიზანული მოძრაობისათვის იყო განკუთვნილი, კრიტიკას ვერ უძლებს. დასადგენია კიდევ სად იმალება იარაღი. იქნებ ისევ შაშკინისგან შევიტყოთ.

ყოფილი პრეზიდენტის ფსიქიკიდან, ხასიათიდან და ქმედებებიდან გამომდინარე გამორიცხული იყო, რომ ძირითადი კანონი დემოკრატიული და სიტყვის, ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების დამცველი ყოფილიყო. ის ხომ პარლამენტს დასცინოდა, აბუჩად იგდებდა, პარლამენტარებს კი თავმოყვარეობა წაართვა (ზოგიერთის გამოკლებით).

და, **თუ დღეს პრეზიდენტი, საკონსტიტუციო სასამართლო, „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტები და იურისტები ვერ ერკვევიან, ვინ ვინ არის, ეს წინა პარლამენტის, პრეზიდენტის, ვენეციის კომისიის, გერმანელი ექსპერტებისა და ევროპის სახალხო პარტიის ბრალია.** ასეთი კონსტიტუცია დიქტატურის დასამყარებლად უფროა მომზადებული, ვიდრე დემოკრატიის ზეიმისთვის.

**პატივისცემით,**

**ალექსანდრე ტოლსტოი**

**თუ დღეს პრეზიდენტი, საკონსტიტუციო სასამართლო, «რუსთავი 2»-ის ჟურნალისტები და იურისტები ვერ ერკვევიან, ვინ ვინ არის, ეს წინა პარლამენტის, პრეზიდენტის, ვენეციის კომისიის, გერმანელი ექსპერტებისა და ევროპის სახალხო პარტიის ბრალია. ასეთი კონსტიტუცია დიქტატურის დასამყარებლად უფროა მომზადებული, ვიდრე დემოკრატიის ზეიმისთვის**

ნახევარდაშლის პერიოდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოცდახუთი ათასი ფუტის სიმაღლიდან დედამიწა სათამაშოსავით ჩანდა. ალვარეცის მრიცხველები ნელ-ნელა ეშვებოდა დაბლა მზისგან ოქროსფრად შეფერადებული პარაშუტებით. ოპტიკურმა სამიზნემ მიზანი მოძებნა. მიზანი მთელი ქალაქი იყო. ჩვენმა „სთრეით ფლეშმა“ კოდირებული რადიოგრამა გაგზავნა „ენოლა გაიზე“: „დაბომბვისთვის საუკეთესო პირობებია “. „ენოლას“ მეთაურმა, პოლკოვნიკმა პოლ ტიბეტსმა მისი მიღება დაადასტურა . მეორე პილოტმა, მაიორმა ფერბიმ, თვითმფრინავს საჭირო მიმართულება მისცა... კაპიტანმა უილიამ პარსონსმა ბომბსაყრელის ბერკეტს ხელი დააჭირა. „გალეული“ ლუკიდან გამოსრიალდა.**

# ატომური პილოტი



იური ანოხინი

**აშშ-მა ატომური ომის დოქტრინა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე შეიმუშავა, რომელიც აისახა აშშ-ისა და ნატოს ოფიციალურ სტრატეგიულ კონცეფციებში და ითვალისწინებდა ატომური იარაღით შეტევას მოწინააღმდეგეზე.**

**სსრკ-ისა და მოგვიანებით სხვა სახელმწიფოების მიერ ატომური ბომბის შექმნის შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ ატომური იარაღის გამოყენება საპასუხო დარტყმას გამოიწვევდა და კატასტროფის წინაშე დააყენებდა დედამიწას, გაანადგურებდა კაცობრიობას.**

**ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თავს დემოკრატიის შუქურად მიიჩნევს, სინამდვილეში სხვა ქვეყნებში დემოკრატიის გავრცელების საბაბით ინტერვენციებს ახორციელებს და ცდილობს, მსოფლიოზე იბატონოს, ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც ატომური იარაღი გამოიყენა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.**

**აშშ-მა 70 წლის წინათ, 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს, როცა იაპონია უკვე თითქმის დამარცხებული იყო, ატომური ბომბები ჩამოყარა იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში. შედეგად აფეთქების ეპიცენტრთან ახლოს მყოფი ადამიანები მყისვე დაიღუპნენ — მათი სხეულები ნახშირად იქცა, რადიაციულმა გამოსხივებამ მხოლოდ ადამიანების სილუეტები დატოვა შენობების კედლებზე. აფეთქების ტალღამ ეპიცენტრის გარშემო ყველა შენობა გაანადგურა. აფეთქების მომენტში დაიღუპა 80 ათასი ადამიანი, 1945 წლის ბოლოს რადიოაქტიური დასხივების ზემოქმედების შედეგად მსხვერპლის რაოდენობა 166 ათასამდე გაიზარდა.**

**სულ კი, 2013 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, ატომური ბომბების ჩამოგდების შედეგად 450 ათასი ადამიანი დაიღუპა: 286,8 ათასი — ჰიროსიმაში და 162 ათასი — ნაგასაკიში.**

**სწორედ ამ საშინელ ტრაგედიაზე, ამერიკელთა მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე მოგვითხრობს რუსი ჟურნალისტის, იური ანოხინის, წიგნი „ატომური პილოტი“, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ.**

**წიგნში მოთხრობილია ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მაიორ კლოდ იზერლის — ჰიროსიმისა და ნაგასაკის ბარბაროსული ატომური დაბომბვის ერთ-ერთი მონაწილის — ტრაგიკული ბედის შესახებ.**

**კლოდ იზერლის ისტორია არა მხოლოდ ადამიანური ტრაგედიაა, იგი მოწოდებაა კეთილი ნების ყველა ადამიანისადმი, გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული, ბირთვული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მასობრივი მოსპობის საშუალებებით გამალებული შეიარაღების შესაჩერებლად.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33-37 (315-319)

როდესაც დაუნიმ ქადაგების კითხვა დაიწყო, საიდანღაც სმიტი გამოჩნდა და კათოლიკურ ჯვარცმაზე ღვთისმოსავად პირჯვარი გადაიწერა, თუმცა, როგორც ვიცოდი, პრესბიტერიანელი იყო. დაუნი ეკლესიასტედან კითხულობდა:

— და მოვიძულე ყოვლითურთ ცხოვრებაი ჩემი, რამეთუ ბოროტ არს ჩემ ზედა ქმნული იგი, რომელი იქმნების მზესა ამას ქვეშე, რამეთუ ყოველივე ამაო და გამორევა სულის...

რამეთუ ეყვინ ესე კაცისა ყოველსა შინა შრომასა მისსა და გამორჩევითა გულისა მისისაითა, რომელსა იგი შვრების მზესა ამას ქვეშე...

უმჯობეის არს მოსვლვად სახლსა გლოვისასა, ვიდრელა მოსვლად სახლსა შვებისასა, რამეთუ ესე არს დასასრულ ყოველსავე კაცისაი და, რომელი ცხოველ არს, მოჰსცეს კეთილი გულსა თვისსა...

**2 საათი და 45 წუთი.** ტინიანის დრო, სტარტი.

**ჩვენთან ერთად მოფრინავდა მაშინ მე-2 რანგის კაპიტანი უილიამ პარსონსი.**

**იგი „ენოლას“ უკანა ნაკვეთურში იძქძებოდა; ამზადებდა „გალეულის“ მექანიზმს — პლუტონის ორ ნახევარსფეროს და გამოყრის მუხტს.**

**6 საათი და 05 წუთი.** უკან დარჩა კუნძული ივოძიმა. ბომბში შეყვანილია „წითელი ღერძები“, რომლებიც აფეთქებას უზრუნველყოფს.

**8 საათი და 38 წუთი.** დამთავრდა სიმაღლის აღება.

დარჩა სულ ცოტა...

ჰიროსიმას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მივუახლოვდით.

ქალაქი ჯერ კიდევ თვლემდა. ქალები ქმრებს საუზმეს უმზადებდნენ — ხის პატარა კოლოფებს ბრინჯის, სიდიდით თალგამისხელა გუნდით, კოლოფის გვერდით განყოფილებებში წვრილად დაჭრილ ზღვის ბალახის პატარა ნაჭრებით, ბამბუკის ყლორტებითა და ზღვის ლიფსიტით...

საზენიტო ქვემეხები დუმდნენ.

გამჭვირვალე ვარდისფერი დილა იყო.

**ოცდახუთი ათასი ფუტის სიმაღლიდან დედამიწა სათამაშოსავით ჩანდა. ალვარეცის მრიცხველები ნელ-ნელა ეშვებოდა დაბლა მზისგან ოქროსფრად შეფერადებული პარაშუტებით. ოპტიკურმა სამიზნემ მიზანი მოძებნა.**

**მიზანი მთელი ქალაქი იყო. ჩვენმა „სთრეით ფლეშმა“ კოდირებული რადიოგრამა გაგზავნა „ენოლა გაიზე“: „დაბომბვისათვის საუკეთესო პირობებია“. „ენოლას“ მეთაურმა პოლკოვნიკმა პოლ ტიბეტსმა მისი მიღება დაადასტურა.**

**მეორე პილოტმა, მაიორმა ფერბიმ, თვითმფრინავს საჭირო მიმართულება მისცა... კაპიტანმა უილიამ პარსონსმა ბომბსაყრელის ბერკეტს ხელი დააჭირა.**

**„გალეული“ ლუკიდან გამოსრიალდა.**

სარდლობას აუწყეს: „თვითმფრინავში მყოფებმა ორი საგრძნობი დარტყმა იგრძნეს... მთელი ქალაქი... დაიფარა მტვრის ნაცრისფერი ფენით, რომელიც ბოლოს სვეტის ფუძეს უერთდება. ეს ფენა ბობოქრობს; მის შიგნით ცეცხლის ალი მოჩანს. ფენის დიამეტრი 4,5 კილომეტრზე ნაკლები არაა. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს მთელი ქალაქი ნაწილებადაა დაჭრილი. პარსონსს მიაჩნია, რომ აფეთქება გრანდიოზულად და შემაძრწუნებლად გამოიყურება“.

9 საათი, 16 წუთი და 15 წამი (კუნძულ ტინიანის დრო, ვაშინგტონის დროით 5 აგვისტოს 18 საათი, 16 წუთი და 15 წამი, ტოკიოს დროით 6 აგვისტოს 8 საათი, 16 წუთი და 15 წამია).

**ჩვენ მკვლელები გავხდით.**

გენერლები და სამხედრო საჰაერო ძალების უმაღლესი ჩინები ცდილობდნენ, ერთმანეთისა და დანარჩენებისათვის დაემტკიცებინათ, რომ სწორედ მათ და არა სხვებმა, უზრუნველყვეს, ორგანიზცია გაუკეთეს, შესაძლებელი გახადეს „ჰიროსიმის ექსპერიმენტი“. სპაატსი, ჯაილსი, ტუინინგი, დევისი და ლიმეი თანამონაწილეთა გვირგვინს ეცილებოდნენ ერთმანეთს. ბრიგადის გენერალმა ფარელმა ყველა პრეტენდენტს დაასწრო და ლესლი გროვსს წარმატება მიულოცა. ის მხოლოდ ამ უკანასკნელის მოადგილე იყო, გენერალ-მაიორი კერტის ლიმეი კი, რომელიც მე-20 საჰაერო ესკადრას მეთაურობდა, შეეცილა მას შთამომავლობის სიძულვილისა თუ სიყვარულის უფლებაში. „ფარელის შეტყობინების შესახებ მე არაფერი ვიცი“, — განაცხადა მან გროვსთან ტელეფონზე საუბრის დროს. ლიმეი მსხვილი ფიგურა იყო, გროვსს კი ტყუილუბრალოდ უსიამოვნება არ უყვარდა. მან ძალიან ზრდილობიანად მოიხადა ბოდიში, თანაც ხაზგასმით აღნიშნა მოსაუბრის დამსახურება და მისი წვლილი: „გენერალო, პირადად თქვენ დიდ მადლობას გიხდით“.

ყოველთვის ასე იყო: მიმმართველები, ნაქურდალის დამმალავები და შემსყიდველები ნაალაფევის უდიდეს ნაწილს იგდებდნენ ხელში. ამჯერად ჯილდო უმაღლესი ორდენები და გენერლის რიგარეშე ვარსკვლავები იყო.

ტინიანში, აეროდრომზე, ანგარში დაბორიალებდნენ სამოქალაქო პირები. ალვარეცი და ინგლისელი ფიზიკოსი პენი გენერალ სპაატსს უჩვენებდნენ ყუთს, რომელშიც ბომბი იდო. სპაატსი ურწმუნო ადამიანი იყო. მან ადიუტანტს უთხრა:

— თუ გინდათ, დაუჯერეთ ამ ყმაწვილის ნაამბობს; მაგრამ მე იგი ვერ გამასულელებს!

ყუთი პატარა იყო და სპაატსს ეგონა, რომ ალვარეცი მას ასულელებდა.

საღამოსთვის ყუთისგან აღარაფერი დარჩა — იგი ნაფოტ-ნაფოტ დაიტაცეს სამახსოვროდ. ერთი ნაფოტი ჯომ მეც მომიტანა. იგი უკვე მთვრალი იყო. მისთვის ის-ის იყო ეთქვათ, რომ ახლა კიოტოს ჯერი იყო. ჯო ომამდე ნამყოფი იყო იქ და შეყვარებული გახლდათ მის უძველეს ტაძრებზე.

— ისინი არაფერს ელოდებოდნენ, — თქვა ჯომ, — კლოდ, შენ გესმის რამე? სპაატსის ადიუტანტი მეფიცებოდა, რომ აქამდე ჰიროსიმა არ დაუბომბიათ. თვითმფრინავები მხოლოდ ფურცლებს ყრიდნენ... კლოდ, ისინი მიაჩვიეს, რომ ჩვენი „B-29“-ების არ შინებოდათ...

**„გალეული“ სუსტი ბომბი იყო. ჩვენს სინდისზე მხოლოდ სამოცდათვრამეტი ათასი მოკლული, ასი ათასი დაჭრილი, შვიდი ათასი დანგრეული და ორმოცდათექვსმეტი ათასი დამწვარი სახლი იყო.**

**ტრუმენს,** რომელიც პოტსდამიდან დიდი ზარ-ზეიმით ბრუნდებოდა, გზაში წამოეწია შეტყობინება. მან თავის დღიურში ჩაწერა: „6 აგვისტოს, პოტსდამიდან გამომგზავრების მეოთხე დღეს, მოვიდა ისტორიული ცნობა, რომელმაც შემძრა. ვსაუზმობდი, როდესაც კაპიტანმა ფრენკ გრეჰემმა შემდეგი წერილი გადმომცა: პრეზიდენტს სამხედრო მინისტრისაგან... დიდი ბომბი ჩამოგდებულია...“ ძალიან ავღელდი. დავურეკე ბირნსს, რომელიც ჩემთან ერთად გემზე იმყოფებოდა და ეს ამბავი შევატყობინე, შემდეგ კი იქვე მდგარ მეზღვაურთა ჯგუფს მივმართე: „ეს უდიდესი ფაქტია ისტორიაში“.

ჩვენ ეროვნული გმირები გავხდით.

**ბოლო წამს ტრუმენმა კიოტო გადაშალა და იგი ნაგასაკით შეცვალა. „ენოლას“ და „სთრეით ფლეშის“ ეკიპაჟებმა მედლები მიიღეს. სმითმა პირველმა მოგვილოცა. 9 აგვისტოს აფეთქდა „ბლენძი“. „სთრეით ფლეში“ კვლავ მიმართულებას აძლევდა. ბომბი ჩამოაგდო მაიორმა ჩარლზ სუინიმ — ბომბდამშენ „ბოკის ეკიპაჟის“ მეთაურმა. მისი უშუალო დამხმარეები იყვნენ: კაპიტანი ბიჰენი — ბომბარდირი, პოლკოვნიკი ეშუორსი — ბომბზე პასუხისმგებელი, და ლეიტენანტი ბარნსი — ელექტრო-მოწყობილობის ოფიცერი. გაფრენის წინ ადმირალმა სუინის შემდეგი კითხვით დაულოცა გზა: „ახალგაზრდავ, იცი, რა ღირს ეს ბომბი?“ „ოცდახუთი მილიონი დოლარი“, — უპასუხა სუინიმ. „ასე რომ, ეცადე, ეს ფული ტყუილუბრალოდ არ დაიკარგოს“.**

სუინიმ და მისმა ხელქვეითებმა ყველაფერი გააკეთეს.

ბიჰენმა ველზე მდებარე ველორბოლის სტადიონი ამოირჩია სამიზნედ და „ბლენძი“ დასაღუპად განწირული მიწიდან 9700 მეტრის მოშორებით გაუშვა.

ადმირალ პარნელს შეეძლო, ეამაყა: ფული წყალში არ ჩაყრილა. თითოეულ მიცვალებულზე რაღაც 300 დოლარი დახარჯეს — სულ მცირე თანხა იმასთან შედარებით, რომლის გადახდაც უხდებათ პროფესიონალი მკვლელებისათვის, რომლებიც პირად მტერს აცილებენ ადამიანს. როგორც ცნობილია, საბითუმო ფასები ყოველთვის ნაკლებია საცალო ფასებზე...

ტინიანზე საზღვაო ქვეით ბატალიონთა ჯარისკაცები სიხარულისაგან გადარეულები დადიოდნენ: გადაწყდა, ტოკიოს ყურეში დესანტი აღარ გადაესხათ. ჯო მათთან ერთად სვამდა ვისკის. მას თავისი ახალთახალი მედალი ერთხელაც არ გაუკეთებია.

ერთი წლის შემდეგ იგი გალოთდა.

კიდევ ერთი წლის შემდეგ პირადად გავძარცვე ადამიანი.

**გაგრძელება იქნება**




„ენოლა გეის“ ეკიპაჟი

**ბოლო წამს ტრუმენმა კიოტო გადაშალა და იგი ნაგასაკით შეცვალა. „ენოლას“ და „სთრეით ფლეშის“ ეკიპაჟებმა მედლები მიიღეს. სმითმა პირველმა მოგვილოცა. 9 აგვისტოს აფეთქდა „ბლენძი“. „სთრეით ფლეში“ კვლავ მიმართულებას აძლევდა. ბომბი ჩამოაგდო მაიორმა ჩარლზ სუინიმ — ბომბდამშენ „ბოკის ეკიპაჟის“ მეთაურმა. მისი უშუალო დამხმარეები იყვნენ: კაპიტანი ბიჰენი — ბომბარდირი, პოლკოვნიკი ეშუორსი — ბომბზე პასუხისმგებელი, და ლეიტენანტი ბარნსი — ელექტრომოწყობილობის ოფიცერი. გაფრენის წინ ადმირალმა სუინის შემდეგი კითხვით დაულოცა გზა: „ახალგაზრდავ, იცი, რა ღირს ეს ბომბი?“ „ოცდახუთი მილიონი დოლარი“, — უპასუხა სუინიმ. „ასე რომ, ეცადე, ეს ფული ტყუილუბრალოდ არ დაიკარგოს“**



## რუსებმა უჩინარი ტანკი გამოსცადეს

**ჩელიაბინსკის ოლქში მდებარე პოლიგონ ჩებარკულზე რუსი სამხედროები სცდიან ახალ ტექნოლოგიას — შემნიღვბელ საღებავს, რომელსაც შეუძლია, ჯავშანმანქანა აქციოს მოწინააღმდეგის ღამის ხედვისა და თბომოწყობილობებისათვის შეუმჩნეველი.** უჩინარი ტანკის შესაძლებლობებს საველე პირობებში ამოწმებენ — პოლიგონზე დაზვერვის ელექტრონული მოწყობილობებით. შემოწმებისას მონიტორზე მკაფიოდ ჩანს ადამიანების სილუეტები, ტექნიკის ნაცვლად კი — მხოლოდ ბუნდოვანი ნაცრისფერი ლაქა. სპეციალური ქიმიური ნაერთი ირეკლავს ელექტრომაგნიტურ ტალღებს და რადარებს არ შეუძლიათ ტექნიკურ საშუალების ამოცნობა. მეცნიერები ამბობენ, რომ სუპერსაღებავი ჯავშანტენკის ეკიპაჟს რადიაციისგანაც დაიცავს.

პარა ბელუმ!

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ბირთვული კლუბი» — ვის რამდენი ბირთვული იარაღი აქვს მსოფლიოში

**ოფიციალური მონაცემებით, ამჟამად ბირთვული იარაღი აქვს 9 ქვეყანას — აშშ-ს, რუსეთს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ჩინეთს, ინდოეთს, პაკისტანს, კსდრ-სა და ისრაელს. მათ გარდა, ნატოს წევრი და აშშ-ის მოკავშირე რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე განლაგებულია აშშ-ის ატომური იარაღი, რომელიც განსაკუთრებულ ვითარებაში შეიძლება გამოიყენონ. ეს ქვეყნებია: გერმანია, იტალია, თურქეთი, ბელგია, ჰოლანდია, კანადა, აგრეთვე, იაპონია და სამხრეთი კორეა.**




### ბირთვული იარაღის სახეობები

მსოფლიოში არსებობს ბირთვული იარაღის ორი სახეობა: **ატომური** — ერთფაზიანი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომლიდანაც ენერგია გამოდის პლუტონიუმის ან ურან 235-ის მძიმე ბირთვების გახლეჩვის შედეგად; **თერმობირთვული** (წყალბადის) — 2-ფაზიანი ასაფეთქებელი მოწყობილობა. პირველ ფაზაში ენერგია ჩნდება მძიმე ბირთვების გახლეჩვით, მეორე ფაზაში გახლეჩვის რეაქციას უერთდება თერმობირთვული სინთეზის ფაზა.

### შექმნის ისტორია

1889 წელს ცოლ-ქმარმა **პიერ** და **მარია კიურებმა** აღმოაჩინეს, რომ ურანის ბირთვების გაყოფის უზარმაზარი ენერგიის გამოყოფა შეიძლებოდა. მოგვიანებით **ერნესტ რეზერფორდმა** შეისწავლა ატომის ძირითადი მახასიათებლები. **ერნესტ უოლტონმა** და **ჯონ კოკროფტმა** კი პირველებმა გახლიჩეს ატომური ბირთვი. 1934 წელს კი მეცნიერმა **ლეო სილარდმა** დააპატენტა ატომური ბომბი და ამით სათავე დაუდო მასობრივი ნგრევის იარაღის შექმნას მსოფლიოში. ბირთვული იარაღის შექმნის მიზეზი მარტივია: მტრების დამონება-განადგურება და მსოფლიოზე ბატონობა.

ბირთვული იარაღის წარმოებას აქვს ერთი დიდი პრობლემა — ნარჩენების უტილიზაცია, რაც ადამიანს და სრულიად კაცობრიობას საფრთხეს უქმნის.

### ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნები:

ჯგუფს ქვეყნებისა, რომლებსაც აქვთ ბირთვული იარაღი, პირობითად „ბირთვულ კლუბს“ უწოდებენ. ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმების (1968 წ.) მიხედვით ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნად ითვლება სახელმწიფო, რომელმაც ბირთვული იარაღი ააფეთქა 1967 წლის 1 იანვრამდე ასეთი კი სულ 5 სახელმწიფოა:

**1. აშშ; 2. რუსეთი (რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო ბირთვულ იარაღი სსრკ-ს დაშლის შემდეგ). 3. საფრანგეთი; 4. დიდი ბრიტანეთი; 5. ჩინეთი.**

არალეგიტიმური მფლობელები:

**1. ინდოეთი; 2. ჩრდ. კორეა; 3. პაკისტანი; 4. ისრაელი.** ეს სია სრული არ არის. ბევრ ქვეყანას ჰქონდა ბირთვული პროგრამის განხორციელების სურვილი, მაგრამ ზესახელმწიფოების ზემოქმედებით უარი თქვეს, თუმცა, ზოგიერთი მაინც განაგრძობს ამ პროგრამაზე მუშაობას. ზოგიერთ სახელმწიფოს კი ბირთვული იარაღი სხვა ქვეყნებმა მიაწოდეს. მაგალითად, აშშ-მა.

**რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, დღეს ბირთვული იარაღი არის მშვიდობის საწინდარი, შემაკავებელი ფაქტორი, რომელიც თავდასხმისგან იცავს, სწორედ ამიტომ ცდილობს ბირთვული იარაღის ხელში ჩაგდებას მსოფლიოს ბევრი ქვეყანა**

1968 წელს გაფორმდა შეთანხმება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, 1986 წელს კი — ბირთვული გამოცდების ჩატარების აკრძალვაზე, მაგრამ ამ ხელშეკრულებებს ბევრი ქვეყანა არ შეუერთდა, რაც დღესაც უქმნის საფრთხეს მსოფლიოს.

თუმცა, **რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, დღეს ბირთვული იარაღი არის მშვიდობის საწინდარი, შემაკავებელი ფაქტორი, რომელიც თავდასხმისგან იცავს, სწორედ ამიტომ ცდილობს ბირთვული იარაღის ხელში ჩაგდებას მსოფლიოს ბევრი ქვეყანა.**

*** აშშ-ის ბირთვული იარაღის არსენალის საფუძველია ბალისტიკური რაკეტები, რომლებითაც წყალქვეშა ნავებია აღჭურვილი. სპეციალისტთა შეფასებით, ამჟამად აშშ-ს სულ 7315 ბირთვული ქობინი აქვს, მათ შორის — 2104 აქტიური.**

*** რუსეთის შეიარაღებული ძალების არსენალშია 8000 ბირთვული ქობინი, მათ შორის, 1603 — აქტიური. ბირთვული იარაღით აღჭურვილია სარაკეტო ჯარები, საზღვაო სტრატეგიული ძალები და სტრატეგიული ავიაცია.**

*** დიდ ბრიტანეთს სულ 225 ბირთვული ქობინი აქვს, მათ შორის 160 აქტიური.**

*** საფრანგეთის არსენალში 300 ბირთვული ქობინია, მათ შორის 290 — აქტიური.**

*** ჩინეთი 400 ბირთვული ქობინის მფლობელია (290 აქტიური).**

*** ინდოეთს 90 აქტიური ბირთვული ქობინი აქვს (სულ — 110).**

*** პაკისტანის არსენალში სულ 120 ბირთვული ქობინია, მათ შორის აქტიურია 100.**

*** კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა 10 ბირთვული ქობინის მფლობელია, მათ შორის 5 აქტიურის.**

*** ისრაელს კაქვს 220 ბირთვული ქობინი, მათ შორის 80 — აქტიური.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# აშშ-ში ცეცხლსატყორცნების გაყიდვა დაიწყეს

**ორმა ამერიკულმა კომპანიამ — კლივლენდის Throwflame-მ და დეტროიტის Ion Productions-მა თავიანთი ინტერნეტმაღაზიების საშუალებით ცეცხლსატყორცნების თავისუფალი გაყიდვა დაიწყეს.**

პენტაგონი ცეცხლსატყორცნებს წლების წინათ იყენებდა ვიეტნამში, ახლა კი ამ სასიკვდილო იარაღის შეძენა ნებისმიერ ამერიკელს შეუძლია. Throwflame 1599 დოლარად ყიდის იარაღს, რომელიც ცეცხლს 15 მ-ის მანძილზე აფრქვევს, Ion Productions-ი კი ამერიკელებს 900 დოლარად სთავაზობს 7,5 მ-ის რადიუსში სიკვდილისმთესველი ცეცხლოვანი ჭავლის იარაღს. კომპანიების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ცეცხლსატყორცნებს გასართობად ან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის სთავაზობენ.



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## უილიამ ჰერსტი



**გარდაცვალების წელი: 1951**

**უკანასკნელი ნება: ყველასთვის, ვინც განაცხადებდა, რომ მისი პირდაპირი შთამომავალია და ამის დამტკიცებას შეძლებს, მიეცათ ერთი დოლარი. ამასთანავე, ჰერსტმა განაცხადა, რომ „მსგავსი უფლებების განცხადება სრულიად უსაფუძვლოა“.**

უილიამ ჰერსტი უმსხვილესი საგაზეთო მაგნატი და ამერიკის ერთ-ერთი უმთავრესი გამომცემელი იყო. ერთ მშვენიერ დღეს მან შეიტყო, რომ მამამისს – თვითნასწავლ მილიონერ ჯორჯ ჰერსტს ბანქოს თამაშში მონაგები გაზეთ The San Francisco Examiner-ზე საკუთრების უფლებით გადაუხადეს. უილიამმა მამას ამ ნაკლებმომგებიანი გაზეთის გადაცემა სთხოვა და მის საფუძველზე უზარმაზარი საგაზეთო იმპერია ააშენა, რომელსაც მფლობელისთვის მილიონობით დოლარი მოჰქონდა.

# ყველაზე უჩვეულო ანდერძები

**ანდერძი უმეტეს შემთხვევაში იმისთვის იწერება, რომ ადამიანი გარდაცვალების შემდეგ მისი ნების აღსრულებაში დარწმუნებული იყოს. თუმცა ზოგიერთი ადამიანის ახირებული გონება ანდერძს თავისი სისწორის დამტკიცების, აკვიატებული მოსაზრების გამოხატვის ან, უბრალოდ, ახლობლების შოკირების უკანასკნელ შანსად იყენებს.**






## ვირგილიუსი

**გარდაცვალების თარიღი: ჩვ.წ.აღ-მდე X საუკუნე**

**უკანასკნელი ნება — „ენეიდას“ დაწვა**

ვირგილიუსი უდიდესი რომაელი პოეტი იყო, უძველესი რომის ნაციონალური პოემა „ენეიდას“ ავტორი. ვირგილიუსმა სიცოცხლეში მხოლოდ პოემის 12 წიგნის დასრულება მოასწრო, ჩანაფიქრით კი პოემა 24 წიგნისგან უნდა შემდგარიყო, როგორც ჰომეროსის ეპიკური პოემები, ამიტომაც პოეტმა სიკვდილის წინ დაუმთავრებელი პოემის დაწვა ისურვა. მაგრამ მეგობრებმა ვირგილიუსი ამ გადაწყვეტილების სიმცდარეში დაარწმუნეს და საბოლოოდ „ენეიდამ“ დღის სინათლეც იხილა და ლიტერატურის შედევრადაც იქნა აღიარებული. ასე რომ, ლიტერატურა ვირგილიუსის მეგობრებისგან დიდად დავალებულია.



## ბენჟამინ ფრანკლინი

**გარდაცვალების წელი: 1790**

**უკანასკნელი ნება: თავის ქალიშვილს ძვირფასეულობის ტარება აუკრძალა, რადგან ამას პატივმოყვარე უსაქმურების მანერად მიიჩნევდა.**

XVIII საუკუნის ბოლოს ბენჟამინ ფრანკლინი დასავლეთის ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული გმირი იყო. რატომ დატოვა ასეთი უცნაური ანდერძი? საქმე ისაა, რომ ფრანკლინს საფრანგეთში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შესრულებისას საფრანგეთის მეფემ ლუდოვიკო XVI ჯილდოდ 408 ბრილიანტით შემკულ ჩარჩოში ჩასმული საკუთარი პორტრეტი უბოძა. სწორედ მეფის ეს პორტრეტი დაუტოვა სარა ფრანკლინს მემკვიდრეობად ამ პირობით, რადგან ეშინოდა, რომ სარას შეეძლო, ბრილიანტები ჩარჩოდან ამოეღო და სამკაულებისთვის გამოეყენებინა. ფრანკლინკმა თითქმის მთელი თავისი ქონება საავადმყოფოებისა და სკოლების აშენება-მოწყობისთვის პენსილვანიის შტატს უანდერძა.



## უილიამ შექსპირი

**გარდაცვალების წელი: 1616**

**უკანასკნელი ნება: მეუღლისთვის „რიგით მეორე საწოლის გადაცემა მთელ ქვეშაგებთან ერთად“.**

შექსპირის ამ უკანასკნელმა სურვილმა ენ ჰეთევეისთან მის ურთიერთობაზე ბევრი კამათი გამოიწვია. საქმე მარტო დანაბარების უჩვეულობაში არ იყო (ექსტრავაგანტული პოეტისთვისაც კი), შენიშვნა უკვე მზა დოკუმენტზე იყო მიწერილი, რომელშიც ქონების გადანაწილების საკითხი დეტალურად იყო განხილული, შემოქმედებითი მემკვიდრეობის თაობაზე კი სიტყვაც არ იყო ნახსენები.

XVII საუკუნის დასასრულს საწოლის მემკვიდრეობად დატოვებაში გასაკვირი არაფერი იყო – ამ წლებში ლოგინი სუფთა, ბალღინჯოებისა და რწყილების გარეშე ქვეშაგებით დიდი იშვიათობა იყო, ამიტომაც ძალიან ძვირად ფასობდა.



## ბერნარდ შოუ

**გარდაცვალების წელი: 1950**

**უკანასკნელი ნება: ანდერძში აკრძალა საეკლესიო მსახურების ჩატარება და მის საფლავზე „ჯვრის ან წამებისა და სისხლისღვრის ნებისმიერი სხვა ინსტრუმენტის“ აღმართვა.**

დრამატურგიის კლასიკოსი ბერნარდ შოუ მტკიცე ათეისტი და ნებისმიერი რელიგიის, ყველაზე მეტად კი კათოლიციზმის, სასტიკი მოწინააღმდეგე იყო. მის ანდერძში სპეციალური ნაწილიც კი არის, რომელშიც შოუ მხარს უჭერს დარვინის თეორიას და ექვს დღეში სამყაროს შექმნის ბიბლიური ვერსიის საწინააღმდეგოდ არგუმენტები მოჰყავს. ბერნარდ შოუმ უზარმაზარი ძალისხმევა მოახმარა მის მიერ შემუშავებული ინგლისური ენის გამარტივებული გრამატიკის (შოუმ შექმნა ფონეტიკური ალფაბეტი, რომელიც ინგლისური ბგერების შესაბამისად 40 ასოსგან შედგებოდა) დანერგვას, ამიტომაც, ანდერძის მიხედვით, ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი დატოვა ამ ალფაბეტის დანერგვის საქმისთვის. სამწუხაროდ, მისი უკანასკნელი ნება სასამართლოში გასაჩივრდა და ალფაბეტის დანერგვა „შეუძლებლად“ იქნა მიჩნეული. შედეგად ამ მიზნით დატოვებული სახსრები სამ ორგანიზაციას შორის განაწილდა — ბრიტანეთის მუზეუმს, ირლანდიის ნაციონალურ გალერეასა და დრამატული ხელოვნების სამეფო აკადემიას შორის.



## ჩარლზ დიკენსი

**გარდაცვალების წელი: 1870**

**უკანასკნელი ნება: მან ისურვა, რომ გასვენებაზე დამსწრეებმა გლოვის ნიშნად „არ ჩაიცვან შავი ტანსაცმელი და გაიკეთონ შავი შარფები, ჰალსტუხები და სამგლოვიარო ბაფთები შლაპებზე და არ გამოხატონ მწუხარება ასეთივე აბსურდული სხვა ხერხებით“.**

დიკენსმა ასევე დაიბარა, რომ მისი გასვენება მოკრძალებულად და დახურულად ჩატარებულიყო, დრო და ადგილი კი საჯაროდ არ გამოეცხადებინათ. ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსმა ისურვა, დაკრძალვის ცერემონია მაქსიმალურად უბრალო ყოფილიყო, სამგლოვიარო კორტეჟის შემადგენლობას სამი ეკიპაჟისთვის არ გადაეჭარბებინა და თანაც ყოველგვარი მდიდრული სამგლოვიარო ატრიბუტების გარეშე. სამწუხაროდ, დიკენსის ანდერძი არ შესრულდა. უფრო მეტიც, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ინგლისის სიამაყეს მდიდრული დაკრძალვა შეეფერებოდა და სამგლოვიარო ცერემონია ეროვნულ მოვლენად აქცია. დიკენსს უკანასკნელ გზაზე უზარმაზარი, გვირგვინებით, ლენტებითა და ყვავილებით მორთული სამგლოვიარო კორტეჟი მიაცილებდა. ასე დაირღვა იმ ადამიანის დანაბარები, რომელიც ცხოვრებაში ყველა სურვილის შესრულებას იყო მიჩვეული.

## ჯონ ბ. კელი



**გარდაცვალების წელი: 1960**

**უკანასკნელი ნება: მონაკოს სათავადოს გაკოტრების თავიდან ასაცილებლად მისი ქალიშვილების მკერავთა ანგარიშების განაღდება.**

მულტიმილიონერ და სამი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელ სპორტსმენსა და მეწარმეს — ჯონ ბ. კელის იუმორის გრძნობამ სასიკვდილო სარეცელზეც არ უღალატა. მისი ქალიშვილი, გრეის კელი, კინოვარსკვლავი გახდა და შემდეგ მონაკოს თავად რენიეს გაჰყვა ცოლად. აი ამონარიდები კელის ანდერძიდან:

„ჩემს ვაჟიშვილ ჯონს ვუანდერძებ მთელ ჩემს პირად ქონებას, კერძოდ, სპორტულ და სხვა ჯილდოებს, ბეჭდებს, სამკაულებს, საათებს, სპორტულ ინვენტარს და ტანსაცმელს, ჰალსტუხების, პერანგების, სვიტრებისა და წინდების გარდა, რადგან ამაოა მისცე ვინმეს რაიმე, რაც დიდი ხნის წინათ მიისაკუთრა“.

თავის სიძეს, მონაკოს თავად რენიეს, მხიარულმა მილიონერმა არაფერი დაუტოვა და ეს მომენტი განსაკუთრებულად აღნიშნა ანდერძში:

„არ მინდა შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ სიძეებით უკმაყოფილო ვარ. თუ მათ თავი მხრებზე ადგათ, ოჯახებზე ზრუნვას თავადვე შეძლებენ. ჩემი ქალიშვილებისთვის დატოვებული ფული მათი მკერავების ანგარიშების განაღდებას მოხმარდება, რაც, ეჭვი არ მეპარება, საკმაოდ სოლიდური იქნება, თუ გოგონები მათი დედის ბრძნული ხელმძღვანელობით და იმავე გაქანებით გააგრძელებენ ხარჯვას“.



## ნაპოლეონ ბონაპარტი

**გარდაცვალების წელი: 1821**

**უკანასკნელი ნება: მისი თმის მოპარსვა და მეგობრებსა და ახლობლებისთვის განაწილება.**

ნაპოლეონის მეგობრების შთამომავლებთან შენახული თმის ღერების ახლახან ჩატარებულმა ანალიზმა, რა უცნაურიც უნდა იყოს, მათში თაგვის წამლის დიდი შემცველობა დაადგინა, ეს კი ნაპოლეონის წინასწარგანზრახული მკვლელობის თეორიას ადასტურებს. არსებობდა მოსაზრება, რომ მისი საძინებლის კედლები თაგვის წამლით იყო გაჟღენთილი (სხვათა შორის, იმ დროს ასეთი შემთხვევები იშვიათობას სულაც არ წარმოადგენდა) და სწორედ ამ შხამიანმა ორთქლმა გამოიწვია ნაპოლეონის სიკვდილი. მეორე ვერსიით კი, ნაპოლეონი ინგლისელებმა მოწამლეს. მესამე ვერსია ამტკიცებს, რომ ნაპოლეონი კუჭის კიბოთი იყო დაავადებული, წამლები კი უმნიშვნელო დოზით მომწამვლელ ნივთიერებებსაც შეიცავდა, რამაც მისი დაღუპვა დააჩქარა.





# დედამიწაზე კოსმოსური ობიექტი ჩამოვარდება

**პირველად WT1190F 2015 წლის ოქტომბრის დასაწყისში შენიშნეს. ასტრონომებმა მისი ტრაექტორიის განსაზღვრა შეძლეს.** ობიქტი დედამიწაზე 13 ნოემბერს უნდა ჩამოვარდეს, დაახლოებით 65 კილომეტრის მოშორებით კუნძულ შრი ლანკას სანაპიროსგან. იმის მიუხედავად, რომ WT1190F-ს დიდი ნაწილი ატმოსფეროში შემოსვლისას უნდა დაიწვას, ასტრონომები ადგილობრივ მეთევზეებს მაინც მოუწოდებენ სიფრთხილისაკენ. ობიექტის სიგრძე ორ მეტრს შეადგენს. ის შეიძლება კოსმოსში აღმოჩენილიყო მისია „აპოლონის“ გაშვების პერიოდიდან. ცნობილია ოცამდე მსგავსი ობიექტი დედამიწის ორბიტის მიღმა, თუმცა WT1190F ერთადერთია, რომელიც უახლოეს მომავალში დედამიწას დაუბრუნდება.

ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ჰარი ჰუდინი



**გარდაცვალების წელი: 1926**
**უკანასკნელი ნება: მის მეუღლეს ყოველ წელს უნდა ჩაეტარებინა სპირიტული სეანსი, რათა მასთან სპირიტული კავშირის დამყარება შეძლებოდა.**

ცხოვრების უკანასკნელ წლებში ტრიუკების ცნობილი ოსტატი და ილუზიონისტი ჰუდინი ძალიან დაინტერესდა სპირიტიზმით და სპირიტულ სეანსებსაც აწყობდა, რაც მას ახალგარდაცვლილ დედასთან კავშირის შენარჩუნებაში უნდა დახმარებოდა. დედის გარდაცვალება მან ძალიან მძიმედ განიცადა. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი დაჟინებით ცდილობდა გარდაცვლილ დედასთან მედიუმების დახმარებით დაკავშირებას, მაგრამ ნელ-ნელა იმედი დაკარგა და ბოლოს გადაწყვიტა, რომ სპირიტიზმი შარლატანობაა.

იმ დროისთვის მეტად პოპულარული სპირიტიზმის გასაშავებლად ჰუდინიმ მეუღლეს საიდუმლო ჩანაწერი დაუტოვა, სადაც 10 ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვა დაწერა. ჰუდინიმ თქვა, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი სული მეუღლესთან სპირიტულ კავშირს დაამყარებდა და ამ სიტყვებს აცნობებდა. ჰუდინის ქვრივი 10 წლის განმავლობაში რეგულარულად აწყობდა სპირიტულ სეანსებს ჰელოუინზე, მაგრამ მისი ქმრის სული არა და არ გამოჩენილა.

## ჯონ ბოუმანი



**გარდაცვალების წელი: 1891**
**ნება: იმქვეყნიდან მისი დაბრუნების შემთხვევისთვის ყოველ საღამოს მდიდრული ვახშამი მოემზადებინათ.**

ცნობილი მეწარმის, ბოუმანის, მეუღლე და ორი ქალიშვილი ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში გარდაიცვალნენ და საბრალომ თავი დაირწმუნა, რომ სიკვდილის მერე საყვარელ ოჯახს შეუერთდებოდა და ერთად დაბრუნდებოდნენ ამ ქვეყანაზე. ამ ახირებული რწმენით აღსავსე ბოუმანმა დააარსა ფონდი 50 000 დოლარის კაპიტალით. ეს სახსრები უნდა მოხმარებოდა მის უზარმაზარ სახლში საცხოვრებელი პირობების შენარჩუნებისთვის მსახურების ანაზღაურებას და ყოველდღიურად პროდუქტების შეძენის ხარჯებს. ბოუმანს სურდა, რომ სახლში მუდამ ყოფილიყო გემრიელი სადილ-ვახშამი იმ შემთხვევისთვის, თუ ოჯახთან ერთად გაცოცხლდებოდა და ძალიან მშიერი იქნებოდა. გასაოცარია, მაგრამ მისი უკანასკნელი ნება სრულდებოდა თითქმის 60 წლის განმავლობაში, 1960 წლამდე, სანამ ფონდში თანხა არ გამოილია.



DAUGHTER CONTESTS FATHER'S DONATING WOMANLESS LIBRARY

Le Mars, Iowa, Oct. 17.—(AP)—His daughter today had added a postscript to what T. M. Zink, donor of the world's first womanless library, had written as his final word on his favorite antipathy.

Through attorneys, Mrs. Margaret Becker petitioned that her father's will, bequeathing $35,000 for the library, be denied probate. She termed the final testament of her father "an insult to the womanhood of America, a libel, and a slander against public morals," and said that Zink's hatred of feminity had narrowing. The women were in entire agreement with Mrs. Becker, while the strong, silent sex was unanimous in agreeing that Zink had done well to save his bombshell until after his death.

The city council in the meantime has delayed action on the benefaction, awaiting the result of the court contest.

A pamphlet containing city traffic laws has been distributed by city officials to residents of San Angelo,

## ტ.მ. ზინკი

**გარდაცვალების წელი: 1930**
**უკანასკნელი ნება: „ქალების გარეშე“ ბიბლიოთეკის შექმნა**

ადვოკატმა ტ.მ. ზინკმა დააარსა სატრასტო ფონდი 50 000-დოლარიანი კაპიტალით, რაც დიდი დეპრესიის წლებისთვის საკმაოდ შთამბეჭდავი თანხა იყო. ზინკის გაანგარიშებით, 75 წლის მერე ფონდის კაპიტალი 3 მილიონ დოლარამდე გაიზრდებოდა და, მისი ანდერძის მიხედვით, ეს თანხა უნდა მოხმარებოდა უნიკალური ბიბლიოთეკის შექმნას Zink Womanless Library – „ბიბლიოთეკა ქალების გარეშე“, რომლის შესასვლელშიც უზარმაზარი ასოებით ეწერებოდა „ქალების შესვლა სასტიკად აკრძალულია“. ამ ბიბლიოთეკაში არ უნდა ყოფილიყო არაფერი ქალებთან დაკავშირებული — არც მათი დაწერილი წიგნები და ხელოვნების ნიმუშები. ზინკი ანდერძში განმარტავს: „ქალთა სქესის მიმართ ჩემი შეურიგებელი სიძულვილი დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბდა. ეს გრძნობა ემყარება პირად წყენას და მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში ქალებთან ურთიერთობის კანონზომიერი შედეგია. ესაა ლოგიკური დასკვნა, რომლამდეც მივედი ხანგრძლივი წლების განმავლობაში ქალებზე რეალურ ცხოვრებაში დაკვირვებით და ასევე მათი ლიტერატურული და ფილოსოფიური ნაშრომების ანალიზის შედეგად“. ქალთმოძულე ზინკის გარდაცვალებიდან ნათესავებმა ანდერძი სასამართლოში მალევე გაასაჩივრეს და შედეგად უნიკალური ბიბლიოთეკის შექმნის იდეა განუხორციელებელი დარჩა.



# 3 მილიონად ღირებული სახლი ბორბლებზე

**ავსტრიულმა კომპანიამ Marchi შექმნა უნიკალური სახლი-ავტომობილი, რომელსაც EleMMent Palazzo უწოდა.**

ეს არის უნიკალური ორსართულიანი სახლი-ფურგონი უამრავი ორიგინალური ფუნქციითა და შესაძლებლობით. მაგალითად, ღილაკზე ერთი ხელის დაჭერით დივანი შეიძლება გადააქციოთ ბარის პატარა მაგიდად და სკამად.

EleMMent Palazzo-ში არის ყველაფერი, რაც ოჯახს კომფორტული ცხოვრებისთვის შეიძლება დასჭირდეს – სამზარეულო, სააბაზანო, საძინებელი და დასასვენებელი ზონები, ასევე, ყველანაირი ტექნიკა.

მართვის ცენტრალიზებული სისტემის წყალობით ფურგონის ყოველი კვადრატული სანტიმეტრის კონტროლია შესაძლებელი. ავტომობილის კომპიუტერიდან შესაძლებელია, განხორციელდეს ვიდეოთვალთვალი, ჰაერის ტემპერატურისა თუ განათების კონტროლი და ბევრი სხვა რამ.

სახლი-ავტომობილი საკმაოდ ეკონომიურიცაა — მისი ბენზინის ხარჯი ანალოგებს 20 პროცენტით ჩამოუვარდება, თუმცა თავად EleMMent Palazzo-ს ღირებულება საკმაოდ შთამბეჭდავია — 3 მილიონი აშშ დოლარი.





# სენდვიჩ არტი



**ცხვარი შონი, სპანჯ ბობი, თევზი ნემო, ჰელოუ ქითი ლამაზი და გემრიელი ბუტერბროდების გმირები არიან. კომპანია Funky Lunch იმისთვის შეიქმნა, რომ გაეკეთებინათ ორიგინალური სენდვიჩები, რომლებსაც ჭირვეული და უჭმელი ბავშვებიც კი სიამოვნებით მიირთმევდნენ.**

„ყველამ ვიცით, როგორი სტრესია ზოგჯერ ბავშვისთვის კვების პროცესი — მალე ბეზრდებათ და შემდეგ ჭამას დიდი ჩხუბით ამთავრებენ. ახალ თაობას შთაგონება სჭირდება, ამიტომ გადავწყვიტეთ, დავხმარებოდით მათ და რამე საინტერესო და სრულიად ახალი მოგვეფიქრებინა“.

Funky Lunch ინტერნეტში რამდენიმე წლის წინათ გამოჩნდა და მისმა პროდუქციამ მალევე მოიპოვა პოპულარობა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ცოტა ხნის წინათ სენდვიჩების რეცეპტების წიგნიც გამოუშვეს. მისი ყიდვა შესაძლებელია ამაზონსა და კომპანიის ვებსაიტზეც.

ამჟამად კომპანია ახალი სახალისო და საგანმანათლებლო ბრენდის შექმნაზე მუშაობს, რომელიც ბავშვებს ჯანმრთელი ცხოვრების წესის შენარჩუნებასა და ხალისიანად ჭამაში დაეხმარება.

Funky Lunch, ასევე, ატარებს ტრენინგებს — Creative Food Workshops, რომლებიც ბავშვებს ახალი საკვები პროდუქტების აღმოჩენასა და კრეატიული კულინარული იდეების განვითარებაში ეხმარება.















ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

*** 1990 წლის 28 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის სივრცეში, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩატარდა პირველი მრავალპარტიული და დემოკრატიული არჩევნები**, რომელშიც დიდი უპირატესობით გაიმარჯვა **ზვიად გამსახურდიას** მეთაურობით შექმნილმა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა ბლოკმა — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 54% მიიღო. ეს არჩევნები იყო 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძველი.



# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.



*** 1837 წლის 28 ნოემბერს ყვარელში დაიბადა ქართველი მწერალი პუბლიცისტი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ილია ჭავჭავაძე, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხილი და წმინდა ილია მართლის სახელით მოიხსენიება.**

ილია ჭავჭავაძე 1857-1861 წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. მასთან ერთად სწავლობდა 30 ქართველი სტუდენტიც, რომლებმაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შეადგინეს „პირველი დასი“. პეტერბურგში მათი სწავლის პერიოდში კი ჩამოყალიბდა „თერგდალეულთა“ ტრადიციები.

1863 წელს ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშედ იქცა. 1877 წელს კი დააარსა პერიოდული გამოცემა „ივერია“, რომელიც სამი ათეული წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული, სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრი იყო.

1885 წელს სიცოცხლის ბოლომდე იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე.

1905 წლის ილია ჭავჭავაძემ შეადგინა პროგრამა, რომლის საფუძველზეც 1917 წელს დაარსდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ილია ჭავჭავაძის მნიშვნელოვანი პოემებია: „აჩრდილი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, „ქართვლის დედა“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „განდეგილი“. მოთხრობები: „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?!“, „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“ და სხვ. ლექსები: „მესმის, მესმის სანატრელი“, „პასუხის პასუხი“, „ქართვლის დედას“, „ბაზალეთის ტბა“, „გაზაფხული“ და სხვ. პუბლიცისტური წერილები: „ქვათა ღაღადი“, „ერი და ისტორია“, „კატკოვის პასუხად“ და სხვ.

1907 წლის 12 სექტემბერს თბილისიდან საგურამოსკენ მიმავალ ილია ჭავჭავაძესა და მის მეუღლეს წიწამურთან 6-კაციანი ჯგუფი დაესხა თავს. თავდამსხმელებმა ილია მოკლეს და მიიმალნენ.



*** 1040 წლის წინათ, 975 წელს, ტახტზე ავიდა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III ბაგრატიონი (961-1014),** რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ფეოდალურ მონარქიას და სახელმწიფო საქართველოს. ბაგრატ III მეფობის პერიოდში აიგო მრავალი არქიტექტურული შედევრი, მათგან აღსანიშნავია ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, ნიკორწმინდის ტაძარი და ბედიის მონასტერი, სადაც დაკრძალულია.



*** 1919 წლის 6 ნოემბერს** ლონდონში ბრიტანეთის სამეფოს საზოგადოებისა და ბრიტანეთის სამეფოს ასტრონომიული საზოგადოების ერთობლივ სხდომაზე დამტკიცდა **ალბერტ აინშტაინის** (1879-1955) ფარდობითობის თეორია.



*** 1881 წლის 25 ოქტომბერს ესპანეთის ქალაქ მალაგაში დაიბადა დიდი მხატვარი, სკულპტორი, გრაფიკოსი, კერამიკოსი და დიზაინერი პაბლო პიკასო** (სრული სახელი — პაბლო დიეგო ხოსე ფრანსისკო დე პაულა ხუან ნეპომუსენო მარია დე ლოს რემედიოს სიპრიანო დე ლა სანტისიმა ტრინიდად მარტირ პატრისიო რუის ი პიკასო). პიკასო ფუძემდებელია კუბიზმისა, რომელშიც სამგანზომილებიანი სხეული ორიგინალური მანერით იხატება, როგორც რამდენიმე გაერთიანებული სიბრტყე.

ექსპერტები პიკასოს ყველაზე ძვირად ღირებულ მხატვრად მიიჩნევენ. მისი ნამუშევრების საერთო ღირებულება, რომლებიც ოფიციალურად გაიყიდა, 262 მლნ დოლარია. 2010 წელს კი პიკასოს ნახატი „შიშველი, მწვანე ფოთლები და ბიუსტი“ 106,5 მლნ დოლარად გაიყიდა. პიკასო 1973 წლის 8 აპრილს გარდაიცვალა საფრანგეთში.



*** 1984 წლის 31 ოქტომბერს ნიუ-დელიში (ინდოეთი) მოკლეს ინდოეთის პრემიერმინისტრი 1966-1977 და 1980-1984 წლებში ინდირა პრიიადარშინი განდი (დაიბადა 1917 წლის 19 ნოემბერს).** ინდირა განდი იყო მსოფლიოს ერთ-ერთი გამოჩენილი პოლიტიკოსის **ჯავაჰარლალ ნერუს** ქალიშვილი. ინდირა განდი მოკლეს მისმა მცველებმა — ძმებმა ბეანტ და სახტვანთ სინგჰებმა, რომლებმაც პრემიერს 8 ტყვია დაახალეს.



*** 1989 წლის 9 ნოემბერს დაიწყო ბერლინის კედლის — ცივი ომის ერთ-ერთი სიმბოლოს — ნგრევა.** ბერლინის კედელი 1961 წელს აიგო. 5 მ სიმაღლის ბეტონის კედელი, რომელსაც თავზე შემოვლებული ჰქონდა მავთულხლართები, ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფდა და სიგრძით 45 კმ იყო, პლუს 120 კმ დასავლეთი ბერლინის გარშემო, რომელიც მას იმჟამინდელი გდრ-ს დანარჩენი ტერიტორიიდან ჰყოფდა.





*** 1929 წლის 23 ოქტომბერს** ქუთაისში დაიბადა ქართველი ენათმეცნიერი, 2005-2013 წლებში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბონის (გერმანია) და ჩიკაგოს (აშშ) უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის ნამდვილი წევრი **თამაზ გამყრელიძე.**




***1944 წლის 28 ოქტომბერს საბჭოთა არმიამ უკრაინის ტერიტორია ფაშისტი დამპყრობლებისგან გაათავისუფლა.**

მეორე მსოფლიო ომში გერმანელი ფაშისტებისგან უკრაინის გაწმენდის ფართომასშტაბიანი ოპერაცია 1943 წლის იანვარში დაიწყო. წითელმა არმიამ ამ პერიოდში 15 შეტევა განახორციელა. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის ყველაზე გრანდიოზული ბრძოლა, რომელიც მოიცავდა უზარმაზარ ტერიტორიას — დონბასიდან კარპატებამდე და პოლესიეს ჭაობებიდან შავ ზღვამდე. მონაწილეობდა დაახლოებით 4 მილიონი ადამიანი ორივე დაპირისპირებული ბანაკიდან. გერმანელი დამპყრობლების ოკუპაციის პერიოდში უკრაინაში მთლიანად ან ნაწილობრივ დაინგრა უკრაინის 700 ქალაქი და 28 ათასი სოფელი. განადგურდა 16 ათასი საწარმო, 2 მილიონი ადამიანი იძულებით წაიყვანეს გერმანიაში სამუშაოდ, 10 მილიონი უსახლკაროდ დარჩა.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ცვლილებებისა და ახალი ურთიერთობების დაწყების პერიოდია. წარმატებას აქტიური და მიზანდასახული ადამიანები მიაღწევენ. სასიკეთო პერიოდია მშვილდოსნისა და მერწყულის ნიშნებით დაბადებულთათვის.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**28 ოქტ. - 3 ნოემბ. ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

კარგი პერიოდია პროფესიული მიზნების მისაღწევად და ავტორიტეტის ასამაღლებლად. მიუხედავად თქვენი ძალისხმევისა, თუ რამდენიმე საქმეს ერთად შეეჭიდებით, სასურველ შედეგს ვერ მიაღწევთ. აქცენტი მთავარზე გადაიტანეთ და აუჩქარებლად იმოქმედეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ მის მიმართ მეტ ყურადღებასა და მზრუნველობას გამოიჩენთ.

მაღალია თავის ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 2 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 31 ოქტომბერი.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

შეიძლება რთულ ვითარებაში აღმოჩნდეთ და ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილების მოძებნაში დიდი ენერგია დახარჯოთ. მთავარია, თქვენი შესაძლებლობები სურვილების შესაბამისი იყოს.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ.

დაქორწინებულ კუროებს სამსახურში ფლირტის გაბმა კარგს არაფერს მოუტანთ.

კუროებმა, რომლებსაც ჭარბი წონა აწუხებთ, რაციონიდან ცხარე და ცხიმიანი საკვები უნდა ამოიღონ და დაიტვირთონ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 3 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 ოქტომბერი.**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

სამსახურში მოსალოდნელია კონფლიქტი თანამშრომლებთან. შეეცადეთ, მოთოკოთ ემოციები, ენას კბილი დააჭიროთ და უთანხმოება დიპლომატიური ხერხებით მოაგვაროთ.

მარტოხელა ტყუპები შეიძლება შეხვდნენ საპირისპირო სქესის წარმომადგენელს, რომელთანაც მგზნებარე რომანს გააბამენ, თუმცა არ არის გამორიცხული, წინააღმდეგობა შეხვდეთ მშობლების მხრიდან.

თუ გსურთ, ჯანმრთელობის პრობლემა არ შეგექმნათ, მოერიდეთ ცხიმიან საკვებს და ალკოჰოლურ სასმელს.

**დადებითი დღე: 3 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 29 ოქტომბერი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

გაგიჩნდებათ სხვისი იდეის მითვისებისა და განხორციელების სურვილი, მაგრამ ეს კარგს არაფერს მოგიტანთ — არც სულიერად და არც მატერიალურად, თანაც ენერგიასაც ფუჭად დახარჯავთ.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი, მაგრამ ფული ეკონომიურად ხარჯეთ, რადგან მოკლე ხანში ბევრი ხარჯის გაღება მოგიწევთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში, შესაძლოა, ბზარი გაჩნდეს და ეს თქვენი ჭირვეული ხასიათის ბრალი იქნება.

მაღალია ინფექციური დაავადებით დასნეულების რისკი.

**დადებითი დღე: 2 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 ოქტომბერი.**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

მოგეცემათ კარიერის კიბეზე მაღლა ასვლის შესაძლებლობა, თუმცა ამისთვის თანამშრომლებისა და, პირველ რიგში, ხელმძღვანელობის, სიმპათია უნდა დაიმსახუროთ.

მოგიწევთ ნათესავებთან წარმოქმნილი უთანხმოების მოგვარება. შეიძლება სადავო გახდეს უძრავი ქონება.

ლომებმა, რომლებსაც გულ-სისხლძარღვთა დაავადება აწუხებთ, აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს და ჩაიტარონ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 2 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 31 ოქტომბერი.**

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

თქვენი აქტიურობა შედეგს გამოიღებს და შეძლებთ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. გაბედულად იმოქმედეთ და მიზნებისკენ მიმავალი გზიდან არ გადაუხვიოთ. თუ გადაწყვეტილების მიღება გაგიჭირდებათ, რჩევისათვის ავტორიტეტულ ადამიანებს მიმართეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას არ ღირს წვრილმანებზე ყურადღების გამახვილება და უმნიშვნელო შეცდომის გამო გაკრიტიკება.

იმუნიტეტის გასამყარებლად მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები.

**დადებითი დღე: 2 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 30 ოქტომბერი.**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

ხელმძღვანელებმა შეიძლება თქვენი შემოქმედებითი პოტენციალის სრულად გამოვლენა მოგთხოვოთ. მიიღებთ უამრავ ინფორმაციას, რომელთა გადამუშავების შედეგად შესანიშნავი პროექტის წამოწყებას შეძლებთ.

თქვენი თავქარიანობის გამო, დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ საყვარელ ადამიანს ეჭვი რომ გაუქარწყლოთ და ერთგულება დაუმტკიცოთ.

შეეცადეთ ძალების აღსადგენად, არომათერაპიის მეთოდები გამოიყენოთ. ეთერზეთები და სამკურნალო ბალახების არომატები დაძაბულობას მოგიხსნით.

**დადებითი დღე: 30 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 1 ნოემბერი.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

შესაძლოა, რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდეთ. გეგმები და იდეები იმდენი გაგიჩნდებათ, რომ ამორჩევა გაგიჭირდებათ. გადაწყვეტილება ინტუიციის კარნახით მიიღეთ.

მეტი ყურადღება დაუთმეთ შვილების აღზრდას, დაეხმარეთ მათ პრობლემების მოგვარებაში — ეს საქმიანობა კმაყოფილებას მოგგვრით.

მოერიდეთ კომპიუტერთან და ტელევიზორთან დიდხანს ჯდომას — გაუფრთხილდით თვალებს.

**დადებითი დღე: 1 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 29 ოქტომბერი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

დოკუმენტების არასწორად გაფორმების გამო, შესაძლოა, იურიდიული პრობლემის წინაშე აღმოჩნდეთ, მაგრამ, ამ პრობლემას იოლად მოაგვარებთ. აქტიური მოქმედება საშუალებას მოგცემთ, საჭირო კავშირები დაამყაროთ და დასახულ მიზანს მიაღწიოთ.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების ყურადღებას მიიპყრობთ. ურთიერთობის გაღრმავება კი მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული.

მაღალია კუჭ-ნაწლავის სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 30 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 1 ნოემბერი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

საქმის შესრულებას, რომელიც შეიძლება ხელმძღვანელობამ დაგაკისროთ, ყურადღების კონცენტრაცია და პუნქტუალურობა დასჭირდება, რაც დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ, მაგრამ, თუ ყველაფერს ზედმიწევნით შეასრულებთ, შექებასა და ფულად ჯილდოს დაიმსახურებთ.

ამ პერიოდში თხის რქების პირადი ცხოვრება შესანიშნავად წარიმართება, საყვარელი ადამიანისგან გელით სასიამოვნო სიურპრიზი.

შეიძლება, შეგექმნათ ნივთიერებათა ცვლის პრობლემა, ამიტომ გაესინჯეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 2 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 29 ოქტომბერი.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

ყველა საქმეს, რომელსაც კი ხელს მოჰკიდებთ, წარმატებით დაასრულებთ, ამ პერიოდში ბევრი რამ მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული. შეძლებთ ახალი საქმიანი კავშირების დამყარებას, რაც დასახული მიზნების მიღწევაში დაგეხმარებათ.

თუ საყვარელ ადამიანთან უთანხმოება გაქვთ, ახლა საუკეთესო პერიოდია მის მოსაგვარებლად. შეეცადეთ, გულწრფელად მოინანიოთ დაშვებული შეცდომები.

მაღალია სახსრების დაავადების გამწვავების ალბათობა, ამიტომ პროფილაქტიკური პროცედურების ჩატარება არ გაწყენთ.

**დადებითი დღე: 3 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 30 ოქტომბერი.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

არ ღირს წვრილმანებზე ნერვიულობა. შეეცადეთ, ყურადღება მთავარზე გაამახვილოთ და მშვიდად განაგრძოთ საქმიანობა. პრობლემები თქვენს ჩაურევლადაც მოგვარდება. რეკომენდებული არ არის ახალი საქმის დაწყება და ფინანსური ხელშეკრულებების გაფორმება.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას გაითვალისწინეთ მისი მოთხოვნებიც და ყველა საკითხზე თქვენი თვალსაზრისის ჯიუტად დაცვას ნუ შეეცდებით.

თუ რომელიმე ქრონიკული დაავადება გაწუხებთ, შეეცადეთ, არატრადიციული მედიცინის მეთოდებით იმკურნალოთ.

**დადებითი დღე: 28 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 3 ნოემბერი.**



## გიორგი კვირიკაშვილი:

# გაცილებით ნაკლები ზიანი შეიძლება მოუტანოს ქვეყანას არაობიექტურმა სარედაქციო პოლიტიკამ, ვიდრე ჩვენი პარტნიორების შეკითხვებმა მედიის თავისუფლებაზე

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საკითხში ოთხ ასპექტს გამოყოფს.**

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, პირველი არის ის, რაც ახლახან იხილა — ქუჩაში შელაპარაკებები, კერძოდ კი, ბიზნესმენ გიორგი კოდუასთან ახალგაზრდების ჯგუფის შელაპარაკება.

**„მინდა, ვთხოვო ყველას, მოვუწოდო კიდეც, მაქსიმალურად თავი შეიკავონ ემოციების ქუჩაში გადატანისგან, ვინაიდან ამას შეიძლება მძიმე შედეგი მოჰყვეს. ასევე, მინდა, ვთხოვო და დარწმუნებული ვარ, რომ სამართალდამცველებს ექნებათ რეაგირება ასეთ შემთხვევებზე. ეს არის კატეგორიულად მიუღებელი“**, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

რაც შეეხება მეორე საკითხს, კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის მიუღებელია ძალადობის კადრების ტირაჟირება.

„ეს არის დაბრუნება იმ საშინელ წარსულში, რომელიც საქართველომ გაიარა. ეს ფურცელი უნდა გადაიშალოს ერთხელ და სამუდამოდ. არ ვიცი, ვინ აკეთებს ამას, ეს ნამდვილად არ შედის მთავრობის ინტერესში და, ვინც აკეთებს, არ აქვს მნიშვნელობა, სად არის, სად მუშაობს, რომელი გუნდის თუ მიმართულების წევრია. ეს არის ადამიანების ფსიქიკის დანგრევა. ახალგაზრდებს, შეიძლება, ცხოვრება დავუმახინჯოთ მხოლოდ იმითი, რომ ეს უბედურება ვაჩვენოთ, რაც გაიარა საქართველოს მოსახლეობის ერთმა ნაწილმა. ამიტომ კატეგორიულად ვემიჯნები, მით უმეტეს, ქალაქებისა და რაიონული ცენტრების მასშტაბით ასეთი კადრების ჩვენებას“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

მესამე საკითხი, როგორც მინისტრმა აღნიშნა, ეხება მედიის თავისუფლებას. მისი თქმით, ეს არის უმნიშვნელოვანესი ფასეულობა, რომელზეც ნებისმიერი მთავრობა უნდა იდგეს.

„ჩვენი მთავრობა ამ ფასეულობაზე ნამდვილად დგას, ამიტომ მინდა, ყველა დავარწმუნო, რომ ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ არც ერთი სატელევიზიო თუ მედიაკომპანიის მაუწყებლობის პოლიტიკაში ჩარევა არ მოხდეს და არ ხდება ასეთი რამ. არ ვიცი, ვინ იქნება ამ პროცესის გამარჯვებული, მაგრამ ვინც უნდა იყოს, ვფიქრობ, გაცილებით ნაკლები ზიანი შეიძლება მოუტანოს ქვეყანას, თუნდაც ყველაზე არაობიექტურმა სამაუწყებლო სარედაქციო პოლიტიკამ, ვიდრე იმან, რომ ეჭვი გაჩნდეს ჩვენს მეგობრებსა და პარტნიორებში ქვეყანაში მედიის თავისუფლების საკითხის მიმართ“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

რაც შეეხება მეოთხე საკითხს, მინისტრმა „რუსთავი 2“-ს და ყველა იმ ადამიანს მიმართა, რომლებიც შეიძლება საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგნენ.

„მინდა, „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობასაც და ყველა იმ ადამიანს მოვუწოდო, რომლებიც საწინააღმდეგო პოზიციაზე დგანან: ერთხელ და სამუდამოდ ქვეყანამ უნდა გადააბიჯოს იმ ზღვარს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება, მოგწონს თუ არა, მისაღები იქნება ყველასთვის, მიუხედავად იმისა, რომელ მხარეს დგას ადამიანი“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, სასამართლომაც უნდა გააკეთოს ყველაფერი, რათა ჩვენს პარტნიორებსა და მეგობრებში არც ერთი კითხვის ნიშანი არ დარჩეს ამ მიმართულებით, თუნდაც ამისთვის დამატებითი ლეგიტიმაციის ელემენტები გახდეს საჭირო.

# საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის მოხმარება-შენახვისთვის პატიმრობის მუხლი გააუქმა

**საკონსტუტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ბექა წიქარიშვილის საქმეზე, რომელიც მარიხუანის გამო 7-დან 14 წლამდე სასჯელს ეხებოდა.**



სასამართლომ დააკმაყოფილა ბექა წიქარიშვილის სარჩელი, რომლის უფლებებს კონსტიტუციონალისტი ვახუშტი მენაბდე იცავდა.

„დაკმაყოფილდა ჩვენი სასარჩელო მოთხოვნა, რაც ნიშნავს იმას, რომ გაუქმდა სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა 50 გრამზე მეტი მარიხუანის შენახვისთვის სისხლისსამართლებრივ სასჯელს — პატიმრობას 7-დან 14-წლამდე. გადაწყვეტილება ჯერ გამოქვეყნებული არ არის. მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნდა და მერე გვექნება საშუალება, ვიმსჯელოთ, რა შედეგებს გამოიღებს მსჯავრდადებულებისა და მარიხუანის მომხმარებლებისთვის“, — განაცხადა ვახუშტი მენაბდემ.



# საუდის არაბეთის პრინცს თვითმფრინავში 2 ტ ნარკოტიკი უპოვეს

**მთიანი ლიბანის სასამართლოს თავმჯდომარე დანი შარაბიამ გასცა სანქცია, დაეპატიმრებინათ საუდის არაბეთის პრინცი, რომელიც უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს ნარკოტიკების გადატანის მცდელობისას.**

როგორც ლიბანური გაზეთის — „ად-დიარის“ ელექტრონული ვერსია იუწყება, დაკავებული **პრინცი აბდულ მოჰსენ ბინ ვალიდ ბინ აბდელაზიზი** არის საუდის არაბეთის პროვინცია ჰაილის მმართველის ვაჟი, რომლის თვითმფრინავის ჩხრეკისას ბეირუთელმა სამართალდამცველებმა 2 ტონა ნარკოტიკი იპოვეს.

პრინცი საკუთარი თვითმფრინავით ცდილობდა საუდის არაბეთის სამეფოში გამგზავრებას. ლიბანის აღმოსავლეთში მდებარე ბექაას ველი ნარკოტიკების იატაკქვეშა წარმოების ცენტრია. ადგილობრივი მაფია მჭიდროდ არის დაკავშირებული კოლუმბიურ ნარკოკარტელებთან.

## სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი «კელპი» გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1. შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენარეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2. პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქტიული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3. ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4. ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5. ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები, კონსულტაცია უფასოა.

**ტელ: 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი)**
**მის: აღმაშენებლის 154 «მწვანე ოფისი»**

## ოღლიშვილებისა და მაისურაძეების საყურადღებოდ!

პოლონეთში აღმოჩენილია დიდ სამამულო ომში დაღუპული ორი ქართველი მებრძოლის — მიხეილ ალექსანდრეს ძე ოგლიშვილისა (ან ოღლიშვილის) და სოკრატ (ან სოგრატ) სოლომონის ძე მაისურაძის საფლავები.

მ. ა. ოგლიშვილი (ან ოღლიშვილი) დაბადებული იყო 1922 წელს გურჯაანის რაიონში, სავარაუდოდ, სოფ. შრომაში, ჰყავდა ბიძა — სამსონ ისაკის ძე ხუცაიძე, თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტის ლექტორი.

ს.ს. მაისურაძე დაბადებული იყო 1919 წელს გორში, სოფ. არბოში, ცხოვრობდა გორის რ-ნის სოფ. დიცში, ჰყავდა მეუღლე — ბაბუცა მიხეილის ასული მაისურაძე, რომელიც ცხოვრობდა, ასევე, გორის რაიონის სოფ. დიცში.

**ნათესავებს გთხოვთ, დაგვირეკოთ ნომერზე: 551-17-20-00**

არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894